# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 1 ივნისი 1999 №100 (873) | ფასი 50 თეთრი


# ახალი და ძველი


კონსტანტინე გოგიშვილი

ოსლოდან




*ახალი მწვრთნელი და ძველი ფეხბურთელები, ახალი შინაარსი და ძველი შედეგი. ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპის დარიგებულმა საქართველოს ნაკრებმა ოსლოში იმაზე უკეთ ითამაშა, ვიდრე ერთი თვის წინ თბილისში, თუმცა კვირას 0:1 წააგო და სასურველი თამაშისგან ჯერაც შორსაა.*



სტეფან ივერსენმა (№6) საქართველოს ნაკრებს ადრეული გოლი გაუტანა

წინა, 29 მაისის რეპორტაჟში ვიწერებოდი, მართალია, პარასკევს საქართველოს ეროვნული ნაკრების ვარჯიშს ერთადერთი, კინკილა აფტენ პოსტენელი ჟურნალისტი დაესწრო, მაგრამ „ულევოლზე" რომ ივარჯიშებენ, იქ მოაწყდებიან ნორვეგიელები-მეთქი.

თქვენც არ მომიკვდეთ და მანამ იოჰან ბოსკამპს არ ეტკინა არაფერი (ღირსია, დავლოცოთ), ვარჯიშზე მოსვლას ვინ ჩივის, ჩვენს ნაკრებზე ერთი სიტყვაც არ ეწერა გაზეთებში — აქეთ სემბი, იქით კარეუ, ფლო, მიუკლანდი და, რა თქმა უნდა, ოლე გუნარ სოლსკიაერი.

ამას კიდევ აიტანდა კაცი, პრესკონფერენციაზე მთლად მოგვითავა ხელი იმათი ნაკრების პრესატაშემ, ოთხიოდ შეკითხვა „მოგვიზომა", ფლოსავით ზემოდან გადმოგვხედა და აბა, შეაყოლეთ, აქედანო — რაც მართალია, მართალია, ვერ გამოუვიდა ლამაზი საქციელი.

წაიკითხავს ამ სტრიქონებს ისედაც ნერვებმოშლილი ქართველი ქომაგი, უარესად გასივდება გულზე და ნამდვილქართულად შეამკობს სკანდინავიის კოპწია ქვეყანას — ეგ ნორვეგია კი არა, ... ამ სამი წერტილის ნაცვლად კი იმ ადგილის აღმნიშვნელ სიტყვას იხმარს, რომელიც ყველა ნორმალურ ადამიანს ჩვეულებრივ უკან, წელს ქვემოთ აქვს).

არადა, ვისაც არ უნდა ჰკითხო თანამედროვე მსოფლიოში, ყველას ენიშნება ვიკინგთა ცხოვრების ეს ქცევის წესი, რომელიც ქართულ-ტრადიციულ მენტალიტეტს არ ეხამება, თორემ თანამედროვე მსოფლიოსთვის ისევე აზლობელია, როგორც, ვთქვათ, სოლსკიაერისთვის „მანჩესტერ იუნაიტედი".

სხვათა შორის, ქართული მენტალიტეტის უცნაურობა ეროვნული ნაკრების ამჟამინდელმა მწვრთნელმა იოჰან ბოსკამპმაც შენიშნა და ვეცდები, მოგაჭკვიანოთო, დაიქადნა.


იხილეთ მეორე გვერდი


# საქართველო 27
# ლატვია 23

## დოლიძის რჩეულები ევროპის რჩეულებს დაუახლოვდნენ

ხორვატიამდე ჯერ კიდევ შორია, მაგრამ ეს უკვე წარმატებაა...

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებმა ევრო 2000-ის შესარჩევი ტურნირის მე-6 საკვალიფიკაციო ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და მომდევნო, საპლეიოფო ეტაპზე ბრძოლის უფლება მოიპოვა. თუ ქართველებმა აქაც ივარგეს, ევროხელბურთის მარაქაში გაერევიან — ხორვატიაში, ევროპის ჩემპიონატის 12-გუნდიან ფინალურ ეტაპზე ითამაშებენ.

მანამდე, ვთქვით, შორი და ძნელი გზააო, მაგრამ ჩვენი ხელბურთელები ქება-წახალისებას და მილოცვასაც ახლავე იმსახურებენ: გუნდი, ფაქტობრივად, შეკრებაგაუვლელი, უვარჯიშებელი, შეუთამაშებელი ჩაება ტურნირში და დალხენილ მეტოქეებთან ბრძოლაში (ქართველების მეტოქე პორტუგალიელებმა მომდევნო ეტაპზე გასვლისთვის დაახლოებით 2 მილიონი ლარის შესატყვისი პრემია მიიღეს) საწადელს მაინც მიაღწია.


იხილეთ მეთერთმეტე გვერდი




ყველაზე მეტად ლატვიელები ტიტე კალანდაძეს უფრთხოდნენ

# ნორვეგია თუ გავაა...

ევროპის ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი. VI ტური
30 მაისი. 22.15 საათი. ოსლო. ულევოლი. 18 263 მაყურებელი

## ნორვეგია 1:0 საქართველო

1:0 ივერსენი (4)

**ნორვეგია**

1. ოლსენი
5. ჰეგემი 4. პედერსენი 3. ჰოპტუნი 2. ბერგდოლმო
8. ლეონარდსენი
6. ივერსენი 11. რისეტი
7. მიუკლანდი 10. სოლბაკენი
9. ტ. ა. ფლო

10. ყაველაშვილი
11. დემეტრაძე
8. ჯამარაული
9. ქეცბაია
2. გუჩუა 7. ნემსაძე
6. ცქიტიშვილი 5. წერეთელი 3. კალაძე 4. დიდავა
1. გვარამაძე

**საქართველო**

შეცვლა: ლეონარდსენი — 16. რუდი (46), დიდავა — 13. ფოფხაძე (46), გუჩუა — 16. ჰიჰვეიშვილი (63), რისეტი — 14. რეკდალი (71), დემეტრაძე — 18. აშვეთია (78), ივერსენი — 17. დალუმი (85)

გაფრთხილება: კალაძე, ყაველაშვილი, პედერსენი

მსაჯები: ლ. იუიგი; რ. ვანნილვენი, პ. დემოლნაერი; ფ. დებლეეკერი (ყველა ბელგია)



ლეონარდსენის (№8) დარტყმული ბურთი გვარამაძის კარს ცდება

დასაწყისი პირველ გვერდზე

ერთი უცხოელი, ისიც ფეხბურთის მწვრთნელი, აბა, ვისი რა მერჯულეა, მაგრამ ამის პრეტენზია არცა აქვს ჰოლანდიელს — იგი „მოჭკვიანებას“ ქართველ ფეხბურთელებს უპირებს.

და 30 მაისს, თითქმის სავსე „ულევოლის“ სტადიონზე ბოსკამპმა ნაწილობრივ შეასრულა თავისი ნათქვამი. ბოლო თვეებში, წლებისგან განსხვავებით საქართველოს ნაკრების სახით მინდორზე იყო გუნდი, მინდვრის გარეთ კი იდგა მწვრთნელი, რომელსაც გააჩნდა ტაქტიკა, სქემა, მონახაზი და, რაც მთავარია, საფეხბურთო მენტალიტეტი.

ბოსკამპს სცოდნია ფეხბურთი. ამას დავიჩემებ და ველარავინ გადამარწმუნებს. ყველაზე სასიხარულო კი ისაა, რომ ქართველმა ფეხბურთელებმა იწამეს მისი. სასიხარულოა ისიც, რომ ეს არა ჰგავს მორიგ „ძმაკაცობანას“, ბოსკამპმა თავისი წარსულით, საფეხბურთო აზროვნებით, რიხითაც უკვე აღძრა პატივისცემა მათში.

ნორვეგიასთან საქართველოს ნაკრებს არ უთამაშია თავისი საუკეთესო მატჩი. საუკეთესო ვერც ცალკეული ფეხბურთელები იყვნენ, მაგრამ მაინც ეს არ იყო თბილისური ფიასკოს მსგავსი საშინელება — გუნდი იბრძოდა, თავს იცავდა, უტევდა, ზოგჯერ კი ფეხბურთსაც თამაშობდა (ეს განსაკუთრებით მეორე ტაიმში).

„ბოსკამპის ნაკრებმა“ პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა, უკვე ნათელია, რომ ამ გუნდის ლიდერი თემურ ქეცბაიაა, რომელიც ძალიან ბევრს ნიშნავს არა მარტო გუნდისთვის, მწვრთნელისთვისაც — ვარჯიშებისას ქეცბაია თითქმის ბოსკამპის ასისტენტია.

და ბოსკამპს ჰყავს „თავისი“ ფეხბურთელიც — იგი იმდენად ხშირად გაჰყვირის — ო, კეი, გუჩი! — დიდი მიხვედრა არ უნდა, ბოსკამპს გუჩუა ესიმპათიურება. ვალტერი მხოლოდ ლამაზი თვალებისთვის და ვარცხნილობისთვის არ მოსწონს მწვრთნელს — მას ნამდვილად შეუძლია თანამედროვე ფეხბურთის თამაში, რომელიც ძალისმიერ და ხისტ თამაშს ეფუძნება. ეს გუჩუას სტიქიაა, ოღონდ საფეხბურთო აზროვნებას უნდა მოუხმოს, სიხისტე უხეშობაში არ უნდა „გაექცეს“, თორემ განა ბელგიელი მსაჯივით ყველა აპატიებს ისეთ რამეს, სოლბაკენს რომ ჩაუხტა?

ნორვეგიელებმა მეოთხე წუთზევე გაიტანეს ბურთი. რა იყო ეს, მორიგი განადგურების დასაწყისი? შიშნარევ მოლოდინს ისიც ამძაფრებდა, რომ ქართველებმა ამ ბოლო დროს ნასწავლ „ჩაკიდულებს“ მოუხშირეს. ამგვარად ჩაწოდებული ბურთები მუდამ მეკარე ეროლე ოლსენის იოლი ლუკმა ხდებოდა. ვიკინგები, პირიქით, უფრო და უფრო აძლიერებდნენ დაწოლას, შეტევები ერთიმეორეს მისდევდა, საქართველოს ნაკრების დაცვა კი მთლად ძველებურად არა, მაგრამ მაინც იჭრებოდა.

მასპინძელთა ყბადაღებული 4-5-1 სქემაა, რომელიც შეტევისას 4-3-3 იქცევა ხოლმე, წინ თითქოს ეულად მორბენალ ფლოს სოლბაკენი და რისეტი შეხიდებულან და ვაი, ჩვენი დაცვის ბრალი...

თუმცა გაძლეს ქართველებმა, მეტი ბურთი არ გაატანინეს მეტოქეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც თავად გაიტანეს და მორიგი მარცხიც შეღგა.

შეიძლებოდა კი „ულევოლზე“ „შინდისფერებს“ თუნდაც ფრისთვის მიეღწიათ? ვეჭვობ, ნორვეგიელები აშკარად ძლიერნი ჩანან ამ ეტაპზე. გავიხსენოთ, რამდენი საგოლე მომენტი შეიქმნა მათ კართან? ორიოდე, რომელთაგან საუკეთესო ქეცბაიას 25 მეტრიდან დარტყმული გახლდათ. კალაძის წაქცევისთვისაც შეიძლებოდა პენალტის დანიშვნა, მაგრამ... „შეიძლებოდაზე“ თუ ვიარეთ, მარტო ივერსენს „შეიძლებოდა“ კიდევ ორი გოლი გაეტანა. „შეიძლებოდა“ ფლოს, მიუკლანდს გაეტანათ. ბოროტ მსაჯს „შეიძლებოდა“ სოლბაკენის გატანილი და არჩათვლილი გოლიც ჩაეთვალა.

ნორვეგიელებს მომენტები იმდენი ჰქონდათ, ბარე სამი მატჩის მოსაგებად ეყოფოდათ, მაგრამ ერთითღა დაკმაყოფილდნენ...

ქართველებიდან ვინმეს გამოყოფა ძნელია. ძლიერი შთაბეჭდილება არც ერთს დაუტოვებია. რახან ცალკე ვერავის გამოვყოფთ, რგოლებზე ვთქვათ.

### დაცვა

ივერსენის თავურიდან გატანილი გოლი მთლიანად მის სინდისზეა. ამ მომენტში დაცვა ორჯერ შეცდა — ჯერ იყო და, ფლოს არ მისდიეს, აქაოდა, ვერ მიუსწრებს ბურთს, გადასულიაო... „ჩელსის“ ფორვარდმა კი ბოლომდე სდია ბურთს, დაეწია კიდეც და საგოლე გადაცემაც გააკეთა. ეს პირველი და მეორე შეცდომა ამ მომენტში პოზიციის შერჩევისას დაუშვეს ქართველმა მცველებმა. ივერსენი ბურთს მეკარის ბაქნის კუთხიდან ურტყამდა, ისინი კი საჯარიმოს ცენტრში შეჯგუფულიყვნენ.

90 წუთის განმავლობაში კიდევ არაერთხელ „აიჭრა“ ქართული დაცვა, მაგრამ ხან ბედი სწყალობდათ, ხანაც ასწრებდნენ ერთმანეთის დაზღვევას...

### ნახევარდაცვა

ამათ შორის ქეცბაია გამოირჩეოდა. ეს არც არის გასაკვირი — პრემიერლიგა პრემიერლიგაა. იბრძოდნენ სხვებიც, მაგრამ ბურთის, პასების სწორად და სწრაფად განაწილებას ვერ ახერხებდნენ, სწრაფი შეტევის ნაცვლად მოედნის გასწვრივ აწვდიდნენ ბურთს ერთმანეთს და მეტოქეს რა ენაღვლებოდა — საათი ხომ მათთვის წიკწიკებდა.

მობილურობა აკლია ქართველთა შუახაზს, საკუთარი მოედნიდან ბურთის ამოტანა ყოვნდება, მეტოქის მოედანზე კი ზუსტი პასი ჭირს.

ნახევარდაცვას სხვა არაფერი ევალება. გოლის გატანა კი კარგია, მაგრამ ეს მაინც თავდამსხმელების საქმეა.

### თავდასხმა

იყო და არც იყო. ბოსკამპმა დემეტრაძე ფაქტობრივად მარჯვენა ჰავბეკად გაამწესა, ყაველაშვილი კი თავდასხმის ცენტრში დააყენა. უკვე შემოგვექო (!) ბოსკამპი და ძალუმადაც, მაგრამ ერთს მაინც ვუსაყვედურებთ — დემეტრაძე ან არ უნდა ათამაშო, ანაც საჯარიმოსთან რაც შეიძლება ახლოს უნდა გაამწესო — დღეს საქართველოში ხშირად ლაპარაკობენ დემეტრაძის სისწრაფეზე, ჩვენის აზრით, გიორგი სწრაფზე მეტად სხარტია, მოქნილი, მას შორ მანძილზე სირბილით კი არა, ადგილზე, სისხარტის ხარჯზე შეუძლია დაასწროს მცველს დარტყმა, პასი, შეხება ან სხვა რამ... ესაა დემეტრაძის უპირატესობა. შორ მანძილზე, კროსში, გიორგი ტანმაღალ მცველს, მით უმეტეს ნორვეგიელს ვერ აჯობებს. რაც შეეხება ყაველაშვილს, ჩვეულად იმუშავა, იბრძოლა, ერთხელ დაარტყა კიდეც, მაგრამ ეს იყო და ეს.

ნაკრების თავდასხმას ახლანდელი ზაზა ჯანაშია და წელიწადნახევრის წინანდელი შოთა არველაძე აკლდა.

### მწვრთნელი

ბოლოს და ბოლოს გამოჩნდა მწვრთნელი, მაყურებლის მოთხოვნით კი არა, თავისით რომ შეცვალა ფეხბურთელი. შეცვალა, რათა რაღაც შეეცვალა.

ბოლოს და ბოლოს, გამოჩნდა მწვრთნელი, რომელმაც შეხვედრის მსვლელობაშივე გააკეთა გადაადგილებები, შეცვალა ტაქტიკური სქემა, ერთი სიტყვით, თამაშის მსვლელობაშივე დაატყო ხელი გუნდს.

იოჰან ბოსკამპმა ჯერ მხოლოდ ერთ შეხვედრაში უთავკაცა „შინდისფერებს“, ამიტომაც ბევრს ვერას ვიტყვით მასზე, მაგრამ ვერც სხვები იტყვიან... იმას, რომ ბოსკამპმა ფეხბურთი არ იცის.

### ნორვეგია თუ გავა

ზედიზედ მესამედ წააგეს ვიკინგებთან შინდისფერებმა (0:1, 1:4, 0:1). ძალა აღმართს ხნავს, ბურთი ლოგიკას ემორჩილება და უფრო ხშირად სუსტის კარში გადის. აქედან გამომდინარე, საკითხავია, ვინ გავა და ვინ არ გავა.

ძლიერი ნორვეგიაა და, ალბათ, ჯგუფიდანაც გავა.

ნორვეგია თუ გავაა...

ევრო 2000-ის ფინალური სტადიის მონაწილეები ფრთხილად უნდა იყვნენ.



ტორე ანდრე ფლო (№9) ქართველი მცველების გარემოცვაში

„სარბიელი“ მადლობას უხდის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას გაზეთის საგანგებო კორესპონდენტების ნორვეგიაში მივლინების ორგანიზაციულ საკითხთა მოგვარებისთვის

ლილესტრიომი
30 მაისი
16 საათი
ორესენი
723 (ტევადობა 1300)

**ნორვეგია 0:0 საქართველო**

ახალგაზრდულები

**ნორვეგია:** სკიელდესტადი, ჰოილანდი, სტეენი, კიპე, სომა, ლანგე, ანდრესენი (ოპჰაუგი 87), აასი, ბაკე, მორკი (ნორმანი 46), კარეუ (სუნდგოტი 68)
*სათადარიგონი:* ქკელანდი, დალი, სტეფენსენი
**საქართველო:** ლომაია, ქემოკლიძე, ხიზანეიშვილი, აბრამიძე, ა. სახვაძე, გ. შენგელია, კვარაცხელია, შაშიაშვილი, ლ. მელქაძე, ო. გველესიანი, წიტაიშვილი
*სათადარიგონი:* ბათიაშვილი, შავგულიძე, ჯ. მუჯირი, ბურდული, საჯაია
**გაფრთხილება:** ქემოკლიძე (33), შაშიაშვილი (35), ანდრესენი (63)
**მსაჯი:** ს. დოგატი (შოტლანდია)

# ომი, მშვიდობა და ცოფიანი

კონსტანტინე გოგიშვილი
ლილესტრიომიდან

ლილესტრიომიდან ოსლომდე 17 კილომეტრია. ლილესტრიომის „ორესენიდან", სადაც საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ითამაშა, ოსლოს „ულევოლამდე", რომელზეც ეროვნული გუნდი გამოდიოდა, არც მეტი არც ნაკლები, 23 კილომეტრი. თუმცა ერთია — სიახლოვე და მეორე სტადიონების მსგავსება — „ულევოლი" პატარძალივითაა მორთულ-მოკაზმული, „ორესენი" კი ახლაღა მშვენიერდება.

როგორც გადათხრილ სტადიონთან მისულებს „ორესენის" ადმინისტრატორმა გვითხრა, რეკონსტრუქცია 1950 წელს დაარსებულ არენას აქამდეც ჩაუტარდა ერთხელ — 1970 წელს. მას შემდეგ „ორესენზე" 12000 მაყურებელი ეტეოდა, ამჟამად მორიგი ნგრევის შემდეგ კი მხოლოდ 1300. თუმცა ბილეთი იაფი (ნორვეგიელებისთვის) — 100 კრონი (13 დოლარამდე) ღირდა.

ნორვეგიელები მაინც ზერელედ, ნახევრად ინტერესით მოეკიდნენ ახალგაზრდების მატჩს. თუ ჟურნალისტებს არ ჩავთვლით (ისინი საკმაოდ იყვნენ და ეს ჰამბურგერებით მოვაჭრე ფარდულების შემოსავალსაც შეეტყო), შეხვედრას მხოლოდ 723 კაცი დაესწრო და გაირკვა, წითური ზანგის, იონ კარეუს ავტოგრაფზე მონადირენი იყვნენ.

ქართული, აბა, საიდან ეცოდინებოდათ და ნორვეგიელი დიქტორი რუსულად მოგვესალმა, მერე ჰიმნი, კენჭისყრა და ნორვეგიის დროით 13 საათზე წიტაიშვილმა ბურთს ფეხი წაჰკრა.

ერთი თვის წინ 3:0 მოგებული თბილისური შეხვედრის შემდეგ ფავორიტებად, რა თქმა უნდა, ნორჩი ვიკინგები ითვლებოდნენ, მაგრამ მათ ოპტიმიზმს ხურცილავას დებიუტმა ჩაილულის არა და „ოლდენის" (იქაური „ბორჯომია") წყალი დაალევინა.

ქართველებმა ბევრი არაფერი დათმეს — ეგ იყო, ერთი თავით მაღალი სკანდინაველები თავით ასიდან ას ორთაბრძოლას იგებდნენ და უნდა ითქვას, ყველა სახიფათო მომენტი ლომაიას კართან ამ უპირატესობის გამო შეიქმნა.



ეს-ესაა ფროდე კიპემ ლომაიას კარში საჯარიმო დაარტყა

ლომაია ცალკე უნდა გამოვყოთ — გიორგიმ მართლაც ლომის წილი დაიდო ამ ფრედ დამთავრებულ შეხვედრაში. სათქმელი უნდა ითქვას, ნორვეგიელთა ნებისმიერი კუთხური, ჯარიმა და აუტი სახიფათოზე სახიფათო იყო და რომ არა ქართველთა მეკარის გაბედული თამაში გამოსვლებზე, ნორვეგიელები უთუოდ მოიგებდნენ.

ქართველები ყველაზე უფრო კარეუს უფრთხოდნენ. პირველ ნაკრებში ნათამაშები ორიოდ შეხვედრა „ვალერენგას" ფორვარდს სხვანაირ იმიჯს უქმნის და ქართველი მცველებიც გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს წითური ზანგის გრძელი ლაჯების მიდამოსვლას.

ქართველთა საწყისი გაუბედაობა დიდხანს არ გაგრძელებულა — „კოპალას ბიჭებით" სახეცვლილმა ნაკრებმა მშვიდად მოიგერია კარეუ-ანდრესენის სახიფათო დუეტის მიერ შექმნილი ორი მომენტი და მერე სახვაძის კარგი პასით წიტაიშვილს ისეთი მომენტი გაუცუდდა, კარგა ხანს დანანებით აქნევინა თავი მცირერიცხოვან ქართულ დელეგაციას.

თუმცა „გაუცუდდა" ის სიტყვა არ არის. კობას რომ ოდნავ მაინც აეწია ბურთი, ჩაწოლილი მეკარე ვერაფერს გააწყობდა და...

ამ მომენტის მერე ნორვეგიელები გაფრთხილდნენ, ზურგს ძველებურზე მეტად აქცევდნენ ყურადღებას და მათ საჯარიმოსთან მიახლოებაც გაჭირდა.

მოგვიანებით ქართველი ახალგაზრდები იტყვიან — ტექნიკით ვერავის გააკვირვებენ, მაგრამ „სტანდარტულების გუნდიაო" და აკი გააწვალა კიდეც ვიკინგთა აუტებმა ხიზანეიშვილ-ქემოკლიძე-აბრამიძე-სახვაძის კვარტეტი, განსაკუთრებით კი მეკარე ლომაიას უჭირდა.

საოცრად განლაგდებოდნენ-ხოლმე კუთხურის დროსაც ვიკინგები — ისინი ქართველ მეკარეს წინ და უკან უდგებოდნენ („საფეხბურთო ბუტერბროდი") და განძრევის საშუალებას არ აძლევდნენ. საქართველოს მსგავს შემთხვევაში ნებისმიერი მსაჯი მეკარეზე თამაშს აღნიშნავდა, ბრიტანული სკოლა კი „ჭიდაობას" წყალობს და ამდენად, არც შოტლანდიელ არბიტრს გაუხურებია სასტვენი.

პირველი ნახევრის ბოლო წუთები ისევ ვიკინგთა უდავო უპირატესობით აღინიშნა. ლომაია იწურებოდა ოფლში, თორემ მასპინძელთა კარის დარაჯი იმდენად უსაქმოდ იდგა, მახათს მოითხოვდა, ერთი პიკანტური ქართული ანდაზა რომ სცოდნოდა.

მეორე ნახევარი საქართველოს ნაკრებმა გაცილებით უკეთ ჩაატარა. ფრთაზე მეტოქის სწრაფ გარღვევებს ხურცილავას შეგირდებმა ზონური დაცვა და სივრცეთა შეზღუდვა დაუპირისპირეს. ქართველთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი პოზიციურად თითქმის არ ცდებოდნენ დაცვის ცენტრში, ფრთაზე კი განსაკუთრებით სახვაძე აქტიურობდა. სხვათა შორის, არჩილის კაპიტნობა მკლავბედნიერი აღმოჩნდა ქართველებისთვის — ხუმრობა საქმე ნამდვილად არ იყო გაცოფებული ანდრესენისა და კომპანიისთვის.

ნორვეგიელთა მეშვიდე ნომერი თბილისურ მატჩშიც გამოირჩა — იგი უკვე ჩამოყალიბებული ფეხბურთელია. მიუკლანდისა არ იყოს (ეროვნული ნაკრების მეშვიდე ნომერია), ბურთთანაც არ არის ხამად და თითქმის ყველა შეტევა მისგან იწყება. ეგ არის, ანდრესენის თავშეუკავებლობა მის მცირე ასაკზე მეტყველებს — თუ არ იბრძვის, ჩხუბობს, თუ არ ჩხუბობს, მსაჯთან კამათობს და არის ასე. დაახლოებით 88-ე წუთამდე გაუძლო ნორვეგიელთა მწვრთნელმა თავისი მეშვიდე ნომრის გაუთავებელ პროტესტებს მეტოქის, მსაჯის, თანაგუნდელების მიმართ და მერეღა შეცვალა.

ამ დროს მოედანზე აღარც კარეუ იმყოფებოდა — იგი მეორე ტაიმში მარცხნივ გადაიწია, მაგრამ ქემოკლიძემ მშვენივრად აუღო ალღო წითურა ზანგის „დაარტყი და გაიქეცის" და კარეუმაც ერთი დარტყმის მეტი ვერაფერი გაახერხა.

დარტყმა კი, გაგიხარიათ, სახიფათო იყო. საუბარი სახიფათო დარტყმებზე ჩამოვარდა და ანდრესენმა შეცვლამდე კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი — დაახლოებით 30 მეტრიდან ისეთი დაამხუილა, ბურთი სტადიონის გვერდით მდებარე აეროპორტიდან აფრენილ თვითმფრინავს გაეჯიბრა სისწრაფეში. ცხრიანი იმდენად გამოზომილი გახლდათ, გოლი თითქოს გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ლომაიამ ისევ ივარგა და ეს მკვდარი ბურთი კუთხურზე გადააგდო.

დრო ილეოდა, შეხვედრა დასასრულს უახლოვდებოდა, მაყურებელი კი, რომელიც აქამდე ნორვეგიის ჰიმნს ომახიანად აგუგუნებდა, მთლად მოეშვა და ტრიბუნებზე ისე გაიშოტა, ფეხბურთს ჩამავალი (თუ ამომავალი — ახლა ნორვეგიაში პოლარული ღამეებია და ბევრს ვერაფერს გაიგებ კაცი) მზის ყურება არჩია.

ქართველი მწვრთნელები თითქმის ნახევარი მეორე ტაიმი ფეხზე იდგნენ და ისე არიგებდნენ ჩვენებს. უკვალოდ არც ხურცილავას, არც კოპალეიშვილის დარიგებებს ჩაუვლია, ბიჭები ბოლო მომენტამდე იბრძოდნენ და რაც ყველაზე მეტად შევამჩნიეთ, დროის გაყვანაზე არც ერთი წუთით არ უთამაშიათ.

და მაინც, ნორვეგიელ ახალგაზრდებს შეხვედრის ბოლოს შეეძლოთ არა ერთი, ორი გოლის გატანაც კი. პირველი საგოლე (თითქმის გოლი) ლომაიას უცაბედ და ერთადერთ შეცდომას მოჰყვა, თუმცა მისი რეაქცია ელვისებური იყო და როგორც მსაჯმა გადაწყვიტა, ბურთს არ გადაუკვეთია კარის ხაზი.

მეორე საგოლე წიტაიშვილის მეურვე ცენტრალურ მცველს, მეოთხე ნომერს ჰქონდა. მისი უძლავრესი დარტყმული ლომაიამ ნახტომში ფეხებით მოიგერია და ნორვეგიელთა პრეტენზიაც მოგებაზე ამით დამთავრდა.

ხურცილავასა და კოპალეიშვილის ნაკრებმა პირველი ქულა მოიპოვა პირველ თამაშში და საკმაოდ ძლიერ მეტოქესთანაც, თანაც სტუმრად. თითქოს ბევრს არაფერს ნიშნავს 0:0 „ოროსენზე", მაგრამ, აბა, სხვა კუთხით შევხედოთ საქმეს?! — ხურცილავას ნაკრები მომავლისკენ იყურება, მომდევნო ციკლისკენ და სწორედაც რომ უპრიანია გადახალისებული 21-წლამდელები ოფიციალურ მატჩებში რომ იძენენ გამოცდილებას.

სწორი ნაბიჯია ისიც, რომ ხურცილავას ნაკრებისა და „კოპალას ბიჭების" ინტერესები გადაეჯაჭვა — ამ ნიჭიერ ახალგაზრდებს წინ შვედეთის ევროპის ჩემპიონატი უძევთ და უკეთეს პრაქტიკას სად გაივლიან, თუ არა ევრო-2000-ის შესარჩევ ციკლის თამაშებში.

ასე ომით მოიპოვეს ქართველებმა ყველაზე მშვიდობიანი ანგარიში — 0:0.

ცოფიანივით ჭკუაზე გადასულ ანდრესენს კი მატჩის შემდეგაც კარგა ხანს არ მიუტოვებია სამსაჯო ოთახის მიმდებარე ტერიტორია და ეტყობა, მუსიკალურ ნორვეგიულ ენაზე მაგარ-მაგრებსაც უგზავნიდა.

მაგრამ რაღა დროს, ლილესტრიომის „ოროსენზე" უკვე გამოსცეს დეკრეტი ზავის შესახებ.


გივი კვარაცხელია (№7) და რევაზ ქემოკლიძე ტომას მორკს გადაეღობნენ



გიორგი შენგელია (№9) ტომას მორკს გასცდა

# კახა კალაძე: ძალიან გთხოვთ, ნუ გავუშვებთ ბოსკამპს!



იოჰან ბოსკამპი თვლის, რომ მისი ყველაზე უკეთ თემურ ქეცბაიას ესმის

ბადრი კეთილაძე ოსლოდან

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მასპინძლებს მთავარი მწვრნელი ნილს იოჰან სემბი წარმოადგენდა.

— თბილისური შეხვედრიდან განსხვავებით, დღეს გაცილებით განსწავლული მეტოქე გვყავდა. მართალია, მომენტები 28 აპრილს უფრო ნაკლები გვქონდა, მაგრამ მაშინ ხომ მატჩის ბედი პირველ ტაიმშივე გადაწყვიტეთ. იმ შეხვედრის მოგება 8:1-ც შეგვეძლო. დღეს პირიქით, მომენტები მრავლად გვქონდა, გოლი კი ერთი გავიტანეთ. ფორტუნაა დამნაშავე.

...ქართველებიდან მაინც კალაძეს გამოვყოფდი, იგი ძლიერი ფეხბურთელია და ძლიერ გუნდშიც თამაშობს.

...ვცდილობ, ყოველთვის ზომიერი პასები და პროგნოზი გავაკეთო. მართალია, მე თბილისშიც და აქაც ფრე ვიწინასწარმეტყველე, მაგრამ ეს არ იყო არც დიპლომატია, არც მეტოქის შიში — უბრალო გამოთვლის საკითხია, შინ მოიგე, სტუმრად ფრე ითამაშე და ჯგუფიდანაც გახვალ. ეს არის და ეს.

...საქართველოს ნაკრებს პერსპექტივა აქვს. მასში მომავლის ფეხბურთელები თამაშობენ. ახალმა მწვრთნელმა კი უკვე დაატყოთ ხელი. სხვანაირად ორგანიზებული თამაშობენ.

გია გეგუჩაძე — მინდა მივულოცო ნორვეგიელთა მშვენიერ ნაკრებს გამარჯვება და ვუსურვო წარმატებები.

იოჰან ბოსკამპი პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდა, მატჩის შემდეგ მაინც მოვიხელთეთ და ორიოდე სიტყვით კომენტარი ვთხოვეთ. არ დაგვზარდა.

— მე ახალ გუნდს ვაკეთებ ძველი მოთამაშეებით, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ახლებისთვის ნაკრების კარი დაკეტილია. ამაში, ალბათ, ყველა დარწმუნდით. ჯერ მხოლოდ პირველი შეხვედრა ჩაატარეს ჩემი მწვრთნელობით. ვფიქრობ, საბერძნეთთან უკეთ გამოჩნდება ჩვენი ძალა. ნორვეგიამ კი ღირსეულად გაიმარჯვა.

ერიკ მიუკლანდი — ერთი თვის წინანდელ გუნდთან შედარებაც არაა. დღეს სხვა ნაკრებს ვეთამაშეთ. მაგრამ მარტო ბურთის გორებაზე და გადაცემებზე არა, შეტევაზეც. ტორე ანდრე ფლო — მოგიმატებიათ. დღეს არა გიშავდათ. ეტყობა, დაგეტყოთ ახალი მწვრთნელის ხელი.

ვალტერ გუჩუა — მეტოქეზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი. ან რა უნდა ვთქვა — ნამდვილი მოთამაშეები არიან, ნამდვილი ფეხბურთელები. მწვრთნელის დავალება ასე თუ ისე შევასრულეთ. შედარებით კარგად გამოგვდიოდა ორთაბრძოლებიც. სამწუხაროა, რომ წავაგეთ. დამარცხება დამარცხებაა. გინდ 1:0 წააგო, გინდ 10:0. ბოსკამპი მატჩის ბოლოსთვის კი გვიძახდა, „ვაბანკზე" წადითო, მაგრამ გოლის გატანა მაინც ვერ შევძელით.

...ჩემი შეცვლა გადაღლილობის ბრალი არ არის, ფეხი ვიტკინე და ამიტომ გამომცვალა.

ოთარ გაბელია — ნორვეგიის ნაკრები ძლიერი გუნდია. კი, მომენტები ჰქონდათ, მაგრამ ფრეც შეიძლებოდა ყოფილიყო. გვარამაძეს რაც შეეხება, დიდი ხნის შესვენების შემდეგ მოუწია თამაში და ვღელავდი მის გამო. ეს დათოსთვის არ მითქვამს, მაგრამ სანერვიულო ნამდვილად გვქონდა. დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ბოლოს ნაკრების კარში იდგა და გარკვეული ფსიქოლოგიური ბარიერი უნდა გადაელახა. შეცდომები ჰქონდა, თუმც საერთო ჯამში ნორმალურად ითამაშა.

გიორგი დემეტრაძე — წავაგეთ, მაგრამ არც ფრეზე ვიტყოდი უარს. მე თუ მკითხავთ, ფრე ლოგიკური შედეგი იქნებოდა. ბოსკამპმა იცის ფეხბურთი. ის კი სად მათამაშებს, თავდასხმაში თუ ნახევარდაცვაში, მისი საქმეა. ვეცდები, მწვრთნელის დავალება ყველგან შევასრულო.

კახა კალაძე — მსაჯი მიკერძოებით მსაჯობდა. ყოველ მოკარებაზე ჯარიმას ნიშნავდა ნორვეგიელთა სასარგებლოდ. იმ მომენტში, როცა მე წამაქციეს, უეჭველი პენალტი იყო, წავაგეთ, მაგრამ არ გაგიკვირდეთ და კმაყოფილი ვარ. რამდენი ხანია, ნაკრებში თამაშით ასეთი სიამოვნება არ მიმიღია. გუნდური სული ჩანდა და იმიტომ. ისე, არც ბედი გვწყალობს მაინცდამაინც — შეხედეთ, რამდენი ხანია, მთელ შემადგენლობას ერთად არ მოგვიყრია თავი. ახლაც საბერძნეთთან ბიჭები იქნებ შემოგვემატონ, მე კი მითხრეს, ორი ყვითელი ბარათის გამო 5 ივნისის შეხვედრა უნდა გამოტოვოო.

ბოსკამპი კარგი პიროვნება და კარგი მწვრთნელია. ძალიან გთხოვთ ყველას — ქომაგს, ჟურნალისტს — ნუ გავუშვებთ ხელიდან ამ სპეციალისტს. ბოსკამპს ჩინებულად სცოდნია ფეხბურთი, ძლივს არ ველირსე, რომ საქართველოს ნაკრებს რაღაც ტაქტიკით ეთამაშა? დამიჯერეთ, იყო დრო, საქართველოს ნაკრებში თამაში არავის უნდოდა, ერთმანეთს გადაეკიდნენ. ხალხიც ფეხბურთელებს აბრალებდა ყველაფერს. არადა, არ არის ასე. შეცდომებიდან, ფორმიდან, ამოვარდნისგან არავინაა დაზღვეული — ეს ერთნაირად შეიძლება მოგივიდეს კიევშიც და აქაც, მაგრამ მარტო სტვენით არ ეშველება საქმეს. ვაცადოთ, პატივი ვცეთ ამ კაცს. მე მჯერა, ვიცი, რომ ნორვეგიელების მიერ მეოთხე წუთზე გატანილი გოლით ბევრი გაიხარებდა ჩვენში — ეს არის და ჩაესვენა ბოსკამპის მზეო, მაგრამ ხომ ხედავთ, ვიბრძოლეთ, როგორც შეგვეძლო, გავაკეთეთ რაც შეგვეძლო და სირცხვილი არ გვიჭამია.

თქვენც კარგად იცით, ფეხბურთელის ბედი ცოტა უმადურია. ეს საკუთარ თავზე გამოვცადე — „რეალთან" მოგების შემდეგ ტელეფონის ზარს ვერ ავუდიოდი, ნაკრებში დამარცხების მერე კი კაციშვილი არ შემხმიანებია. გული მწყდება, რა მალე მოგვიძულებენ-ხოლმე.

ახლა კი, ვგონებ, ნორმალური მწვრთნელი გველირსა და ყველას გთხოვთ, მომდევნო ციკლისთვის მუშაობაში ხელს ნუ შეუშლით.



ნორვეგიელებმა ქომაგობაც ისევე კარგად იციან, როგორც თამაში

ბადრი კეთილაძე ოსლოდან



დავით გვარამაძემ (№1) პეტერ რუდის საჯარიმოს გარეთ დაასწრო და ხიფათი აიცილა

ბადრი კეთილაძე ოსლოდან

ახალგაზრდულთა მატჩის შემდეგ პრესკონფერენცია არ გამართულა.

მარტინ ანდრესენი — თქვენც შეამჩნიეთ, რომ გაბრაზებული ვარ, არა? მსაჯებმა მაწყენინეს, ცოტათი ფორტუნამაც გვაქცია ზურგი. დასანანი ფრე იყო.

მურთაზ ხურცილავა — შედეგით კმაყოფილი ვარ. მეტოქე, რომელმაც ერთი თვის წინ დიდი ანგარიშით მოგვიგო, დღეს ვერას გახდა. სამუშაო კიდევ ბევრი გვაქვს. მე, როგორც მწვრთნელი, ძიებაში ვარ. ვინც წინა ციკლი ითამაშა, ისინი მალე გადასცილდებიან 21-წლიან ასაკს, ამიტომაც მიმყავს ბიჭები, რომელთაც ხეირიანად არც კი ვიცნობ.

„კოპალას ბიჭები" მომავლის ფეხბურთელები არიან, მათგან უმრავლესობის თამაში თითო ტაიმში ძლივს მინახავს, მაგრამ ნიჭიერი ხალხია და მჯერა მათი.

...დაცვის კმაყოფილი ვარ, განსაკუთრებით კარგად ხიზანეიშვილმა და აბრამიძემ ითამაშეს. ამას ნურავინ გაიგებს ისე, თითქოს ნაკრებს ახალი ლიდერები გამოუჩნდნენ, ხურცილავას არ უყვარს ლიდერები. ლომაიასთან ცალკე ვიმუშავეთ, გამოსვლაზე კარგად უთამაშია, მჯერა მისიც, მომავალში მოუმატებს.

...შეცვლები გარკვეული მოსაზრებით არ გავაკეთე, მსურდა, ბოლომდე გამომეცადა ის თერთმეტი ძირითადის ფეხბურთელი, ვისზეც აქცენტს გავაკეთებ.

გიორგი ლომაია — გამოსვლებზე თამაში მწვრთნელის დავალება იყო. ვივარჯიშეთ ამაზე. მეტოქე ძლიერი, კარგი გუნდი იყო. თავიდან ცოტა შეშინებული ვთამაშობდი, მაგრამ მერე დავმშვიდდი. მოგებაზე ვთამაშობდით, თუმცა არც ფრეა ცუდი. იმ მომენტში იყო თუ არა გოლი, მართალს გეტყვით — არ იყო და არც ჩათვლიდა მსაჯი.

გივი კვარაცხელია — ღირსეულ მეტოქესთან ღირსეული შედეგი ვაჩვენეთ. მე „დინამოში" ხურცილავასთან გამივლია სკოლა, ამდენად შეგუება არ გამჭირვებია. კოპალეიშვილის ღვაწლიც მინდა აღვნიშნო, მისი ბიჭები დაცვაში დიდებულად თამაშობენ. მომავლის გუნდი კეთდება და მომავალიც სწორედ ეს ბიჭებია. ნორვეგიელებიდან ანდრესენს გამოვყოფდი.

გიორგი შენგელია — კოპალეიშვილის ბიჭები სამ-ოთხ წელიწადში პირველ ნაკრებში ითამაშებენ. მატჩის შედეგიც მათმა კარგმა თამაშმა განაპირობა. თუმცა არ ვთვლი, რომ ფრე საუკეთესო შედეგი იყო. ჩვენ მოგებაც შეგვეძლო. ისე, ანდრესენისნაირ მეტოქესთან თამაში ერთი სიამოვნებაა.

ოთარ ხიზანეიშვილი — ნორვეგიელების თავდამსხმელები უმეტესწილად პოზიციურად სწორი თამაშის გამო დავჩაგრეთ. არა მგონია, ორიოდე წელი ამდენს ნიშნავდეს ჩვენს ასაკში — რა, ჩეხებს ამათზე ნაკლები ფეხბურთელები ჰყავდათ, თუ მათი გუნდი იყო სუსტი? ასე რომ, პრობლემა არ არის, ვითამაშებთ, მივიღებთ გამოცდილებას და მერე შვედეთიც მოვა.

**კონსტანტინე გოგიშვილი**

თბილისი — ოსლო — თბილისი

# უტყვი დანიელი და 22 ბერძენი

ორიოდ დღის წინ საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელმა ვასილის დანიელმა ის 22 ფეხბურთელი ჩამოგვითვალა, რომელთა უმეტესობაც დღეს ათენში შეკრიბა და რომელთაგანაც 18 საუკეთესოს ხუთშაბათ ნაშუადღევს თბილისში, საქართველოს ეროვნულ გუნდთან სათამაშოდ ჩამოიყვანს.

*მეკარეები: ნიკოს მიხოპულოსი, ილიას ატმაციდისი, დიმიტრის ელეფტეროპულოსი;*

*მცველები: ნიკოს დაბაზასი, მარინოს უზუნიდისი, იორგოს ანატოლაკისი, ილიას პურსუნიდისი, დიმიტრიოს მავროგენიდისი, ხაროს კაცაპისი, იანის მუმასი, ანდრიას ზიკოსი;*

*ნახევარმცველები: კოსტას კოსტანტინიდისი, კოსტას ფრანცესკოსი, გრიგორის გეორგატოსი, ანდრეას ნინიადისი, ვასილის ლაკისი, მიხალის კასაპისი, თეოდოროს ზაგორაკისი;*

*თავდამსხმელები: დემის ნიკოლაიდისი, ნიკოს მახლასი, იანის ანასტასიუ, ნიკოს ფრუსოსი.*



ანდრეას ნინიადისი მშობლიურ თბილისს რვაწლიანი განშორების მერე იხილავს

ბერძნები ათენიდან, როგორც ვთქვით, ხუთშაბათს გვესტუმრებიან ჩარტერული რეისით. ვასილის დანიელსაც, ალბათ, თავადვე დარწმუნდებოდით, ქართველებთან თამაშამდე უძლიერესი შემადგენლობა გამოუძახებია. როგორც იქაურმა კოლეგამ ვასილის საბრაკოსმა გვითხრა, ნაკრების ყველა წევრი ჯანმრთელადაა, არავის არაფერი აწუხებს და თბილისში გამარჯვების იმედად მოემგზავრებიან. მისივე თქმით, ბერძენთა ეროვნულ გუნდში თურმე ერთადერთი, თუმცა საკმაოდ მნიშვნელოვანი პრობლემა ყოფილა — ვასილის დანიელი უტყვი კაცია, გუნდშიც ფეხბურთელები თავიანთ ნებაზე არიანო.

ყველაფერთან ერთად ჩვენთვის ისიც საინტერესოა, რომ დანიელს ნაკრებში თბილისში დაბადებულ-გაზრდილი ანდრეას ნინიადისი, ანუ ანდრო კიურჯიევი დაუბრუნებია. როცა ანდროს ათენში შევეხმიანეთ, რას ამბობთ, ერთი სული მაქვს, თბილისში როდის ჩამოვალ, „მეტეხი" სად არის, როგორი სასტუმროა, „დინამოს" მინდორი ხომ არ გაფუჭებულაო, აქეთ გვკითხა ნინიადისმა.

**კობა ინასარიძე**

საქართველოს ჩემპიონატი
გადათამაშება
პირველ ჯგუფში
დასარჩენი მატჩი

გორი. ცენტრალური. 1 ივნისი. 18 საათი

## სიონი — თსუ

მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი); თ. ლაცაბიძე (სურამი), ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ა. შილაკაძე (თბილისი);
სფფ-ის ინსპექტორი: ნ. ამირეჯიბი; სფფ-ის დელეგატი: გ. ფირცხალავა

# ორმაგი გამოცდა

ეს შეხვედრა წესით და რიგით თბილისში, ვაკეში, უნდა გამართულიყო, მაგრამ დღეიდან „მიხეილ მესხი" საქველმოქმედო ოთხთა ტურნირს მასპინძლობს აფხაზეთის გუნდების მონაწილეობით და ფეხბურთის ფედერაციამაც შეხვედრის ადგილად ქართლის გული — გორი შეარჩია. იქ დღეს მართლაც უპრინციპულესი შეხვერა გაიმართება. ფაქტია, ორივე გუნდი ძალღონეს არ დაიშურებს პირველ ჯგუფში დასარჩენად. ერთი სიტყვით, ისეთი შეხვედრაა, ყოველგვარ მიცემ-მოცემასა და ჩაწყობ-ჩამოწყობაზე ფიქრის საბაბს სპობს. ან კი რა აქვთ გასაცემი თსუ-ს და „სიონს", როდესაც ყოფნა-არყოფნის საკითხი უწყდებათ.

ეს პატარა წერილი ვერ დაიტევს იმ წვალებას და ტკივილს, რაც ამ გუნდებს გადახდათ წლევანდელ ჩემპიონატში. ქართული ფეხბურთისთვის ასე ახლობელმა და განუყრელმა ფინანსურმა სიდუხჭირემ „სიონს" და თსუ-ს თავისი კვალი დააჩნია, თანაც ისე, რომ დღემდე ორივე გუნდისთვის ამ საბედისწერო მატჩის გამართვაც კი საეჭვო იყო. გუშინ საღამოს 8 საათისთვის თსუ გაურკვევლობის ბურუსს მოეცვა. გუნდის ძირითადი ბირთვი გაფიცულიყო და კუთვნილი ხელფასების მიუღებლობის შემთხვევაში მატჩის ჩაშლით იმუქრებოდა. საღამოს 8 საათისთვის კი თსუ-ს ხელმძღვანელობამ საჭიროდ ჩათვალა საგანგებო კრების მოწვევა და როგორც ჩანს, ეს შეხვედრა კეთილად დასრულდა. გუშინ საღამოსვე სტუდენტები შეკრებაზე გადავიდნენ, უკლებლივ ყველა გაფიცულიც თან იახლეს. რამდენადაც შეძლებენ უნივერსიტეტელები საამმატჩოდ სრულად მობილიზებას, ამას თავად შეხვედრა გვაჩვენებს.

ბოლნისელები კი მეტოქესთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან, რადგან საამმატჩოდ მომზადებას შედარებით ცივილური ფორმით შეუდგნენ. „სიონის" ფეხბურთელთა ეკონომიკური მდგომარეობის ოდნავ გაუმჯობესებას 28-ე ტურის მატჩის შემდეგ („სიონი" „იბერიას" მასპინძლობდა) ჩაეყარა საფუძველი — კლუბის ხელმძღვანელობამ მოთამაშეთათვის 100-100 ლარის გაცემა ბრძანა (ამის მოწმე თავად გახლდით), ხოლო ბოლო ტურის შემდეგ კი სახსრები ბოლნისელთა შეკრებისთვისაც გამოინახა. „სიონის" მცირე უპირატესობაზე კიდევ ერთი ფაქტორი მეტყველებს. ასეთ მატჩებში თამაშის გამოცდილება ქვემოქართლელებმა შარშანდელ პლეი ოფში მიიღეს. გეხსომებათ, მაშინ რჩეულთა შორის დამრჩენთა გამოსავლენად „სიონი" „გურიას" დაეჭიდა და დამარცხდა, თუმცა შანსი ბოლომდე გამოიყენა და მომდევნო შეხვედრაში პენალტების სერიაში, პირველი ჯგუფის საგზურის მაძიებელი — ხაშურის „ივერია" იმსხვერპლა.

რაკი საქართველოს ჩემპიონატის შეხვედრების შედეგების წინასწარ განჭვრეტა მაინცდამაინც დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, გავბედავ და მატჩის ჩემეულ პროგნოზსაც შემოგთავაზებთ. ზემოჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით „სიონს" წარმატების მეტი შანსი აქვს და შესაძლოა, თსუ-ს საქმე გაურთულდეს.

ჰო მართლა, წესით და რიგით გორის ცენტრალურს სტადიონს დღეს გულშემატკივარი არ უნდა მოაკლდეს. ბოლნისელ ქომაგთა ერთგულება ყველასთვის ცნობილია და აბა, რა პრობლემაა მათთვის გორში ჩასვლა. წლევანდელ ჩემპიონატში თსუ სტუდენტების ქომაგობას ბევრჯერ შეუგულიანებია. ალბათ, ისინი თავიანთ გუნდს დღესაც უქომაგებენ, გამოცდები, ოჰ, ეს გამოცდები... სტუდენტი გულშემატკივრები ორ ცეცხლშუა არიან.

**პაატა ძვანტალიანი**

# ბრედფორდში გიორგი ქინქლაძეზე საუბრობენ

## პოლ ჯუვილი ამ საუბრებს არარეალურად მიიჩნევს

პირველ დივიზიონში დაბრუნებული „მანჩესტერ სიტის" შემდეგ ალბიონზე ქართველებს იქნებ ახალი ფავორიტი გაგვიჩნდეს. 77-წლიანი პაუზის შემდეგ პრემიერლიგას დაუბრუნდა „ბრედფორდ სიტი", რომლის თავკაცი პოლ ჯუვილი ახლა იმ 15 მილიონი ფუნტი სტერლინგის მიზნობრივად დახარჯვაზე ფიქრობს, რომელიც მას კლუბის პრეზიდენტმა ჟოფრეი რიჩმონდმა პრემიერლიგაში დასარჩენად გამოუყო. ორ კვირაზე მეტია, ბრედფორდში ამსტერდამის „აიაქსის" ქართველი გამთამაშებლის — გიორგი ქინქლაძის შეძენაზე საუბრობენ, თუმცა თავად პოლ ჯუვილი ამ საუბრებს არარეალურად მიიჩნევს.

„ევერტონში" არშემდგარი ტრანსფერის შემდეგ „დეილი ტელეგრაფმა" ხელახლა წამოჭრა ქინქლაძის თემა. ორი კვირის წინ „დეილის" რეპორტიორი ჯონ კინდერი მკითხველებს არწმუნებდა, „აიაქსიდან" ქინქლაძის ინგლისში დაბრუნება თითქმის გადაწყვეტილიაო.

მკითხველს იმავე „დეილი ტელეგრაფმა" დაუდგინა ქინქლაძის მსურველი კლუბის ვინაობა — 1922 წლის შემდეგ პირველად პრემიერლიგაში დაბრუნებული „ბრედფორდ სიტი". „ბრედფორდმა" პირველ დივიზიონში 87 ქულა დააგროვა, „სანდერლენდს" 18 ქულით ჩამორჩა და პრემიერლიგის საგზური დაიბევა. კლუბის ყველაზე წარმატებად კი შორეულ 1911-ში ინგლისის თასის მოგება ითვლება.

„ბრედფორდის" წარმატებაში ყველაზე დიდი წვლილი ექსდერბიქაუნთელმა მილსმა შეიტანა, რომელმაც სეზონში 26 გოლი გაიტანა. გუნდის ყველაზე ცნობილი მოთამაშე „არსენალიდან" გადასული რიშარდ რანკია, რომელშიც „ბრედფორდმა" სარეკორდო თანხა გადაიხადა. სხვა ფეხბურთელებიდან უნდა აღვნიშნოთ: ბეიგრი — 2 მატჩი ინგლისის B ნაკრებში, ბრიგი — 5 მატჩი შოტლანდიის ნაკრებში, მაკკალი — 39 მატჩი შოტლანდიის ნაკრებში, ვოლში — ინგლისის 21-წლამდელთა ნაკრების წევრი. „ბრედფორდს" ასევე ჰყავს ბრაზილიელი ლეგიონერი, 32 წლის ედინიო.

ახალი სეზონისთვის ახალი შემადგენლობის შესაკრებად კლუბის პრეზიდენტმა ჟოფრეი რიჩმონდმა 15 მილიონი ფუნტი სტერლინგი გამოყო.

სწორედ მაშინ გაჩნდა „დეილი ტელეგრაფში" ინფორმაცია, რომ „ბრედფორდი" „აიაქსს" 3 მილიონ ფუნტ სტერლინგს სთავაზობს. ინგლისელები იმასაც ამბობდნენ, „ბრედფორდში" გადასვლა ქინქლაძის შანსია და მიუხედავად იმისა, რომ ქართველით პრემიერლიგის რამდენიმე კლუბია დაინტერესებული, ამ ტრანსფერების განხორციელების დიდი იმედი არ უნდა ჰქონდესო.

„აიაქსის" წარმომადგენელმა ერიკ ვან ლივენმა წამსვე დაადასტურა, რომ გუნდი მზადაა, ქინქლაძე გაყიდოს: „დარწმუნებული ვარ, ქინქლაძის საკითხს ამ თვეებში გადავწყვეტთ. გიორგი ვერ მოერგო მორტენ ოლსენის სათამაშო სქემას, მისი არც იან ვაუტერსს სჯერა" — თქვა ვან ლივენმა

26 მაისს „ბრედფორდიდან" გაჟონა ინფორმაციამ, რომ მალიორკაში ერთკვირიანი დასვენების შემდეგ ბრედფორდში ისაუბრეს რიჩმონდმა და ჯუვილმა. პრეზიდენტმა და მწვრთნელმა საბოლოოდ გაარკვიეს ორი შესაძლო შენაძენი: ქინქლაძე „აიაქსიდან" და კემპბელი „ევერტონიდან".

პრესაში ატეხილმა აურზაურმა გასულ შაბათს პოლ ჯუვილი იძულებული გახდა, ოფიციალური განცხადება გაეკეთებინა: „მე მინდა, დავადასტურო, რომ ჩვენ მართლაც ვაკვირდებით მავან მოთამაშეებს, რომლებმაც გაისად „ბრედფორდი" უნდა გააძლიერონ. უკვე გამოიკვეთა რამდენიმე მათგანი და მათთან ერთად სულ უფრო სერიოზულ მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ. ამ ფეხბურთელთა შორის ჯერჯერობით ქინქლაძე და კემპბელი არ მოიხსენიებიან" — ბრძანა ჯუვილმა.

თუ ტრანსფერი შედგა, ქინქლაძე „ბრედფორდის" ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული მოთამაშე გახდება.

**სიმონ მენაბდე**



გიორგი ქინქლაძე

# ტრაპიდან დარბაზში

## საქართველოს ახალგაზრდობის თასს სამოცი გუნდი უმიზნებდა

საქართველოში მინი-ფეხბურთის ტურნირების სიმცირეს ნამდვილად არ ვუჩივით, მაგრამ ასეთი მასშტაბური გათამაშების ორგანიზებით, ალბათ, „საბჭოთა საქართველოშიც" ვერ დაიკვეხნიდნენ...

საქართველოს მოქალაქეთა ახალგაზრდულმა კავშირმა, მინი-ფეხბურთის ასოციაციამ, ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტმა და საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციამ მართლაც გრანდიოზული ტურნირის ჩატარება ითავეს. მათი თაოსნობით 26 აპრილს დაიწყო მინი-ფეხბურთში „საქართველოს ახალგაზრდობის თასის" გათამაშება. მასში მონაწილეობის სურვილი საქართველოს ყველა ქალაქისა თუ რეგიონის 60 გუნდმა გამოთქვა. სურვილის ასასრულებლად საჭირო საშუალებებიც გამოინახა და...

ჯერ ქვეყნის თორმეტ რეგიონში ჩატარდა რაიონის „ახალგაზრდობის თასის" გათამაშება. თბილისში 15-გუნდიანი ჩემპიონატი მოეწყო. დედაქალაქის ტურნირი კომერციული გახლდათ და მონაწილეობისთვის თითოეულმა კლუბმა 150-150 ლარი გაიღო. საპრიზო ფონდი 1500 ლარით განისაზღვრა. დაძაბულ ბრძოლებში დამოუკიდებელი ინსტიტუტის გუნდმა „აჭარამ" იმარჯვა და 1000 ლარით შეივსო ბიუჯეტი. დანარჩენი თანხა ფინალისტს — საბურთალოს მოქალაქეთა ახალგაზრული კავშირის კლუბს ერგო.

დედაქალაქის „ახალგაზრდობის თასის" გათამაშებაში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველჯგუფელებმაც იასპარეზეს. „დინამოსა" და ეროვნული ნაკრების მეკარე დავით გვარამაძე „სახალხო ვერას" ღირსებას იცავდა, ლოკომოტიველი დავით მუჯირი „უნივერსიტეტის" სახელით გამოდიოდა, მისი თანაგუნდელი პაატა ბარნოვი ბოლო მატჩებში დაეხმარა ვერელებს. ყოფილ დინამოელებს — ლევან ყიფიანს და ნუგზარ ლობჟანიძეს ვაკის გუნდმა მოარგო მაისურა. „დინამო 2"-ისა და ახალგაზრდული ნაკრების წევრი ლადო ბურდული საბურთალოს სმაკ-ის ღირსების დამცველად მოგვევლინა და თბილისის ტურნირის საუკეთესო მოთამაშის ტიტულსაც გამოჰკრა ხელი. ბომბარდირობა კი არავის დაუთმო დავით მუჯირმა. „მუმუმ" 15-ჯერ დალაშრა მეტოქეთა კარი.

აფხაზეთის „ახალგაზრდობის თასს" ხუთი გუნდი უმიზნებდა. ყველას „სოხუმმა" აჯობა. მის კარს 1995 წლის ჩინეთის ჩემპიონი გოჩა ჟორჟოლიანი იცავდა.

იმერეთში 10, აჭარაში 8, სამეგრელოში 7, ქვემო ქართლში 5, სამცხე-ჯავახეთში 5, მცხეთა-თიანეთში 4, შიდა ქართლში 4, გურიაში 3, რაჭაში 2, გუნდი იბრძოდა რეგიონის „ახალგაზრდობის თასის" მოსაგებად. ამ რაიონებში შესაბამისად ზესტაფონმა, ბათუმის საზღვაო აკადემიამ, თელავმა, წალენჯიხამ, ბოლნისმა, ასპინძამ, დუშეთმა, გორმა, ოზურგეთმა, ამბროლაურმა გაიმარჯვეს და შემდეგ ეტაპზე გავიდნენ. თბილისის ჩემპიონს პრიორიტეტული სტატუსი მიენიჭა და პირდაპირ ნახევარფინალისტის საგზური ებოძა. მეორეადგილოსანმა საბურთალოს სმკ-მაც განაგრძო ასპარეზობა.

ამის შემდეგ წყვილები ტერიტორიული პრინციპით დადგინდა და გათამაშება ოლიმპიური სისტემით გაგრძელდა. თბილისმა შემდეგ შეხვედრებს უმასპინძლა: თელავი — ბოლნისი 9:1, დუშეთი — გორი 1:4, საბურთალოს სმაკ — სოხუმი 2:1. ხაშურში ჩატარდა: ასპინძა — ზესტაფონი 0:2, ქუთაისში: წალენჯიხა — ამბროლაური 7:2, ბათუმში: ოზურგეთი — საზღვაო აკადემია 0:3.

გამარჯვებული ექვსეულიც იმავე პრინციპით დაწყვილდა. ბათუმში გაიმართა: წალენჯიხა — საზღვაო აკადემიას 1:2. მოგებულს თბილისის ჩემპიონი, დამოუკიდებელ ინსტიტუტი „აჭარა" დაუპირსიპირდება. ეს ნახევარფინალური მატჩიც ბათუმში შედგება.

გუშინ თბილისში გაირკვა დანარჩენი ნახევარფინალისტების ვინაობაც.

საბურთალოს სმაკ — ზესტაფონი 9:2, თელავი — გორი 4:3. აღსანიშნავია, რომ ნორვეგიიდან გამთენიისას დაბრუნებულმა ახალგაზრდული ნაკრების წევრმა ლადო ბურდულმა თითქმის გამოუძინებელმა ითამაშა საბურთალოს გუნდის შემადგენლობაში.

თელავი — საბურთალოს სმაკ-ის შეხვედრა 6 ივნისს თბილისში გაიმართება. ფინალსაც დედაქალაქი უმასპინძლებს — 12 ივნისს.

„საქართველოს ახალგაზრდობის თასის" საპრიზო ფონდი 2000 ლარია. გამარჯვებული 1000 ლარით დაჯილდოვება, მეორეადგილოსანი 500 ლარს მიიღებს, ნახევარფინალისტები კი 250-250 ლარით გამდიდრებიან. დაწესებულია სხვა სამახსოვრო პრიზებიც.

**ხვიჩა სანიკიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გერმანია

XXXIV ტური

### ნიურნბერგი 1:2 ფრაიბურგი

0:1, 0:2 გიუნეში (27, 35), 1:2 ნიკლი (85)
ნიურნბერგი: კიოპკე, ფ. ბაუმანი, ნიკლი, ვან ეკი, ვაიგლი (ციმერი 46), შტორცენჰოფეკერი, ოეხლერი, გიუნტერი (რაინჰარდტი 46), გერბერი, კუკა, ჩირიჩი (კურტი 81)
ფრაიბურგი: გოლცი, მიულერი, ჰერმელი, დიარა, კოლი, ბაია, ვაისჰაუპტი, გიუნეში, პავლინი, ვილი, ვასმერი (სელიმი 68)
გაფრთხილება: ბაია
მსაჯი: კემლინგი

### ლევერკუზენი 1:2 ბაიერნი

0:1 ბასლერი (11), 0:2 შოლი (62), 1:2 კირსტენი (80)
ლევერკუზენი: მატიშეკი (ფოლბორნი 80), ჟივკოვიჩი, ნოვოტნი, რ. კოვაჩი (ჰაპე 75), ლენჰოფი (ლედვონი 49), რეები, ემერსონი, ჰაინცე, მაიერი, კირსტენი, ზე რობერტო
ბაიერნი: შოიერი, მათეუსი (იოჰანსენი 82), ბაბელი, ლინკე, ბასლერი, შტრუნცი, ფინკი, ეფენბერგი, სალიჰამიჯიჩი, დაეი (იანკერი 89), შოლი (ციკლერი 82)
გაფრთხილება: ეფენბერგი, ბასლერი
მსაჯი: შტაინბორნი

### ჰერტა 6:1 ჰამბურგი

1:0, 2:0 პრეეტცი (6, 51პ), 2:1 იებოა (52), 3:1 არაჩიჩი (55), 4:1 ნოიენდორფი (69), 5:1 ტომი (75), 6:1 პრეეტცი (86)
ჰერტა: კირალი, ნოიენდორფი, ჰ. ჰერცოგი, ჰარტმანი, სანე (საბა 80), ტომი, ვოში, დარდაი, ტრეჩოკი (მანდრეკო 72), პრეეტცი, არაჩიჩი (ჩამი 82)
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, პანადიჩი, ჰოოგმა, ჰერჩი, გროთი, ფ. ერნსტი, შპიორლი (დოლი 46), ბაბატცი (გრამოცისი 58), კირიაკოვი, იებოა, დემბინსკი (შტრაუბე 46)
გაფრთხილება: დარდაი, ნოიენდორფი, კირიაკოვი, ჰოოგმა
გაძევება: ჰოოგმა (88)
მსაჯი: ვებერი

### აინტრახტი 5:1 ლაუტრენი

1:0 ჩენ იანგი (47), 1:1 შიონბერგი (68პ), 2:1 სობოჩიკი (71), 3:1 გებჰარდტი (80), 4:1 ბ. შნაიდერი (82), 5:1 ფიორტოფტი (88)
აინტრახტი: ნიკოლოვი, იანსენი (ვესტერტალერი 86), კუჩერა, ბინდევალდი, ცამპახი (ბრინკმანი 69), შური, ბ. შნაიდერი, სობოჩიკი, ვებერი (გებჰარდტი 58), ჩენ იანგი, ფიორტოფტი
კაიზერსლაუტერნი: რაინკე, რამზი (ბალაკი 58), კოხი, შიონბერგი, ბუკი, რატინიო, სფორცა, რიდლი (რაიხი 52), ვაგნერი, როსლერი (რიშე 35), მარშალი
გაფრთხილება: ბ. შნაიდერი, გებჰარდტი
მსაჯი: იანსენი

### გლადბახი 0:2 დორტმუნდი

0:1, 0:2 შაპუიზა (53, 78)
მიონხენგლადბახი: ენკე, ანდერსონი, ასანინი, კლინკერტი, ებერლი, სოპიჩი (ფელდჰოფი 78), დაისლერი, ჰაუსვაილერი (ვილა 82), ფრონცეკი (რაიტერი 46), პეტერსონი, ვიტეჩეკი
დორტმუნდი: ლემანი, ნიეგუსი, როიტერი, კოლერი, რიკენი, სტევიჩი, მიოლერი, ნერლინგერი (კ. ბაუმანი 85), დედე, ჰერლიხი (სალუ 90), შაპუიზა (ჰენგენი 89)
გაფრთხილება: ვიტეჩეკი, სოპიჩი, ებერლი, როიტერი, ნერლინგერი, ჰერლიხი
მსაჯი: დარდენე

### შტუტგარტი 1:0 ვერდერი

1:0 ბობიჩი (6)
შტუტგარტი: ვოლფარტი, ტიამი, ვერლაატი, ოსვალდი, კელერი, პინტო (როსტი 57), სოლდო, ბალაკოვი, კარნელი, აკპობორი (ცაიერი 63), ბობიჩი (რისტიჩი 80)
ვერდერი: როსტი, ტრარესი, ვოიტალა (დაბროვსკი 46), მაქსიმოვი (აილტონი 67), ფრინგსი, აილტსი, ა. ჰერცოგი, ვიკი, ვიდნერი, ბოგდანოვიჩი, ბოდე
მსაჯი: ფრიოლიხი

### დუისბურგი 6:1 ვოლფსბურგი

0:1 იუსკოვიაკი (26), 1:1 შპისი (35), 2:1, 3:1, 4:1 ბაიერლე (37, 55, 65), 5:1 კომლიენოვიჩი (70), 6:1 შპისი (83)
დუისბურგი: მენგერი, კომლიენოვიჩი (ანდერსენი 84), ვოლერტი, ჰაიტო, ვოლტერსი, ვედაუ (ემერლინგი 72), ტიოფტინგი (შრამი 84), ჰირში, ოსტჰოფი, ბაიერლე, შპისი
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ტომსენი, ონილი, კრიგერი (ნაგორნი 57), გრაინერი, კოვაჩევიჩი (კაპეტანოვიჩი 46), აკონორი, ნოვაკი, მალტრიცი, ბაუმგარტი (დებრიცი 70), იუსკოვიაკი
გაფრთხილება: ონილი
მსაჯი: ბერგი

### მიუნხენი 4:5 შალკე

1:0 ჩერნი (4), 1:1 ჰამი (9), 2:1 ჰობში (18), 2:2 ნემეცი (19), 2:3 მაქსი (41), 3:3 ჰობში (42), 4:3 კურცი (44), 4:4 ტონი (68), 4:5 ჰამი (90პ)
მიუნხენი: მ. ჰოფმანი, ვანენბურგი, ჯორჯესი (კინცი 46), კურცი (შტრანცლი 75), ჩერნი, ბორიმიროვი, ბენდერი (ოუაკილი 64), მალცი, ჰელდტი, შროტი, ჰობში
შალკე: შობერი, მიულერი, ტონი, ტაპალოვიჩი, ჰელდი (შირენბერგი 74), ნემეცი (კაია 63), ალპუგანი, ჰამი, ბიუსკენსი, მაქსი, ვოლფი (პერეირა 79)
გაფრთხილება: კურცი, ჰელდტი, ბორიმიროვი, ჰოფმანი, კაია
მსაჯი: ვაინერი

### ბოხუმი 2:3 ჰანზა

0:1 ნოივილი (37), 1:1 კუნცი (70), 2:1 პეშელი (73), 2:2 აგალი (77), 2:3 მაიაკი (82)
ბოხუმი: ტ. ერნსტი, სუნდერმანი (პეშელი 38), ვალდოხი, ფარენჰორსტი, ტოპლაკი, ცაიერი, შინდცილორცი (მიხალკე 46), ნ. ჰოფმანი, გაუდინო (კუნცი 58), ბასტურკი, ბუკლი
ჰანზა: პიკენჰაგენი, ელერსი (ჰოლეჩეკი 67), ვაილანდტი, რემერი, იასერი (რამდანე 78), ემარა, ბრაიტკროიცი, ვიბრანი, ლანგე (მაიაკი 78), ნოივილი, აგალი
მსაჯი: მერკი

# საბრალო ნიურნბერგი

კი, ბატონო, ფეხბურთი სპორტის ის სახეობაა, რომელსაც ბურთით თამაშობენ, ბურთი კი მრგვალია და ამას რა შეიძლება მოჰყვეს, ყველაზე კარგად გასულ ოთხშაბათს, ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩში გამოჩნდა. მაგრამ, ის რაც შაბათს, ბუნდესლიგის ჩემპიონატის ბოლო ტურში მოხდა, არა მგონია, მარტო ბურთის ფორმის ბრალი ყოფილიყო.

შაბათამდე გერმანიის ჩემპიონის, ვიცე-ჩემპიონის და ორი გავარდნილი გუნდის ვინაობა უკვე ცნობილი გახლდათ. ოთხეულში მოხვედრა, ანუ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაში ჰქონდა დაბევებული ბერლინის „ჰერტასაც“. გარდა ამისა, მეშვიდე ადგილზე მყოფ „ჰამბურგს“ როგორც არ უნდა ეთამაშა, უეფას თასის საგზურს აღარ კარგავდა, რადგან „დუისბურგზე“ ოთხი ქულით მეტი ჰქონდა. ასე რომ, მეოთხეადგილოსნისა და მესამე მეორებუნდესლიგელის ვინაობაღა იყო გასარკვევი. თავიდან გასავარდნებზე ვთქვათ.

მთავარ კანდიდატად ფრანკფურტის „აინტრახტი“ ითვლებოდა, რომელსაც შინ უმძიმესი მატჩი ელოდა ჩემპიონთა ლიგაში გასვლისთვის მებრძოლ „კაიზერსლაუტერნთან“. „ჰანზა“ უკვე გავარდნილ „ბოხუმს“ სტუმრობდა, და ამიტომ ყველა პირველის მოგებას წინასწარმეტყველებდა. „ნიურნბერგი“ — „ფრაიბურგის“ მატჩში ფრე ორივე გუნდს აწყობდა. ხოლო „შტუტგარტი“ კი „ვერდერს“ მასპინძლობდა. სტუმრებს დარჩენა განაღდებული ჰქონდათ და მატჩს არანაირ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ.

შაბათს პირველი ტაიმების შემდეგ „აინტრახტი“ განწირული ჩანდა. ყველა კონკურენტი იგებდა, ცხადია, „ნიურნბერგის“ გარდა, მაგრამ ფრანკფურტელებს რომ მისთვის გაესწროთ, ოთხი გოლი უნდა გაეტანათ, რაც უტოპია ჩანდა, მაგრამ...

დაახლოებით 50-ე წუთზე „ნიურნბერგის“ მწვრთნელმა ფრიდელ რაუშმა რაწამს შეიტყო, „აინტრახტი“ დაწინაურდაო, ფრაიბურგელ კოლეგას მიეჭრა და რაღაც უთხრა. ამან, ბუნებრივია, ეჭვები აღძრა. თუმცა მალე „ლაუტერნმა“ ანგარიში გაათანაბრა და რაუშიც დაწყნარდა, მაგრამ 70-ე წუთიდან მოყოლებული ისე აღელდა, კარგა ხანს ვერავინ დააწყნარა. მიზეზი ფრანკფურტიდან მოსული ამბები გახლდათ.

70-ე წუთიდან „აინტრახტი“ გააქტიურდა, „ლაუტერნის“ კარს გააფრებით შეუტია და „სასწაულიც“ მოხდა. 71-ე წუთზე სობოჩიკმა ზუსტი თავურით მეორედ დააწინაურა მასპინძლები. მე-80 წუთზე გებჰარდტმა ბალაკი ბავშვივით გააპამპულავა და ანგარიში 3:1 გახადა, მალე ბერნდ შნაიდერმაც ივარგა — 4:1. 88-ე წუთზე კი „ლაუტერნის“ დაცვა შეცდა უხეშად, ფიორტოფტი მეკარესთან პირისპირ გავიდა და აუღელვებლად შეაგორა ბურთი კარში. სიმართლე ითქვას, ფიორტოფტს დარტყმული არ ჰქონდა, რაინკე რომ გვერდზე გადახტა. „აინტრახტმაც“ 5:1 მოიგო და პირველ ბუნდესლიგაში დარჩა, რადგან „ნიურნბერგმა“ „ფრაიბურგთან“ წააგო და გატანილი გოლი „აინტრახტზე“ ნაკლები აღმოაჩნდა. უქართველებოდ დარჩენილმა „ფრაიბურგმა“ სულ ორჯერ შეუტია მეტოქეს და ორჯერვე შედეგიანად. 27-ე წუთზე გიუნეშმა გახსნა ანგარიში, მალე კი დუბლიც შეასრულა. მეორე ტაიმში სტუმრებს წინ წასვლა აღარც უცდიათ. ხოლო მასპინძლები უტევდნენ, მაგრამ თამაშის მიწურულამდე გოლი ვერ გაიტანეს. 85-ზე ნიკლმა ერთი ბურთი გაქვითა. ბოლო წუთზე მანვე შორიდან ძელს გაარტყა, ბაუმანის ახლოდან დამატებული კი გოლცმა აიღო, რომელმაც მეორე დარტყმის დროს წამოდგომა და მეორე მხარეს გადახტომა მოასწრო. არადა, მატჩი რომ ფრედ დასრულებულიყო, „ნიურნბერგიც“ რჩებოდა და „ფრაიბურგიც“. თამაშის შემდეგ სტუმართა გასახდელთან არეულობა სუფევდა, გოლცი კი „რატომღაც“ დამწუხრებული ჩანდა.

„დღეს ჩვენ მიწაზე დავენარცხეთ. ასეთ რამეს ვერც კი წარმოვიდგენდი. იქნებ ჩემი სამწვრთნელო კარიერაც დავასრულო. „ნიურნბერგს“ კი პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნებას ვუსურვებ“ — განაცხადა რაუშმა მატჩის შემდეგ, თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, მწვრთნელი აქტიურ კარიერას გააგრძელებს და კვლავ „ნიურნბერგს“ გაწვრთნის.

„აინტრახტთან“ მარცხმა ჩემპიონთა ლიგის გარეთ დატოვა „კაიზერსლაუტერნი“, რომელსაც ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით გადაასწრო „დორტმუნდმა“. მიხაილ სკიბეს გუნდი შაბათს „გლადბახს“ ესტუმრა და უპრობლემოდ დაამარცხა — 2:0. ორივე გოლი შვეიცარიელმა შტეფან შაპუიზამ გაიტანა.

დიდი ზეიმი გაიმართა ბერლინში, სადაც „ჰერტამ“ „ჰამბურგი“ მიიღო, 6:1 გაანადგურა და თავის ისტორიაში უდიდეს წარმატებას მიაღწია. გუნდმა ბრინჯაოს მედლები და ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა. „მენიუ გვიფრთხილდი, ჩვენ მოვდივართ“ — ასეთი შინაარსის ტრანსპარანტები გადმოეფინათ გერმანელ ქომაგებს, რომლებიც ჩემპიონთა თასის ახალ მფლობელებს აფრთხილებენ. ამ მატჩში ჰეთ თრიკი შეასრულა ჩემპიონატის ბომბარდირმა მიხაელ პრეეტცმა.

„მიუნხენის „ბაიერნი“ ამ შოკიდან შესაძლოა ვერც მომავალ ჩემპიონატში გამოვიდეს“ — წერდა პარასკევს გერმანული ჟურნალი „კიკერი“. „მანჩესტერთან“ მძიმე ფინალური მატჩიდან ორი დღის შემდეგ, „ბაიერნი“ „ლევერკუზენს“ ეწვია და, ყველას გასაკვირად, მოიგო.

„ბაიერნს“ იმ მატჩის კვალი აღარც ეტყობოდა. კლუბს ლევერკუზენში ქომაგებიც საკმაოდ ჩაჰყვნენ. „ბაიერნმაც“ მთელი მატჩი ძალიან კარგად ჩაატარა და მეტოქეს აშკარად აჯობა. დებიუტშივე დაეიმ თავით ძელს გაარტყა ბურთი. მე-11 წუთზე კი ბასლერმა ჯარიმიდან ჩვეულად დაარტყა, ბურთი მაიერს მოხვდა და მიმართულება შეცვლილი კარის ბადეში აღმოჩნდა. მალე ისევ დაეიმ შეაზანზარა ძელი. მეორე ტაიმში ბასლერის დარტყმულიც ძელმა მოიგერია, თუმცა 61-ე წუთზე შოლმა ითამაშა კარგად და ახლოდან ანგარიშის სხვაობა გაზარდა. „ლევერკუზენმა“ ბოლოს ერთი ბურთის გაქვითვაღა შეძლო, ზე რობერტოს ფლანგური გარღვევა კირსტენმა დააგვირგვინა.

„დორტმუნდში“ გადასვლის წინ „შტუტგარტში“ ბოლო მატჩი ჩაატარა ფრედი ბობიჩმა. „ვერდერთან“ საშინაო შეხვედრაში მასპინძლებს გამარჯვება სჭირდებოდათ. ბობიჩმაც მთელი თავისი ნიჭი და ოსტატობა ჩააქსოვა თამაშში და შედეგიც მოიმკო. მატჩის დებიუტში მისმა ზუსტმა თავურმა „შტუტგარტს“ მოაგებინა.

სულ მალე წლევანდელი ჩემპიონატის საუკეთესო მწვრთნელი უნდა დაასახელონ. გამარჯვების ერთ-ერთ მთავარ კანდიდატად „ვოლფსბურგის“ თავკაცი ვოლფგანგ ვოლფიც ითვლება. თუმცა შაბათის შემდეგ ამას ალბათ ვეღარ შეძლებს. ბოლო ტურში „ვოლფსბურგს“ სტუმრად „დუისბურგისთვის“ რომ მოეგო, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზეც მოხვდებოდა, მაგრამ მოგებას ვინ ჩივის, სტუმრები 1:6 განადგურდნენ.

**ვანო ოქროპირიძე**



REUTERS შტუტგარტიდან

შტუტგარტი — ვერდერი 1:0. ფრედი ბობიჩი (მარცხნივ) „შტუტგარტს“ თავაწეული სტოვებს. მისმა გოლმა კლუბს ელიტაში ადგილი შეუნარჩუნა

| ბომბარდირები | |
|---|---|
| პრეეტცი (ჰერტა) | 23 |
| კირსტენი (ლევერკუზენი) | 19 |
| ნოივილი (ჰანზა) | 14 |
| იებოა (ჰამბურგი) | 14 |
| ელბერი (ბაიერნი) | 13 |
| იანკერი (ბაიერნი) | 13 |
| ჩირიჩი (ნიურნბერგი) | 13 |
| ბაიერლე (დუისბურგი) | 13 |
| იუსკოვიაკი (დუისბურგი) | 13 |

## მეორე ბუნდესლიგა

II ბუნდესლიგა

XXXII ტური

### კარლსრუე 1:1 არმინია

0:1 მაისნერი (5), 1:1 გუიე-მაინი (30)

### კიოლნი 2:1 ვატენშაიდი

1:0 შპრინგერი (10), 2:0 აზიზი (56), 2:1 შტარკი (86პ)

### ულმი 3:2 კიკერსი

1:0 ზდრილიჩი (4), 1:1 მარიჩი (18), 2:1 როსლერი (50), 3:1 მაიერი (80), 3:2 მაიერი (89ს.კ.)

### ზანქტ პაული 5:0 დიუსელდორფი

1:0 პანკე (24), 2:0 მეგლე (39), 3:0 ტრულსენი (54პ), 4:0 კლასნიჩი (56), 5:0 მეგლე (64)

### მაინცი 3:0 ურდინგენი

1:0 ჰოკი (50), 2:0 სპირკა (64), 3:0 პერცბერგერი (90)

### კოტბუსი 2:0 ფორტუნა

1:0 ფრანკლინი (45), 2:0 მირიუტა (53)

### გიუტერსლო 0:3 ობერჰაუზენი

0:1 ვებერი (67), 0:2 გაისმაიერი (79), 0:3 იუდტი (82)

### ჰანოვერი 0:0 ბერლინი

### უნტერჰახინგი — ფიურტი

*იხილეთ მე-16 გვერდი*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არმინია | 32 | 18 | 7 | 7 | 54:29 | 61 |
| უნტერჰახინგი | 31 | 18 | 5 | 8 | 40:24 | 59 |
| ულმი | 32 | 14 | 12 | 6 | 61:51 | 54 |
| კარლსრუე | 32 | 16 | 4 | 12 | 50:41 | 52 |
| ჰანოვერი | 32 | 14 | 9 | 9 | 49:35 | 51 |
| ბერლინი | 32 | 14 | 9 | 9 | 44:37 | 51 |
| ფიურტი | 31 | 13 | 9 | 9 | 39:26 | 48 |
| მაინცი | 32 | 13 | 8 | 11 | 45:40 | 47 |
| კიოლნი | 32 | 12 | 9 | 11 | 42:45 | 45 |
| ზტ. პაული | 32 | 11 | 8 | 13 | 42:43 | 41 |
| კიკერსი | 32 | 11 | 8 | 13 | 35:44 | 41 |
| ობერჰაუზენი | 32 | 9 | 13 | 10 | 39:44 | 40 |
| ფორტუნა | 32 | 9 | 12 | 11 | 48:53 | 39 |
| კოტბუსი | 32 | 8 | 11 | 13 | 40:42 | 35 |
| გიუტერსლო | 32 | 9 | 7 | 16 | 37:54 | 34 |
| ურდინგენი | 32 | 7 | 9 | 16 | 33:51 | 30 |
| ვატენშაიდი | 32 | 6 | 9 | 17 | 26:42 | 27 |
| დიუსელდორფი | 32 | 4 | 13 | 15 | 32:55 | 25 |

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბაიერნი | 34 | 24 | 6 | 4 | 76:28 | 48 | 78 | 17 | 14 | 3 | 0 | 48:15 | 33 | 45 | 17 | 10 | 3 | 4 | 28:13 | 15 | 33 |
| 2 | ლევერკუზენი | 34 | 17 | 12 | 5 | 61:30 | 31 | 63 | 17 | 9 | 6 | 2 | 33:15 | 18 | 33 | 17 | 8 | 6 | 3 | 28:15 | 13 | 30 |
| 3 | ჰერტა | 34 | 18 | 8 | 8 | 59:32 | 27 | 62 | 17 | 14 | 1 | 2 | 38:10 | 28 | 43 | 17 | 4 | 7 | 6 | 21:22 | -1 | 19 |
| 4 | დორტმუნდი | 34 | 16 | 9 | 9 | 48:34 | 14 | 57 | 17 | 14 | 2 | 1 | 35:10 | 25 | 44 | 17 | 2 | 7 | 8 | 13:24 | -11 | 13 |
| 5 | ლაუტერნი | 34 | 17 | 6 | 11 | 50:47 | 3 | 57 | 17 | 11 | 3 | 3 | 33:18 | 15 | 36 | 17 | 6 | 3 | 8 | 17:29 | -12 | 21 |
| 6 | ვოლფსბურგი | 34 | 15 | 10 | 9 | 54:48 | 6 | 55 | 17 | 10 | 5 | 2 | 35:16 | 19 | 35 | 17 | 5 | 5 | 7 | 19:32 | -13 | 20 |
| 7 | ჰამბურგი | 34 | 13 | 11 | 10 | 47:46 | 1 | 50 | 17 | 9 | 5 | 3 | 25:14 | 11 | 32 | 17 | 4 | 6 | 7 | 22:32 | -10 | 18 |
| 8 | დუისბურგი | 34 | 13 | 10 | 11 | 48:45 | 3 | 49 | 17 | 9 | 5 | 3 | 32:18 | 14 | 32 | 17 | 4 | 5 | 8 | 16:27 | -11 | 17 |
| 9 | მიუნხენი | 34 | 11 | 8 | 15 | 49:56 | -7 | 41 | 17 | 7 | 4 | 6 | 28:23 | 5 | 25 | 17 | 4 | 4 | 9 | 21:33 | -12 | 16 |
| 10 | შალკე | 34 | 10 | 11 | 13 | 41:54 | -13 | 41 | 17 | 5 | 5 | 6 | 20:23 | -3 | 21 | 17 | 5 | 5 | 7 | 21:31 | -10 | 20 |
| 11 | შტუტგარტი | 34 | 9 | 12 | 13 | 41:48 | -7 | 39 | 17 | 8 | 5 | 4 | 25:15 | 10 | 29 | 17 | 1 | 7 | 9 | 16:33 | -17 | 10 |
| 12 | ფრაიბურგი | 34 | 10 | 9 | 15 | 36:44 | -8 | 39 | 17 | 5 | 6 | 6 | 17:18 | -1 | 21 | 17 | 5 | 3 | 9 | 19:26 | -7 | 18 |
| 13 | ვერდერი | 34 | 10 | 8 | 15 | 41:47 | -6 | 38 | 17 | 4 | 6 | 7 | 23:24 | -1 | 18 | 17 | 6 | 2 | 9 | 18:23 | -5 | 20 |
| 14 | ჰანზა | 34 | 9 | 11 | 14 | 49:58 | -9 | 38 | 17 | 7 | 6 | 4 | 30:22 | 8 | 27 | 17 | 2 | 5 | 10 | 19:36 | -17 | 11 |
| 15 | აინტრახტი | 34 | 9 | 10 | 15 | 44:54 | -10 | 37 | 17 | 6 | 6 | 5 | 26:21 | 5 | 24 | 17 | 3 | 4 | 10 | 18:33 | -15 | 13 |
| 16 | ნიურნბერგი | 34 | 7 | 16 | 11 | 40:50 | -10 | 37 | 17 | 3 | 11 | 3 | 23:23 | 0 | 20 | 17 | 4 | 5 | 8 | 17:27 | -10 | 17 |
| 17 | ბოხუმი | 34 | 7 | 8 | 19 | 40:65 | -25 | 29 | 17 | 5 | 3 | 9 | 21:28 | -7 | 18 | 17 | 2 | 5 | 10 | 19:37 | -18 | 11 |
| 18 | გლადბახი | 34 | 4 | 9 | 21 | 41:79 | -38 | 21 | 17 | 4 | 4 | 9 | 25:35 | -10 | 16 | 17 | 0 | 5 | 12 | 16:44 | -28 | 5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხუთეული და ისევ სამი ქულა

## ესპანეთი

XXXVI ტური

### ბილბაო 1:3 ბარსელონა

0:1 კლუივერტი (6), 1:1 ფერეირა (49), 1:2, 1:3 რივალდო (65პ, 88)

ბილბაო: ი. ეჩებერია, ალკორტა, ფელიპე, ხოსე მარი (ლარასაბალი 72), ფერეირა, ურუტია (ხავი გონსალესი 60), ი. გერერო, ალკისა, ესკუერო, ხ. ეჩებერია, ლარაინსარი (ურსაისი 75)

ბარსელონა: არნაუ, პელეგრინო, აბელარდო, სერხი, ფ. დე ბური, გვარდიოლა, ფიგუ, კოკუ, რ. დე ბური (სელადესი 65), კლუივერტი (ანდერსონი 54, ზენდენი 72), რივალდო

გაფრთხილება: ალკორტა, ურუტია, ი. გერერო, ლარაინსარი, ფ. დე ბური, ფიგუ, გვარდიოლა, კოკუ, რივალდო

გაძევება: ფელიპე (64), გვარდიოლა (90)

მსაჯი: დიას ვეგა

### ვალენსია 3:0 ოვიედო

1:0 მენდიეტა (44პ), 2:0, 3:0 კ. ლოპესი (60, 76პ)

ვალენსია: კანისარესი, ჯუკიჩი, კარბონი, როში, ანგლომა, მენდიეტა (ხუანფრანი 65), ფარინოსი, მიია (შვარცი 76), კ. ლოპესი, ილიე (ვლაოვიჩი 46), ანგულო

ოვიედო: ესტებანი, მორენო, მანელი (ბორისი 59), კეიტა, საავედრა, ივან იგლესიასი, ამიევა, ივან ანია (ხაიმე 73), ნადი, დუბოვსკი, მიოლერი (ფაბიო პინტუ 52)

გაფრთხილება: ჯუკიჩი, ვლაოვიჩი, მანელი

გაძევება: ნადი (24)

მსაჯი: მეგია დავილა

### სელტა 2:0 ტენერიფე

1:0 რევივო (43), 2:0 კარპინი (66)

სელტა: დუტრუელი, ბერხესი, კასერესი, ოსკარ ვალესი, ჯოროვიჩი, ტომასი, კარპინი (ხოსემა 81), მოსტოვოი (კრუიფი 61), მაკელელე, რევივო (კაირესი 75), პენევი

ტენერიფე: უნსუე, ალექსისი, ბალესტეროსი, ბასავილბასო (ხავი ლოპესი 46), იოკანოვიჩი, დანი, ჩანო (პინილია 70), ემერსონი, პიერი, ხუანელე (მაკაი 51), მისტა

გაფრთხილება: ბერხესი, კასერესი, პენევი, იოკანოვიჩი, ჩანო

მსაჯი: ლოსანტოს ომარი

### ესტრემადურა 2:1 ატლეტიკო

0:1 ხოსე მარი (15), 1:1 ფელიქსი (40), 2:1 დურე (60)

ესტრემადურა: გასპერჩიჩი, ფელიქსი, კალა, სოტო, ოსკარი, ბელენგერი, დავიდი, ვიოდო, დურე, ესპოზიტო, გაბრიჩი

ატლეტიკო: მოლინა, შამოტი, სანტი, აგილერა, სერენა, ჟუნინიო, ლარდინი, მენა, ბეიბლი, ხუან გონსალესი, ხოსე მარი

გაფრთხილება: სანტი

გაძევება: სანტი (45)

მსაჯი: მედინა კანტალიეხო

### სალამანკა 0:1 სოსიედადი

0:1 იდიაკესი (52)

სალამანკა: აისპურუა, დინო, პავლიჩიჩი, ლუპიდიო (ბარბარა 75), ლანა (მედინა 55), ედუ ალონსო, როხერიო (მარინესკუ 65), ჯოვანელა, ველისკა, კასარტელი, სილვანი

სოსიედადი: ალბერტო, არანსაბალი, გომესი (კუხბაუერი 68), პიკაბეა, ფ. გერერო, ლოპეს რეკარტე, დე პედრო, არამბურუ (გრასია 79), სა პინტუ (დე პაულა 76), კოვაჩევიჩი, იდიაკესი

გაფრთხილება: ჯოვანელა, ლოპეს რეკარტე, არამბურუ, გრასია, კოვაჩევიჩი

მსაჯი: პუენტეს ლეირა

### რასინგი 1:1 დეპორტივო

1:0 მუნიტისი (78), 1:1 ჯალმინია (81პ)

რასინგი: გროდასი, მელბერგი, არსენო, სიეტესი, ტაისი, ვიქტორი (ბესჩასტნიხი 71), შუსტიკოვი, ამავისკა, სალვა, მაგალანეში, მუნიტისი

დეპორტივო: სონგო, ნაიბეტი, შურერი, მანუელ პაბლო, ბონისელი, მაურო სილვა, ჯალმინია (არმანდო 89), პაჯი (სკალონი 84), ზიანი (მანხარინი 84), დონატო, ტურუ ფლორესი

გაფრთხილება: ტაისი, ვიქტორი, ამავისკა, სალვა, ნაიბეტი, შურერი, მანუელ პაბლო, ბონისელი, ჯალმინია, დონატო

მსაჯი: ესკინას ტორესი

### სარაგოსა 4:0 ვილიარეალი

1:0, 2:0 მილოშევიჩი (38, 48), 3:0 იორდი (56), 4:0 აგუადო (68)

74-ე წუთზე მოიზესმა (ვილიარეალი) ვერ გაიტანა პენალტი

სარაგოსა: ხუანმი, სოლანა (ჟილმარი 80), აგუადო, სუნდგრენი, პაკო, ხოსე იგნასიო (არაგონი 84), კილი გონსალესი, ტორო აკუნია, მილოშევიჩი, იორდი (ჯამელი 80), გ. ლოპესი

ვილიარეალი: პალოპი, პასკუალი, ტელესი (ხავი სანჩისი 73), ტაშევსკი, გარსია სანხუანი, რობერტო (დიასი 57), ალბელდა, ხერარდო, კრაიოვეანუ, ალფარო, ალბერტო (მოიზესი 46)

გაფრთხილება: ხოსე იგნასიო, პასკუალი, გარსია სანხუანი, მოიზესი

მსაჯი: ლოპეს ნიეტო

### ბეტისი 2:0 ვალიადოლიდი

1:0 გალვესი (28), 2:0 ფინიდი (64პ)

ბეტისი: ვალერიო, ლუის ფერნანდესი, მერინო, ოლიასი, ფილიპესკუ, ალექსისი (იტო 46), კანიასი, ბენხამინი (დენილსონი 46), ფინიდი, ოლი, გალვესი (ხუან ხესუსი 66)

ვალიადოლიდი: ორლანდო, სეზარი, მარკოსი, გარსია კალვო, სანტამარია, ხულიო სეზარი, ჩემა (გუტიერესი (90), ვისკაინო, აროლდ ლოსანო, კამინერო (ემილიო 74), კლიმოვიჩი (ალბერტო 74)

გაფრთხილება: მერინო, დენილსონი, ოლი, ორლანდო, მარკოსი, აროლდ ლოსანო, კამინერო

გაძევება: აროლდ ლოსანო (67)

მსაჯი: პერეს ლასა

### ესპანიოლი 3:0 ალავესი

1:0 ტამუდო (20), 2:0 დე ლუკასი (23), 3:0 კაპდევილა (78)

ესპანიოლი: ტონი, კრისტობალი, ნანდო, პოჩეტინიო, სერხიო, ივან ელგერა, გალკა, კაპდევილა, დე ლუკასი (პაჩეტა 66), დარიო სილვა (ბენიტესი 70), ტამუდო (მარტინ პოსე 77)

ალავესი: ტიტო, ივან როჩა, კარმონა, ბელსუე, ბერუე (ალბისტეგი 48), იბონ ბეგონია (მანიო 46), კანაბალი, პაბლო გომესი (სალინასი 75), ხერარდი, დესიო, ვიტამინა სანჩესი

გაფრთხილება: მანიო, დესიო, ვიტამინა სანჩესი

მსაჯი: ფერნანდეს მარინი

### რეალი 2:1 მალიორკა

1:0, 2:0 მორიენტესი (32, 86), 2:1 დანი (90)

რეალი: ილგნერი, პანუჩი, რობერტო კარლოსი, იერო, ივან კამპო, რედონდო, ზეედორფი, იარნი (სანჩისი 66), რაული (გუტი 85), მიატოვიჩი (სავიო 72), მორიენტესი

მალიორკა: როა, მ. სოლერი, სივიერო, მარსელინო, ოლაისოლა, იბაგასა, სტანკოვიჩი (პაუნოვიჩი 75), ლორენი, ენგონგა, დანი, ჩუპა ლოპესი (კარლოსი 65)

გაფრთხილება: რობერტო კარლოსი, იერო, სანჩისი, მარსელინო, ენგონგა

გაძევება: ენგონგა (90)

მსაჯი: იტურალდე გონსალესი





რეალი — მალიორკა 2:1. მადრიდელებს უშუალო კონკურენტის დამარცხება ძალიან გაუჭირდათ

...კვლავ ბრძოლა ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრისთვის, ისევ და ისევ ხუთი გუნდი. ისევე, როგორც ადრე, სხვაობა ახლაც სამი ქულა და, ცხადია, ძალიან, ძალიან დიდი დაძაბულობა. სწორედ ასე შეიძლება დახასიათდეს იმ ხუთი გუნდის პაექრობა, მეორედან მეექვსე ადგილზე რომ განაწილებულან. ეს ხუთეული აგერ უკვე რამდენიმე ტურია, ლიდერებს იცვლის, თუმცა ვინაიდან ესპანეთის ჩემპიონატი მთავრდება, სავარაუდოა, რომ წინწასულნი ადგილის შენარჩუნებას შეეცდებიან.

ხუთეულის ლიდერი მადრიდის „რეალი" უშუალო კონკურენტთაგან ერთ-ერთს — „მალიორკას" მასპინძლობდა. უელსელი მწვრთნელის, ჯონ ტოშაკის ხელში სამეფო კლუბი შინ აქამდე 38 შეხვედრაში არ დამარცხებულიყო და არც ოცდამეცხრამეტედ წააგო. მასპინძლებმა მორიგი მატჩიც მოიგეს და ორი კურდღელიც დაიჭირეს — ხუთეულის სათავეში მოკალათდნენ, თან ერთ-ერთი კონკურენტი დაამარცხეს.

ლორენსო სანსი, მადრიდის „რეალის" პრეზიდენტი, უკმაყოფილო გახლდათ. მაინც, რას უნდა გაეფუჭებინა პრეზიდენტისთვის გუნება-განწყობილება? ალბათ, იმას, თუ რა გზით მიაღწიეს გამარჯვებას, თორემ მოგება რომ თავისთავად სასიხარულოა, ეს ცხადია. „მალიორკა" კი „რეალმა" გაჭირვებით დაამარცხა.

მიუხედავად იმისა, რომ მადრიდელები მეტოქეს ფერნანდო მორიენტესის ორი გოლის წყალობით ამარცხებდნენ, ყოველწამს მოსალოდნელი იყო მატჩის ჩარხი მასპინძელთა საწინააღმდეგოდ შეტრიალება. ასეთი ვითარების უპირველესი მიზეზი და თავიდათავი გახლდათ კუნძულელთა საუკეთესო თავდამსხმელი დანი, იგივე დანიელ გარსია ლარა.

— „რეალის" წინააღმდეგ ყოველთვის მთელი ძალით ვთამაშობ. ეს გუნდი ჩემთვის უფრო მეტია, ვიდრე მეტოქე. თავის დროზე მან ჩემზე უარი თქვა. მსურს, დავამტკიცო, რომ შეცდა — თამაშამდე ორი დღით ადრე, გაზეთ AS-ისთვის მიცემულ ინტერვიუში დანის ასეთმა ფრაზამ დიდი ყურადღება მიიქცია. მიუხედავად იმისა, რომ სამეფო კლუბის შემადგენლობაში დანიმ შარშან ჩემპიონთა ლიგა მოიგო, აშკარად ეტყობოდა, რომ იგი ნათქვამს ასრულებდა — თავს არ ზოგავდა და საბოლოოდ მიაღწია კიდეც მიზანს. მსაჯმა მატჩს რამდენიმე წუთი დაამატა და ყველაფერი წამებში მოხდა — დანიმ პანუჩის აჯობა, არც ივან კამპოს დააყენა კარგი დღე და ილგნერსაც გაუტანა. გოლი ლამაზი გამოდგა. დრო რომ ყოფილიყო, მალიორკელებს ეგებ გაეთანაბრებინათ კიდეც, მაგრამ...

— ასეთი თამაშით შორს ვერ წავალთ. ნურავინ იფიქრებს, რომ „რეალის" მეორე ადგილზე აღზევებით კმაყოფილი ვარ. ჩვენ ჩემპიონობისთვის ვიბრძოდით. რადგან ოქროს ვერ შევწვდით, ჩემპიონთა ლიგაში გასვლა კარგ შედეგად არ უნდა ჩავთვალოთ — ეს ასეც უნდა მომხდარიყო — ლორენსო სანსი.

ცნობისთვის: ესპანეთის ჩემპიონატების ისტორიის მანძილზე „მალიორკას" „რეალი" მადრიდში არ დაუმარცხებია. საერთოდაც ესპანეთის დედაქალაქში „რეალის" წინააღმდეგ აქამდე ჩატარებული თოთხმეტი მატჩიდან კუნძულელებმა მხოლოდ ორჯერ ითამაშეს ფრედ.

მესამე ადგილზე აღზევდა ვიგოს „სელტა", მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური კლუბი. „სელტა" „ტენერიფეს", ჩემპიონატის აუტსაიდერს მასპინძლობდა და მისი გამარჯვება ასე თუ ისე მოსალოდნელიც იყო. ამ შეხვედრაზეც იგივე შეიძლება ითქვას, რაც „რეალი" — „მალიორკას" დაპირისპირებაზე — მასპინძლებმა გაჭირვებით მოიგეს.

„სელტას" ლიდერები უმეტესწილად უცხოელი ფეხბურთელები არიან. „ტენერიფესთან" კლუბს სწორედ ლეგიონერებმა მოაგებინეს — ებრაელმა ჰაიმ რევივომ და რუსმა ვალერი კარპინმა ორი უპასუხო გოლი გაიტანეს.

— წლევანდელი სეზონი ჩვენი კლუბის ისტორიაში საუკეთესოა. კარგი იქნება, თუ მას წარმატებით დავაგვირგვინებთ — განაცხადა „სელტას" პრეზიდენტმა ორასიო გომეს არაუხომ. არავის უკითხავს, რა იგულისხმა პრეზიდენტმა „სეზონის წარმატებით დაგვირგვინებაში". ეს ისედაც ნათელია — გომეს არაუხო ჩემპიონთა ლიგაზე საუბრობდა.

ჩემპიონთა თასზე თამაშის პრეტენდენტებად კვლავ ითვლებიან „ვალენსია" და „დეპორტივო", მიუხედავად იმისა, რომ მეხუთე და მეექვსე ადგილებზე არიან. ორივე კარგი გუნდია და სრულიადაც არ იქნება მოულოდნელი, თუ ჩემპიონატის დასასრულს ლიგაში მოხვდებიან.

ესპანეთის ოთხგზის ჩემპიონი და ხუთგზის თასის მფლობელი „ვალენსია" „ესტადიო მესტალაზე" „ოვიედოს" მასპინძლობდა. ვალენსიელთა გამარჯვებაში არავინ დაეჭვებულა და ამის მიზეზი იტალიელი მწვრთნელის კლაუდიო რანიერის კლუბის ძლიერება კი არა, „ოვიედო" გახლდათ — სტუმრებს ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელთა უმეტესობა არ ჰყავდათ და მათაც თამაში ოთხი, მოყვარულის სტატუსის მქონე მოთამაშით დაიწყეს. მერე საერთოდაც ათნი დარჩნენ და მასპინძლებს მეტი რა უნდოდათ?

„ვალენსიას" ლიდერი, არგენტინელი თავდამსხმელი კლაუდიო ლოპესი შეუდარებელი გახლდათ — „ბარსელონას" დამლაშქრელმა ჯერ იყო და დაახლოებით ოცდაათი მეტრიდან ულამაზესი გოლი გაიტანა, მერე კი ოვიედოელთა მცველმა იდრისა კეიტამ საჯარიმოში მასპინძელთა ფრანგ მცველ ჟოსელინ ანგლომასთან იუხეშა და ამის გამო დანიშნული პენალტიც შეაგდო.

ერთიც: „ვალენსიას" იუგოსლაველი მცველი მიროსლავ ჯუკიჩი გაფრთხილების გამო მომავალ ტურში „ტენერიფესთან" ვერ ითამაშებს.

გასულ უქმეებზე საუბარს მეორე დივიზიონით დავასრულებ: „მალაგა" პრიმერა დივიზიონში აღზევდა. კლუბი 1990 წელს დაქვეითდა და ამის შემდეგ ქვედა დივიზიონებში თამაშობდა. ერთი ხანობა მეოთხე დივიზიონშიც დაეშვა, მაგრამ ახლა საწადელს მიაღწია.

**ლაშა გოდუაძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბარსელონა | 36 | 23 | 7 | 6 | 83:40 | 43 | 76 | 18 | 12 | 3 | 3 | 48:22 | 26 | 39 | 18 | 11 | 4 | 3 | 35:18 | 17 | 37 |
| 2 | რეალი | 36 | 20 | 5 | 11 | 73:58 | 15 | 65 | 18 | 13 | 2 | 3 | 43:22 | 21 | 41 | 18 | 7 | 3 | 8 | 30:35 | -5 | 24 |
| 3 | სელტა | 36 | 17 | 13 | 6 | 69:38 | 31 | 64 | 18 | 12 | 6 | 0 | 46:14 | 32 | 44 | 18 | 5 | 7 | 6 | 23:24 | -1 | 22 |
| 4 | მალიორკა | 36 | 19 | 6 | 11 | 46:28 | 18 | 63 | 18 | 13 | 3 | 2 | 28:8 | 20 | 42 | 18 | 6 | 3 | 9 | 18:20 | -2 | 21 |
| 5 | ვალენსია | 36 | 18 | 8 | 10 | 58:36 | 22 | 62 | 18 | 10 | 5 | 3 | 35:14 | 21 | 35 | 18 | 8 | 3 | 7 | 23:22 | 1 | 27 |
| 6 | დეპორტივო | 36 | 17 | 11 | 8 | 53:39 | 14 | 62 | 18 | 11 | 5 | 2 | 32:14 | 18 | 38 | 18 | 6 | 6 | 6 | 21:25 | -4 | 24 |
| 7 | ესპანიოლი | 36 | 14 | 13 | 9 | 45:36 | 9 | 55 | 18 | 8 | 8 | 2 | 25:13 | 12 | 32 | 18 | 6 | 5 | 7 | 20:23 | -3 | 23 |
| 8 | სოსიედადი | 36 | 14 | 12 | 10 | 45:39 | 6 | 54 | 18 | 11 | 5 | 2 | 31:15 | 16 | 38 | 18 | 3 | 7 | 8 | 14:24 | -10 | 16 |
| 9 | ბილბაო | 36 | 15 | 9 | 12 | 44:46 | -2 | 54 | 18 | 9 | 5 | 4 | 25:17 | 8 | 32 | 18 | 6 | 4 | 8 | 19:29 | -10 | 22 |
| 10 | სარაგოსა | 36 | 15 | 8 | 13 | 54:45 | 9 | 53 | 18 | 10 | 3 | 5 | 33:21 | 12 | 33 | 18 | 5 | 5 | 8 | 21:24 | -3 | 20 |
| 11 | ბეტისი | 36 | 14 | 7 | 15 | 45:50 | -5 | 49 | 18 | 8 | 3 | 7 | 22:22 | 0 | 27 | 18 | 6 | 4 | 8 | 23:28 | -5 | 19 |
| 12 | ვალიადოლიდი | 36 | 12 | 8 | 16 | 32:43 | -11 | 44 | 18 | 10 | 3 | 5 | 21:15 | 6 | 33 | 18 | 2 | 5 | 11 | 11:28 | -17 | 16 |
| 13 | ოვიედო | 36 | 10 | 12 | 14 | 37:53 | -16 | 42 | 18 | 7 | 5 | 6 | 18:18 | 0 | 26 | 18 | 3 | 7 | 8 | 19:35 | -16 | 16 |
| 14 | რასინგი | 36 | 10 | 12 | 14 | 41:48 | -7 | 42 | 18 | 6 | 5 | 7 | 22:21 | 1 | 23 | 18 | 4 | 7 | 7 | 19:27 | -8 | 19 |
| 15 | ატლეტიკო | 36 | 10 | 10 | 16 | 50:49 | 1 | 40 | 18 | 7 | 7 | 4 | 34:17 | 17 | 28 | 18 | 3 | 3 | 12 | 16:32 | -16 | 12 |
| 16 | ალავესი | 36 | 10 | 7 | 19 | 34:57 | -23 | 37 | 18 | 9 | 4 | 5 | 23:16 | 7 | 31 | 18 | 1 | 3 | 14 | 11:41 | -30 | 6 |
| 17 | ესტრემადურა | 36 | 9 | 10 | 17 | 24:50 | -26 | 37 | 18 | 8 | 3 | 7 | 15:20 | -5 | 27 | 18 | 1 | 7 | 10 | 9:30 | -21 | 10 |
| 18 | ვილიარეალი | 36 | 7 | 11 | 18 | 42:61 | -19 | 32 | 18 | 5 | 6 | 7 | 26:27 | -1 | 21 | 18 | 2 | 5 | 11 | 16:34 | -18 | 11 |
| 19 | ტენერიფე | 36 | 5 | 13 | 18 | 36:60 | -24 | 28 | 18 | 3 | 9 | 6 | 22:27 | -5 | 18 | 18 | 2 | 4 | 12 | 14:33 | -19 | 10 |
| 20 | სალამანკა | 36 | 7 | 6 | 23 | 26:61 | -35 | 27 | 18 | 7 | 4 | 7 | 21:23 | -2 | 25 | 18 | 0 | 2 | 16 | 5:38 | -33 | 2 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რივალდო (ბარსელონა) | 23 |
| რაული (რეალი) | 23 |
| კ. ლოპესი (ვალენსია) | 20 |
| მორიენტესი (რეალი) | 17 |

### XXXVII ტური

13 ივნისი

ბილბაო - ალავესი (2:1)
ბარსელონა - ბეტისი (3:0)
ვალიადოლიდი - სარაგოსა (0:2)
ვილიარეალი - რასინგი (2:1)
დეპორტივო - ესტრემადურა (2:1)
ატლეტიკო - რეალი (2:4)
მალიორკა - სელტა (2:4)
ტენერიფე - ვალენსია (1:1)
ოვიედო - სალამანკა (1:1)
სოსიედადი - ესპანიოლი (1:1)

* ფრჩხილებში — პირველი წრის შედეგები

## მეორე დივიზიონი

XXXIX ტური

### კომპოსტელა 0:1 ნუმანსია

0:1 ხავი მორენო (45)

### ერკულესი 1:3 ეიბარი

0:1 არენასა (8), 1:1 ლუნა (9), 1:2 იტურინო (24), 1:3 არენასა (82პ)

### ბარსელონა B 0:3 ტოლედო

0:1 კინი (19), 0:2 კასკუერო (24), 0:3 მაიკელი (82)

### სევილია 2:2 ლეიდა

1:0 ოლივერა (50), 1:1 კალდერონი (65), 2:1 პიბიჩი (73), 2:2 მაკედა (85)

### ბადახოსი 0:0 ლას პალმასი

### ლეგანესი 0:0 მალიორკა B

### მალაგა 3:2 ალბასეტე

0:1 ლუკე (1), 1:1 ბრავო (12), 2:1 ედგარი (18), 3:1 აგოსტინიო (39), 3:2 დიასი (60)

### ორენსე 1:0 ლოგრონიესი

1:0 პიჩი (9)

### ოსასუნა 0:4 სპორტინგი

0:1 ჩერიშევი (13), 0:2 ლედიახოვი (37), 0:3, 0:4 ჩერიშევი (70, 72)

### რეკრეატივო 0:0 რაიო

### მერიდა 1:1 ატლეტიკო B

1:0 ბარატა (32), 1:1 ტევენე (60)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალაგა | 39 | 21 | 12 | 6 | 68:42 | 75 |
| ატლეტიკო B | 39 | 19 | 10 | 10 | 66:49 | 67 |
| ტოლედო | 39 | 18 | 11 | 10 | 53:42 | 65 |
| სევილია | 39 | 18 | 11 | 10 | 58:46 | 65 |
| ნუმანსია | 39 | 18 | 10 | 11 | 60:38 | 64 |
| რაიო | 39 | 17 | 13 | 9 | 60:48 | 64 |
| ლას პალმასი | 39 | 14 | 17 | 8 | 50:37 | 59 |
| კომპოსტელა | 39 | 15 | 12 | 12 | 53:45 | 57 |
| ლეიდა | 39 | 14 | 14 | 11 | 47:45 | 56 |
| რეკრეატივო | 39 | 13 | 16 | 10 | 37:27 | 55 |
| ოსასუნა | 39 | 14 | 12 | 13 | 41:44 | 54 |
| სპორტინგი | 39 | 14 | 11 | 14 | 41:41 | 53 |
| მერიდა | 39 | 13 | 14 | 12 | 44:37 | 53 |
| ბადახოსი | 39 | 12 | 13 | 14 | 30:33 | 49 |
| ალბასეტე | 39 | 11 | 14 | 14 | 34:38 | 47 |
| მალიორკა B | 39 | 12 | 9 | 18 | 46:55 | 45 |
| ლეგანესი | 39 | 10 | 15 | 14 | 35:41 | 45 |
| ლოგრონიესი | 39 | 11 | 11 | 17 | 43:51 | 44 |
| ბარსელონა B | 39 | 12 | 5 | 22 | 46:63 | 41 |
| ეიბარი | 39 | 10 | 8 | 21 | 36:56 | 38 |
| ერკულესი | 39 | 9 | 10 | 20 | 35:61 | 37 |
| ორენსე | 39 | 7 | 6 | 26 | 34:75 | 27 |

## საფრანგეთი

XXXVI ტური

**პსჟ 2:3 ბორდო**

0:1 ვილტორდი (20), 1:1 როდრიგესი (57), 1:2 ვილტორდი (60), 2:2 ადაილტონი (72), 2:3 ფეიდონუ (90)

**ნანტი 0:1 მარსელი**

0:1 პირესი (35)

**ლიონი 3:2 სტრასბური**

1:0 კავეგლია (9), 1:1 მარტინსი (36), 2:1 ჟობი (51), 3:1 კავეგლია (56), 3:2 ბერტენი (63პ)

**მონაკო 1:0 ლორიანი**

1:0 იკპება (5)

**ოსერი 2:0 რენი**

1:0 რეიესი (32), 2:0 დიომედი (43)

**ლანსი 3:1 ტულუზი**

1:0 ვერელი (18პ), 1:1 მორელი (34), 2:1 შმიცერი (48), 3:1 დიატა (66 ს. კ.)

**მონპელიე 3:0 ბასტია**

1:0 სილვესტრი (7), 2:0 რობერი (66), 3:0 დელეი (68)

**მეცი 1:0 ლე ავრი**

1:0 რიზეტო (11)

**სოშო 1:1 ნანსი**

0:1 ვიარი (18), 1:1 მერიამი (32)



REUTERS პარიზიდან

პსჟ — ბორდო 2:3. ბორდოელ სილვენ ვილტორდს მეორე გოლი გააქვს პარიზელთა კარში

# ბოლო წუთის ჩემპიონი

ასეთი რამ ნამდვილად იშვიათად ხდება. ბევრი გუნდი გამხდარა ქვეყნის ჩემპიონი ბოლო ტურში, მაგრამ ბოლო ტურის უკანასკნელ წუთზე? სწორედ „პარი სენ ჟერმენთან" პარიზში გამართული მატჩის 90-ე წუთზე მოიპოვეს ბორდოელებმა საფრანგეთის ჩემპიონის ოქროს მედლები და ამას შეცვლაზე შესულ ახალგაზრდა თავდამსხმელს ფეიდონუს უნდა უმადლოდნენ. ის რომ არა, მთელი ჯაფა წყალში ჩაიყრებოდა, რადგან მათმა უშუალო კონკურენტმა პირველობისთვის ბრძოლაში, „მარსელმა", სტუმრად „ნანტს" მოუგო.

პარიზული მატჩის წინ თავში ყველას ერთი კითხვა უტრიალებდა — შეძლებდა კი მეტად საშუალო დონეზე მოთამაშე პსჟ „ბორდოსთვის" წინააღმდეგობის გაწევას? უფრო სწორად, შეძლებდა კი არა, თუ მოისურვებდა. ამის კითხვის მიზეზი კი პსჟ — „მარსელის" მრავალწლიანი ურთიერთქიშპობა იყო.

თუმცა პარიზელებმა თამაში ისე დაიწყეს, თითქოს მათ წინაშე „ბორდოს" ფორმაში გადაცმული მარსელელები იყვნენ. მათ უმალ შეუტიეს მოწინააღმდეგეს. უკვე მე-3 წუთზე წლეულს „მეციდან" გადასულ ბრუნო როდრიგესს შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ სამიოდ მეტრიდან ბურთი კარს გადააცილა.

ამან სტუმრები გამოაფხიზლა და მათაც თანდათანობით ხელთ იგდეს ინიციატივა. „ბორდოს" საუკეთესო მეპასის, იოან მიკუს არყოფნაში თავდამსხმელთა მომარაგება ჰოლანდიელმა კიკი მუსამპამ იტვირთა და მშვენიერ გადაცემებსაც აწვდიდა ლასლანდ-ვილტორდის დუეტს. სწორედ მან გაიყვანა ვილტორდი ხელსაყრელ პოზიციაზე. ყველას თამაშგარე ეგონა, მაგრამ თანამსაჯმა სხვაგვარად განსაჯა. ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმაც თავი არ შეირცხვინა და თავისიანები დააწინაურა.

ამის მერე პსჟ „მიხვდა", რომ ნამდვილად ჟირონდელებს ეთამაშებოდა და არა მარსელელებს. შეხვედრაც ზედმეტი ნერვიულობის გარეშე გაგრძელდა. პირველ ტაიმში ორი საინტერესო რამ მოხდა. ჯერ იყო და მწვრთნელმა ფილიპ ბერჟერომ გერმანელი კრისტიან ვიორნსი გამოცვალა. ლეგიონერი, რომლისთვისაც ეს პსჟ-ს შემადგენლობაში ჩატარებული ბოლო მატჩი იყო, „პარკ დე პრენსზე" თავმოყრილმა ქომაგებმა სტვენა-სტვენით გააცილეს, რამაც ბორდოელები საკმაოდ გაართო. 36-ე წუთზე კი მასპინძელი პიერ დიუკროს პასით ბორდოელმა ლილიან ლასლანდმა მეორე გოლი გაუტანა ბერნარ ლამას, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა (?!).

მეორე ტაიმიც სტუმართა შეტევებით დაიწყო და მაყურებელიც მათ ქომაგობდა (!). ამან, ეტყობა, მასპინძელთა თავმოყვარეობაზე იმოქმედა და... 57-ე წუთზე ჯიმი ალჟერინოს ჩაწოდების შემდეგ როდრიგესმა ანგარიში გაათანაბრა. თუმცა ვილტორდმა მალე ხელახლა დააწინაურა თავისიანები. თითქმის მთელმა „პარკ დე პრენსმა" გაიხარა. მაგრამ პსჟ დანებებას, როგორც ჩანს, არ აპირებდა და იერიშებსაც უმატა. 78-ე წუთზე ჟერომ ლერუას პასის შემდეგ „პარმასგან" ერთი წლით ნთხოვარმა ბრაზილიელმა ადაილტონმა ულრიხ რამეს თავით გაუტანა ბურთი. ოქროს მედლები იკარგებოდა. მატჩის დამთავრებას აღარაფერი აკლდა. სტუმრათა მწვრთნელი ელი ბოპი ადგილს ვეღარ პოულობდა. გოლი არაფრით გადიოდა და ამ დროს პასკალ ფეიდონუს ზუსტი, გამოზომილი დარტყმა. ტრიბუნები ლამის დაინგრეს (!), მსაჯიც მალე ამთავრებს თამაშს. „ბორდო" ჩემპიონია! „ბორდო" ღირსეული ჩემპიონია!

„მარსელმაც" მოიგო, მაგრამ მხოლოდ ვერცხლი და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის საგზური. ნანტში ერთადერთი გოლი საფრანგეთის ნაკრების წევრმა რობერ პირესმა გაიტანა. ეს მატჩი განსაკუთრებული სილამაზით არ გამოირჩეოდა, დაძაბულობა და ნერვების წყვეტა კი, იცოცხლეთ, არ მოჰკლებია. „ნანტს" არანაირი სატურნირო სტიმული არ ჰქონდა, მაგრამ სტუმრებს მაინც მთელი ძალით ეთამაშა. თუმცა უხეშები მხოლოდ „ოლიმპიკის" ფეხბურთელები იყვნენ და არბიტრსაც ხუთი მათგანის (რავანელი, გალასი, გურვენეკი, ბლონდო, დიუგარი) გაფრთხილება მოუხდა. ამ ხუთეულიდან პატრიკ ბლონდო ყვითელი ბარათის ნაცვლად ნამდვილად წითელს იმსახურებდა. მის მიერ შესრულებული ტექნიკური ვარდნის შემდეგ „ნანტის" მცველ ივ დეროფს ფეხი მოსტყდა და ჰოსპიტალში გააქანეს.

ასე წვალებით მოპოვებული გამარჯვება კი მარსელელებს ფეიდონუმ ჩააშხამა.

ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა „ლიონმა", რომელმაც შინ „სტრასბურს" 3:2 აჯობა. მისმა მთავარმა კონკურენტმა „მონაკომ" კი 1:0 მოუგო I დივიზიონის დებიუტანტ „ლორიანს" და თვითონ უეფას თასზე, ხოლო „ლორიანი" II დივიზიონში აღმოჩნდა. გაისად ბრეტონელებთან ერთად ერთი საფეხურით ქვევით ითამაშებენ „სოშო" და „ტულუზი", თუმცა ამის გარკვევას ბოლო ტური აღარ დასჭირვებია. ამ გუნდების ადგილს ელიტაში „სენტ ეტიენი", „სედანი" და „ტრუა" დაიკავებენ, II დივიზიონიდან კი „ვალანსი", „რედ სტარი" და „ბოვე" გავარდნენ.

უეფას თასზე ჯუჯა-სახელმწიფოს გუნდის გარდა მსოფლიოს ჩემპიონ ქვეყანას „ლანსი" და „ნანტი" წარმოადგენენ. მათ შესაბამისად ლიგისა და საფრანგეთის თასების მოგებით მოიპოვეს ეს უფლება. ევროტურნირზე ითამაშებენ „რენი" და „მონპელიეც", თუმცა ამის დიდი სურვილი შეიძლება არც კი ჰქონდეთ, რადგან ამ შეჯიბრს ინტერტოტო ჰქვია და მასში მონაწილეებისთვის ადრიანად დაწყებული სეზონი საკმაოდ დამღლელია.

**გაიოზ თალაკვაძე**

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ვილტორდი (ბორდო) | 22 |
| კავეგლია (ლიონი) | 17 |
| ლასლანდი (ბორდო) | 15 |
| ნონდა (რენი) | 15 |
| მორისი (მარსელი) | 14 |

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბორდო | 34 | 22 | 6 | 6 | 66:29 | 72 |
| მარსელი | 34 | 21 | 8 | 5 | 56:28 | 71 |
| ლიონი | 34 | 18 | 9 | 7 | 51:31 | 63 |
| მონაკო | 34 | 18 | 8 | 8 | 52:32 | 62 |
| რენი | 34 | 17 | 8 | 9 | 45:38 | 59 |
| ლანსი | 34 | 14 | 7 | 13 | 46:43 | 49 |
| ნანტი | 34 | 12 | 12 | 10 | 40:34 | 48 |
| მონპელიე | 34 | 11 | 10 | 13 | 53:50 | 43 |
| პსჟ | 34 | 10 | 9 | 15 | 34:35 | 39 |
| მეცი | 34 | 9 | 12 | 13 | 28:37 | 39 |
| ნანსი | 34 | 10 | 9 | 15 | 35:45 | 39 |
| სტრასბური | 34 | 8 | 14 | 12 | 30:36 | 38 |
| ბასტია | 34 | 10 | 8 | 16 | 37:46 | 38 |
| ოსერი | 34 | 9 | 10 | 15 | 40:45 | 37 |
| ლე ავრი | 34 | 8 | 11 | 15 | 23:38 | 35 |
| ლორიანი | 34 | 8 | 11 | 15 | 33:49 | 36 |
| სოშო | 34 | 6 | 15 | 13 | 30:54 | 33 |
| ტულუზი | 34 | 6 | 11 | 17 | 24:53 | 29 |

**I დივიზიონი**

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ ეტიენი | 38 | 18 | 14 | 6 | 56:38 | 68 |
| სედანი | 38 | 18 | 12 | 8 | 59:31 | 66 |
| ტრუა | 38 | 17 | 13 | 8 | 48:31 | 64 |
| ლილი | 38 | 19 | 7 | 12 | 45:35 | 64 |
| კაენი | 38 | 16 | 11 | 11 | 47:39 | 59 |
| გენიონი | 38 | 14 | 15 | 9 | 44:39 | 57 |
| გენგამი | 38 | 14 | 11 | 13 | 36:38 | 53 |
| შატორუ | 38 | 12 | 15 | 11 | 38:38 | 51 |
| აიაჩო | 38 | 13 | 12 | 13 | 49:56 | 51 |
| ლავალი | 38 | 12 | 14 | 12 | 37:35 | 50 |
| ნიორი | 38 | 11 | 15 | 12 | 41:40 | 48 |
| კანი | 38 | 12 | 11 | 15 | 34:45 | 47 |
| ნიმი | 38 | 11 | 13 | 14 | 49:46 | 46 |
| ნიცა | 38 | 11 | 13 | 14 | 31:34 | 46 |
| ვასკეალი | 38 | 11 | 12 | 15 | 35:41 | 45 |
| ამიენი | 38 | 11 | 11 | 16 | 39:43 | 44 |
| ლე მანი | 38 | 9 | 15 | 14 | 41:41 | 42 |
| ვალანსი | 38 | 10 | 10 | 18 | 41:56 | 40 |
| რედ სტარი | 38 | 9 | 12 | 17 | 52:72 | 39 |
| ბოვე | 38 | 10 | 8 | 20 | 43:67 | 38 |

## პორტუგალია

XXXIV ტური

**ალვერკა 2:1 გიმარაეში**

1:0 მილინკოვიჩი (15), 2:0 რამირესი (66პ), 2:1 ევანდრო (80)

**ბოავიშტა 1:2 მარიტიმუ**

0:1 ასელმანი (39), 1:1 კვამე (65), 1:2 რომეო სუარეში (85)

**ლეირია 2:1 ფარენსე**

1:0 ბირლო (11პ), 2:0 დუა (62), 2:1 პაისაო (83პ)

**სალგეირუში 4:4 ბეირა მარი**

0:1 რიკარდო სოუზა (4), 1:1 ჩაგესი (6), 2:1 პედრო (26), 2:2 რიკარდო სოუზა (30), 2:3 პერეირა (33), 3:3 ნოვაიში (47პ), 3:4 ფაიე (72), 4:4 მენდესი (77)

**ბრაგა 2:0 რიუ ავე**

1:0, 2:0 ელპიდიო სილვა (61, 83)

**პორტუ 2:0 ამადორა**

1:0 დრულოვიჩი (43), 2:0 ჟარდელი (77)

**ბენფიკა 3:3 სპორტინგი**

0:1 იორდანოვი (6), 1:1 კანდაუროვი (10), 2:1 პობორსკი (30), 2:2 იორდანოვი (39), 2:3 რუი ჟორჟე (76), 3:3 ნუნუ გომეში (87)

**სეტუბალი 1:0 აკადემიკა**

1:0 ენრიკე (71)

**კამპომაიორენსე 4:1 შავეში**

1:0, 2:0 მონტანინი (6, 67), 3:0 ლეალსონი (70), 4:0 მონტანინი (73), 4:1 ალვარესი (87)

„ბენფიკამ" თანაქალაქელ „სპორტინგთან" თამაშის ბოლოსლა გაათანაბრა ანგარიში, 3:3 გახდა და 1941 წლის მერე უარეს, მეოთხე ადგილზე გასვლას გადარჩა.

მოგეხსენებათ, „პორტუს" ჩემპიონობისა და „ბოავიშტას" მეორე ადგილზე გასვლის ამბავი ადრეც ცნობილი გახლდათ და ამდენად ბოლო ტურის ინტრიგა ისლა იყო, ვინ გავიდოდა მესამე ადგილზე, „ბენფიკა" თუ „სპორტინგი". საბოლოოდ „ბენფიკამ" ივარგა.

მეხუთე ადგილზე გავიდა „ვიტორია" და უეფას თასზე თამაშის უფლებაც მოიპოვა.

პორტუგალიას უეფას კიდევ ერთი საგზური ეკუთვნის, რომლის მფლობელს თასის ფინალი გაარკვევს: 19 ივნისს „ბეირა მარი" „კამპომაიორენსეს" ხვდება.

ლიგიდან გავარდნენ „ბეირა მარი", „შავეში" და „აკადემია", ხოლო მათ ნაცვლად მომავალი სეზონიდან ითამაშებენ „ჟილ ვისენტე", „ბელენენსეში" და „სანტა კლარა".

„სანტა კლარას" უმაღლეს ლიგაში ალზევება იმითაა საინტერესო, რომ აზორის კუნძულებიდან ასე მაღლა არასდროს არავინ ყოფილა.

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 34 | 24 | 7 | 3 | 85:26 | 79 |
| ბოავიშტა | 34 | 20 | 11 | 3 | 57:29 | 71 |
| ბენფიკა | 34 | 19 | 8 | 7 | 71:29 | 65 |
| სპორტინგი | 34 | 17 | 12 | 5 | 64:34 | 63 |
| სეტუბალი | 34 | 15 | 8 | 11 | 37:38 | 53 |
| ლეირია | 34 | 14 | 10 | 10 | 36:29 | 52 |
| გიმარაეში | 34 | 14 | 8 | 12 | 53:41 | 50 |
| ამადორა | 34 | 11 | 12 | 11 | 33:40 | 45 |
| ბრაგა | 34 | 10 | 12 | 12 | 38:50 | 42 |
| მარიტიმუ | 34 | 10 | 11 | 13 | 44:45 | 41 |
| ფარენსე | 34 | 10 | 9 | 15 | 39:54 | 39 |
| სალგეირუში | 34 | 7 | 17 | 10 | 45:55 | 38 |
| კამპომაიორენსე | 34 | 10 | 7 | 17 | 41:51 | 37 |
| რიუ ავე | 34 | 8 | 11 | 15 | 26:47 | 35 |
| ალვერკა | 34 | 8 | 11 | 15 | 36:50 | 35 |
| ბეირა მარი | 34 | 6 | 15 | 13 | 36:53 | 33 |
| შავეში | 34 | 5 | 10 | 19 | 39:70 | 25 |
| აკადემიკა | 34 | 4 | 9 | 21 | 30:71 | 21 |

## ავსტრია

36-ე ტური: შტურმი — ტიროლი 3:0; ზალცბურგი — რაპიდი 0:0; აუსტრია — ლუსტენაუ 2:1; ლინცერი — შტაირი 2:0; რიდი — გრაცერი 0:2.

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტურმი | 36 | 23 | 4 | 9 | 72:32 | 73 |
| რაპიდი | 36 | 19 | 13 | 4 | 50:25 | 70 |
| გრაცერი | 36 | 20 | 5 | 11 | 46:29 | 65 |
| ზალცბურგი | 36 | 15 | 12 | 9 | 55:40 | 57 |
| ლინცერი | 36 | 17 | 6 | 13 | 53:44 | 57 |
| ტიროლი | 36 | 15 | 10 | 11 | 49:41 | 55 |
| აუსტრია | 36 | 13 | 11 | 12 | 41:44 | 50 |
| რიდი | 36 | 8 | 8 | 20 | 25:47 | 32 |
| ლუსტენაუ | 36 | 4 | 11 | 21 | 24:61 | 23 |
| შტაირი | 36 | 3 | 6 | 27 | 29:81 | 12 |

## შვეიცარია

ფინალური ეტაპი

XIII ტური

**სერვეტი 2:0 სენტ გალენი**

1:0 რეი (27), 2:0 ვურენსი (53)

**ქსამაქსი 1:1 ბაზელი**

1:0 ისაბელა (16), 1:1 ფაბინიო (54)

**ციურიხი 0:1 ლოზანა**

0:1 რენი (84)

ციურიხი: შორუნმუ, ტარონე (იოდისე 74), ჰოდელი, ფიშერი, დი ჯორიო, ლიმა, სანტანა, კასტილიო (ჰუბერი 46), ნიქსონი, კუნცი (გიგაქსი 66), ბარტლეტი

**ლუცერნი 1:4 გრასჰოპერი**

0:1 იაკინი (10), 0:2 დე ნაპოლი (38), 0:3 ტიკვა (76), 0:4 კომიზეტი (78), 1:4 სკეფანოვიჩი (88)

გრასჰოპერი: ცუბერბიულერი, კაბანასი (ზანი 67), მიულერი, გრენი, სმილიანიჩი (ბერნერი 67), მანინი (კომიზეტი 59), ფოგელი, ტარარახე, იაკინი, დე ნაპოლი, ტიკვა

შვეიცარიის ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურის ცენტრალური მატჩი ციურიხში გაიმართა. ბოლო დროს აღმავლობის გზაზე მყოფმა „ციურიხმა" ლიდერ „ლოზანას" უმასპინძლა. გამარჯვების შემთხვევაში გაჩემპიონების მცირე შანსი „ციურიხსაც" ეძლეოდა, მაგრამ მასპინძლები 0:1 დამარცხდნენ და ზედიზედ ექვსმოგებიანი წარმატებული სერიაც შეწყვიტეს.

„ციურიხმა" საქართველოს ნაკრებში გამოძახებული გოჩა ჯამარაული მოისაკლისა.

სტუმრებმა თავიდანვე აქტიურად დაიწყეს და დებიუტშივე რამდენიმე საგოლე მომენტიც შექმნეს. პირველივე წუთზე პიფარეტის ძლიერად დარტყმული ბურთი ხარიხამ მოიგერია. ორ წუთში სელესტინიმ დაუმიზნა ძელს. სულ მალე გერბერმაც იგივე გაიმეორა. მასპინძლები „ლოზანას" კარს ერთხელაც ვერ დაემუქრნენ. მეორე ნახევარიც სტუმრების უპირატესობით წარიმართა, თუმცა გოლის გატანა ლოზანელებმა მატჩის მიწურულს შეძლეს. 84-ე წუთზე რენის დარტყმულთან შორუნმუმ კი არა, ძელმაც ვერაფერი გააწყო. ბოლო ტურში „ლოზანას" კიდევ ერთი რთული მატჩი ელის, საკუთარ მინდორზე ჩემპიონობის კიდევ ერთ კანდიდატ „სერვეტს" ღებულობს, რომელმაც კვირას შინ აუტსაიდერი „სენტ გალენი" დაამარცხა საკმაოდ იოლად.

ჩემპიონობის მცირე შანსი მიხეილ ყაველაშვილის „გრასჰოპერსაც" აქვს. „კალიებმა" ამ ტურში „ლუცერნს" აწყევლინეს სტუმრად თავბედი. ჩვენებური ჯამარაულის მსგავსად ნაკრებში იყო მიწვეული და ამის გამო არ უთამაშია. ყაველაშვილმა შარშანდელის მსგავსად წლეულსაც რომ ოქროს მედლით დაიმშვენოს გულმკერდი ორი პირობის შესრულებაა საჭირო — „გრასჰოპერმა" ხვალ მშობლიურ სტადიონზე „ქსამაქსი" უნდა დაამარცხოს, ხოლო „ლოზანა" — „სერვეტის" მატჩი ფრედ უნდა დასრულდეს. „სერვეტის" გამარჯვების შემთხვევაში, ბურთების უარესი სხვაობის მიუხედავად, ჩემპიონი მაინც იგი გახდება, რადგან პირველ ეტაპზე, მეტი ქულა მოაგროვა.

**ვანო ოქროპირიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოზანა | 13 | 8 | 2 | 3 | 26:15 | 45 |
| სერვეტი | 13 | 6 | 3 | 4 | 14:12 | 43 |
| გრასჰოპერი | 13 | 7 | 3 | 3 | 26:11 | 43 |
| ციურიხი | 13 | 6 | 2 | 5 | 21:14 | 39 |
| ბაზელი | 13 | 5 | 3 | 5 | 17:18 | 32 |
| ქსამაქსი | 13 | 2 | 6 | 5 | 12:22 | 28 |
| ლუცერნი | 13 | 4 | 1 | 8 | 12:26 | 27 |
| სენტ გალენი | 13 | 2 | 4 | 7 | 12:22 | 24 |

## ჰოლანდია

ფლეი ოფი

**A ჯგუფი**

**ემენი (II) 5:3 დორდრეხტი (II)**

**ზვოლე (II) 0:0 ვალვაიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალვაიკი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ემენი | 2 | 1 | 0 | 1 | 7:7 | 3 |
| ზვოლე | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| დორდრეხტი | 2 | 0 | 1 | 1 | 5:7 | 1 |

**B ჯგუფი**

**გრონინგენი (II) 6:1 ელმონდი (II)**

**ექსელსიორი (II) 2:3 სპარტა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრონინგენი | 2 | 2 | 0 | 0 | 9:3 | 6 |
| ექსელსიორი | 2 | 1 | 0 | 1 | 7:5 | 3 |
| სპარტა | 2 | 1 | 0 | 1 | 5:5 | 3 |
| ელმონდი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:11 | 0 |

*ჯგუფების გამარჯვებულები მომავალ სეზონში ჰოლანდიის უმაღლეს დივიზიონში იასპარეზებენ*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შოტლანდია

### თასის ფინალი

**რეინჯერსი 1:0 სელტიკი**

1:0 უოლესი (49)

ჯერ ლიგის თასი იყო, მერე ჩემპიონის ტიტული და აი, გლაზგოს „რეინჯერსის" მესამე წარმატება აწ უკვე გასრულებულ შოტლანდიურ სეზონში — ასოციაციის თასი. „რეინჯერსისთვის" ისედაც ჩინებულ სეზონს მარილს ისიც მატებს, რომ სამი ჯილდოდან ორი გუნდმა უშუალოდ მარადიულ კონკურენტთან, თანაქალაქურ „სელტიკთან" ბრძოლაში მოიპოვა. ასე იყო შოტლანდიის ჩემპიონატზე, როცა ჰოლანდიელი დიკ ადვოკაატის გუნდმა „სელტიკს" სტუმრად სძლია და მისსავე სტადიონზე იზეიმა პირველობა. ასევე მოხდა ქვეყნის ასოციაციის თასის ფინალში „ემპდენ პარკზე", სადაც კვლავ ორი მოსისხლე მტერი შეხვდა და გამარჯვება კვლავ „რეინჯერსს" დარჩა. ეს შაბათს, 29 მაისს მოხდა.

სამწლიანი შესვენების შემდეგ ერთ დროს უდიდესმა სარბიელმა „ემპდენ პარკმა" კვლავ უმასპინძლა ამ შეჯიბრის გადამწყვეტ მატჩს. სტადიონის განახლებაზე 65 მილიონი გირვანქა დაიხარჯა, კიდევ უფრო გალამაზდა და ახლა იგი 52 ათას ქომაგს იტევს.

განახლებულ „ემპდენ პარკზე" გამართული პრემიერაც მშვენიერი გამოდგა. მართალია, „რეინჯერსს" ნათლად ეტყობოდა სეზონის წინ ახალი ფეხბურთელების ყიდვაზე დახარჯული 41 მილიონი გირვანქის შედეგები, მაგრამ ცუდად არც ექსჩემპიონები გამოიყურებოდნენ, სახიფათო მომენტიც კი მეტი შექმნეს, თუმცა მთავარი, გოლის გატანა ვერ მოახერხეს.

ანგარიშის გახსნა „სელტიკს" 21-ე წუთზე შეეძლო, მაგრამ პოლ ლამბერტის შორიდან დარტყმული ბურთი ხარიხას მოხვდა. არადა, ჩემპიონთა მეკარე, ერთ დროს „დორტმუნდში" ლამბერტის თანაკლუბელი შტეფან კლოსი არც კი განძრეულა.

მეორე ტაიმი 4 წუთის დაწყებული იყო, ტონი ვიდმარმა „სელტიკის" კარის გასწვრივ რომ ჩააწოდა. ნილ მაკკენმა ბურთი როდ უოლესს მიაწოდა და მანაც ახლოდან გაუტანა ჯონათან გოულდს.

მერე „სელტიკის" შტურმის და კლოსის ბრწყინვალების დრო დადგა.

— მძიმე და გრძელი სეზონი გვქონდა, ამიტომ ერთიორად გასახარია, რომ ჩემმა ფეხბურთელებმა გამონახეს ძალა მორიგი გამარჯვების მისაღწევად. და კიდევ, დღეს ჩვენი მეკარე შტეფან კლოსი, უბრალოდ, შეუდარებელი იყო — ამბობს დიკ ადვოკაატი.

გერმანელი გოლკიპერი ჰოლანდიელმა თანაგუნდელმა ჯოვანი ვან ბრონკჰორსტმაც შეაქო:

— ბოლო 15 წუთი „სელტიკი" კლოსს ეთამაშებოდა და ეს ბრძოლა შტეფანის გამარჯვებით დასრულდა.

ერთი სიტყვით, კლოსი ერთადერთი გოლის ავტორთან, ადრე „ლიდს იუნაიტედში" მოთამაშე როდ უოლესთან ერთად მატჩის გმირად იქცა. „რეინჯერსი" კი 28-ედ დაეუფლა შოტლანდიის ასოციაციის თასს და მეექვსედ მოახერხა ჰეთ-თრიქის შესრულება (ჩემპიონობა, ლიგის თასი, ასოციაციის თასი). რაც შეეხება მის თავკაც დიკ ადვოკაატს, მოარული ხმები, გლაზგოს ტოვებსო, ჭორი გამოდგა — ჰოლანდიელმა კლუბთან კონტრაქტი გააგრძელა და „რეინჯერსში" 2002 წლამდე იმუშავებს.

ამ მატჩზე საუბარს სამწუხარო ამბით დავასრულებთ. ფინალის დასრულებიდან რამდენიმე წუთში სტადიონთან ახლოს სიცოცხლეს გამოასალმეს 16 წლის ბიჭი. პოლიციამ ორი ეჭვმიტანილი, 21 წლის და 23 წლის ყმაწვილები უკვე დააკავა და ახლა იმის დადგენას ცდილობს, უკავშირდება თუ არა ეს კრიმინალი ფეხბურთს.

**ნოდარ ქასრაძე**



იორგ ალბერცი და დერეკ მაკინისი კაცურად ზეიმობენ შოტლანდიის ასოციაციის თასის მოპოვებას

## ბელგია

### თასის ფინალი

**ლიერსი 3:1 სტანდარდი**

1:0 სპიტერი (17), 2:0 კავენსი (54), 2:1 ლუკუნკუ (62), 3:1 კავენსი (89)

ლიერსი: მენცო, ბროკენი, ვან მეირი, ჰოფკენსი, პოორტერსი, ლეენი, ლარემანსი, დაემსი (შეყილაძე 84), ზდებელი, კავენსი (ჰუიმსმანსი 90), სპიტერი (ვან დე ვეიერი 76)

სტანდარდი: რუნიე, აფოლაბი, კრუზი, ჰელერსი, რენიე, ერნსტი, რემაკლი (დე კონდე 57), ტიისი (ბლეი 75), ფილია, ლუკუნკუ (გოდფრუა 76), მბო მპენზა

გაფრთხილება: ერნსტი, ჰელერსი, პოორტერსი

გაძევება: ერნსტი (89)

ტრავმებით გატანჯული გელა შეყილაძისთვის ბელგიაში გატარებული სეზონი მაინც კარგად ჩამთავრდა. მან თავისი პირველი ევროპული ჯილდო მოიპოვა. საქართველოს თასს, რომელიც შარშან გელამ „ბათუმის" რიგებში მოიხვეჭა, ახლა „ლიერსთან" ერთად მოგებული ბელგიის თასი მიემატა.

„ჩვენს მეტოქეზე გაცილებით უკეთესი ფეხბურთი ვითამაშეთ და დამსახურებულადაც გავიმარჯვეთ. დიდი ხანი ვფიქრობდი, თავდასხმის წინა ხაზზე კავენსისთვის ვინ შემეწყვილებინა, ბოლოს არჩევანი სპიტერიზე შევაჩერე" — თქვა უეფას თასის საგზურმოპოვებული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვალტერ მეუვსმა.

ავსტრალიელმა ლეგიონერმაც დამრიგებელს ნდობა გაუმართლა და მე-17 წუთზე ანგარიშიც გახსნა. პირველ ტაიმში ამის მერე ორივე გუნდს კიდევ ბევრჯერ შეეძლოთ წარმატების მიღწევა, მაგრამ თავდამსხმელები ბოლო მომენტში სცოდავდნენ.

მეორე ნახევარში სპიტერის დარტყმის შემდეგ რენიემ ბურთი ვერ დაიმორჩილა და კავენსმა მეორე გოლი გაუტანა ლიეჟელებს. თითქოს მატჩის ბედიც გადაწყდა, მაგრამ ლუკუნკუმ, ვინც მანამდე რამდენიმე ძალზე ხელსაყრელი მომენტი გააცუდა, მშვენიერი გოლი შეაგდო და თავისიანებს მატჩის გადარჩენის იმედი მისცა.

შეხვედრის ბოლოს „ლიერსმა" დაცვას მიხედა და ნახევარმცველ დაემსის ნაცვლად შეყილაძე გამოჩნდა მინდორზე. 89-ე წუთზე ერნსტმა მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და თავისიანები უმცირესობაში დატოვა, ამის გამო დანიშნული ჯარიმით კი კავენსმა მეორეჯერ იხეირა მას შემდეგ, რაც რენიემ ბურთი უხერხულად მოიგერია.

**დავით სიჭინავა**

# შემფაზე ბოლონია ითამაშებს

„ბოლონიამ" „ინტერს" პლეი ოფის მეორე შეხვედრაშიც 2:1 მოუგო და უეფას თასის საგზური მოიპოვა. კარლო მაცონეს გუნდმა პირველ ტაიმში გატანილი ორი გოლის წყალობით დაიბევა გამარჯვება. პირველი გოლი მესამე წუთზევე გავიდა — ჯუზეპე სინიორიმ თავური დარტყმით მიაღწია მიზანს, ხოლო შესვენებამდე ოთხი წუთით ადრე „ინტერის" ყოფილმა ნახევარმცველმა, სტეფანო ბეტარინიმ, მარცხენა ფრთიდან შეუტია და მილანელთა მეკარეს ჯანლუკა პალიუკას ახლო კუთხეში შეუგდო ბურთი.

„ინტერმა" ერთადერთი საპასუხო გოლი მატჩის მიწურულს, მსაჯის წამატებულ წუთებში გაიტანა. მისი ავტორი გახლდათ ნიკოლა ვენტოლა.

ამრიგად, „ინტერი" ისტორიაში მესამედ დარჩა ევროშეჯიბრების საგზურის გარეშე. მართალია ფორმალურად მას შეუძლია ინტერტოტოს თასზე გამოსვლა და უეფას თასის გათამაშებისკენ გზის ამგვარად გაკაფვა, მაგრამ „შავლურჯთა" ხელმძღვანელებმა ინტერტოტოზე თამაში იუკადრისეს და განაცხადეს, რომ უჯობთ ახალ მწვრთნელს, მარჩელო ლიპის, მშვიდი მოსამზადებელი პერიოდი შეუქმნან.

შეგახსენებთ, რომ „ინტერი" და „ბოლონია" გადათამაშებაში იმიტომ მოხვდნენ, რომ იტალიის თასის მფლობელმა, „პარმამ", ჩემპიონთა თასზე თამაშის უფლება მოიპოვა და უეფას საგზური, რომელიც მას, როგორც თასის მფლობელს ერგო, ვაკანტური შეიქნა. ვინაიდან ეროვნული თასის ფინალისტი, „ფიორენტინა" თავად ჩემპიონთა თასზე უნდა გავიდეს, ხსენებული საგზური დამარცხებული ნახევარფინალისტების, „ბოლონიასა" და „ინტერის" გასაყოფი გახდა.

„ინტერის" ბანაკიდან გამოსული ცნობების თანახმად, მომავალ სეზონში, ევროპის გარეშე დარჩენილ გუნდში თამაში აღარ სურთ წამყვან ფეხბურთელებს. მათი ბედი მალე გაირკვევა. ჯერჯერობით კი რონალდომ, რობერტო ბაჯომ, ივან სამორანომ და პაულუ სოუზამ მომავალზე საუბრისგან თავი შეიკავეს.

„ბოლონია", რომელმაც გასულ სეზონში 60 მატჩი ჩაატარა, ხოლო ევროკამპანია ინტერტოტოს თასიდან დაიწყო და უეფას თასის ნახევარფინალამდე მივიდა, ახალ ევროგათამაშებაში ასპარეზობას საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყებს.

## იტალია

### სერია B

**XXXVI ტური**

**ატალანტა 0:0 ფ. ანდრია**

**კიევო 0:0 ჩეზენა**

**კოზენცა 2:0 კრემონეზე**

1:0, 2:0 ტატი (16, 56)

**ჯენოა 1:1 ლუკეზე**

1:0 პირი (72), 1:1 კოლაკონე (90)

**ნაპოლი 1:2 მონცა**

0:1 ლემე (5), 1:1 ტურინი (22პ), 1:2 ოდო (49)

**პესკარა 0:2 რეჯინა**

0:1 კანარზა (49ს.კ.), 0:2 პოსანცინი (81)

**რავენა 1:2 ლეჩე**

0:1 სტელონე (12), 1:1 როვინელი (57), 1:2 ტრავერსა (84პ)

**რეჯანა 2:1 ტრევიზო**

0:1 ბელმონტე (44), 1:1, 2:1 პროტი (48, 68)

**ტერნანა 2:0 ვერონა**

1:0 ონორატი (17), 2:0 ბორგობელო (26)

**ტორინო 2:1 ბრეშა**

1:0 სომეზე (47), 2:0 ფერანტე (75პ), 2:1 უბნერი (83)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერონა | 36 | 17 | 11 | 8 | 56:35 | 62 |
| ტორინო | 36 | 18 | 8 | 10 | 53:33 | 62 |
| ლეჩე | 36 | 17 | 10 | 9 | 45:37 | 61 |
| რეჯინა | 36 | 15 | 15 | 6 | 42:30 | 60 |
| ატალანტა | 36 | 13 | 18 | 5 | 41:26 | 57 |
| პესკარა | 36 | 16 | 9 | 11 | 46:40 | 57 |
| ბრეშა | 36 | 14 | 14 | 8 | 42:29 | 56 |
| ტრევიზო | 36 | 14 | 13 | 9 | 49:38 | 55 |
| ნაპოლი | 36 | 11 | 15 | 16 | 39:36 | 48 |
| კიევო | 36 | 11 | 14 | 11 | 36:38 | 47 |
| რავენა | 36 | 11 | 12 | 13 | 42:49 | 45 |
| ჯენოა | 36 | 10 | 14 | 12 | 48:48 | 44 |
| ჩეზენა | 36 | 10 | 14 | 12 | 34:37 | 44 |
| მონცა | 36 | 10 | 14 | 12 | 32:36 | 44 |
| ტერნანა | 36 | 9 | 14 | 13 | 36:48 | 41 |
| ფ. ანდრია | 36 | 9 | 13 | 14 | 31:43 | 40 |
| კოზენცა | 36 | 10 | 9 | 17 | 39:52 | 39 |
| ლუკეზე | 36 | 8 | 12 | 16 | 33:42 | 36 |
| რეჯანა | 36 | 7 | 14 | 15 | 36:47 | 35 |
| კრემონეზე | 36 | 3 | 11 | 22 | 29:65 | 20 |

## ინგლისი

### პლეი ოფები

**II დივიზიონი**

**ჯილინგემი 2:2 (დ.დ) მანჩესტერ სიტი**

პენალტებით 1:3

1:0 ასაბა (81), 2:0 ტეილორი (86), 2:1 ჰორლოკი (90), 2:2 დიკოვი (90)

**III დივიზიონი**

**ლეიტონი 0:1 სკანთორპი**

0:1 გალვო-გარსია (6)

„მანჩესტერ სიტი" I დივიზიონში გადავიდა. ერთ დროს საკმაოდ სოლიდურმა, სულ ახლახან ქინქლაძის და ყაველაშვილის, ამჟამად ცხადაძის და შელიას კლუბმა ზედა ლიგაში აინაცვლა. თანაც როგორ, შეხედეთ ოქმს და გაიხსენეთ ჩემპიონთა ლიგის სასწაული ფინალი, როცა მეორე მანჩესტერულმა კლუბმა „იუნაიტედმა" ბოლო წამებზე გაუტანა „ბაიერნს" ორჯერ და თასი ზედ ცხვირწინ აацალა. ეს ნურავის გაგიკვირდებათ — წერდა ამას წინათ ერთი „სარბიელელი" — ინგლისში მსგავსი რამ ყოველ ტურში ხდებაო და აი, ფაქტიც სახეზეა.

„სიტი" 0:2-ს აგებდა, 90-ე წუთი ახალი დაწყებული იყო და კევინ ჰორლოკმა ერთი ბურთი გაქვითა. გავიდა რამდენიმე წამი და პოლ დიკოვმა „ჯილინგემი" შოკში ჩააგდო — 2:2. დამატებით დროში გოლი აღარ გასულა, ხოლო თერთმეტმეტრიანების სერიაში მანჩესტერელთა მეკარე ნიკი ვივერმა იყოჩაღა — პოლ სმიტს და გი ბატერსს პენალტები აუღო და „სიტის" მწვრთნელ ჯო როილის ათქმევინა:

— აბა, რას წარმოვიდგენდი, რომ ყველაფერი ასე დასრულდებოდა. წლეულს მანჩესტერი ორი სასწაულის მოწმე გახდა, ერთხელ ბარსელონაში და მეორე აქ, ლონდონში (მატჩი „უემბლიზე" გაიმართა).

რაც შეეხება II დივიზიონში გადასასვლელ პლეი ოფის ფინალს, მასში (ასევე „უემბლიზე" ჩატარდა) გალვო-გარსიას ერთადერთმა გოლმა „ლეიტონთან" „სკანთორპს" გაამარჯვებინა.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს

უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი

☎ 99 67 67, 98 30 20

## რუსეთი

**IX ტური**

**ტორპედო 0:0 სპარტაკი**

**ლოკომოტივი 4:1 ალანია**

1:0 ბულიკინი (7), 2:0 ლოსკოვი (34), 3:0 სარქისიანი (37), 3:1 ჟუტაუტასი (69), 4:1 ჩუგაინოვი (89)

**ჟემჩუჟინა 0:0 ურალანი**

**სატურნი 0:0 შინიკი**

**დინამო 3:3 კრილია**

0:1 ტეტერინი (10), 1:1 პისარევი (22), 2:1, 3:1 ტერიოხინი (43, 49), 3:2 მამედოვი (54), 3:3 მიქაელიანი (84)

**როტორი 5:2 ჩერნომორეცი**

0:1, 0:2 დოგუზოვი (25პ, 33პ), 1:2 ვერეტენიკოვი (39), 2:2 ზუბკო (61), 3:2 ესიპოვი (66), 4:2, 5:2 ტიშჩენკო (81, 88პ)

**ნ. ნოვგოროდი 1:0 ზენიტი**

1:0 ავაქოვი (87)

**როსტსელმაში 1:3 ცსკა**

0:1 ვარლამოვი (33), 1:1 კანკეევი (38), 1:2 მინკო (54), 1:3 სემაკი (62)

მოსკოვური გუნდები „სპარტაკი" და „ტორპედო" უკვე მეორედ შეხვდნენ ერთმანეთს. აპრილში მათ მეორე წრის გადმოტანილი მატჩი ითამაშეს. მაშინ ავტოქარხნელებმა შეხვედრის მიწურულს გატანილი პენალტის წყალობით პირველი დამარცხება აგემეს რუსეთის ჩემპიონებს. გუშინწინ სპარტაკელები რევანშის ასაღებად გავიდნენ მოედანზე, მაგრამ ტორპედოელთა დაცვას ვერაფერი მოუხერხეს. შეხვედრა საკმაოდ სწრაფ ტემპში წარიმართა. „სპარტაკი" სრულ ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდა, თუმცა მის იერიშებს სიმწვავე აკლდა. რომანცევის შეგირდები სერიოზულად მხოლოდ სამჯერ დაემუქრნენ მასპინძელთა კარს.

ლიდერის წაფორხილებით ისარგებლა „ლოკომოტივმა", ზედიზედ მეექვსე მატჩი მოიგო და დაკარგული ქულებით „სპარტაკს" გაუთანაბრდა. რკინიგზელებმა ამჯერად „ალანია" იმსხვერპლეს. წერეთლისა და დემეტრაძის გარეშე მოთამაშე ვლადიკავკაზელთა გუნდი ყოვლად უსუსურად გამოიყურებოდა. ეტყობა, ვალერი გაზაევს გული უგრძნობდა, რომ ყოველივე ასე სამარცხვინოდ დასრულდებოდა და ამიტომაც ითხოვდა მატჩის გადატანას — აქაოდა შესუსტებული შემადგენლობა მყავსო. რუსეთის საფეხბურთო კავშირმა ვლადიკავკაზელთა თავკაცის თხოვნა ყურად არ იღო და „ალანიაც" მოსკოვს ესტუმრა. უნდა გენახათ, რა საშინლად ითამაშა სტუმართა დაცვამ. პირველ ტაიმში მასპინძლები ვალდებულნი იყვნენ, მინიმუმ ექვსჯერ მაინც დაელაშქრათ ზაურ ხაპოვის კარი. გაზაევს ვერც შეცვლებმა უშველა. ვლადიკავკაზელთა მთავარმა მწვრთნელმა ნერვიულობისგან „ჩუპაჩუპსის" კანფეტები ლამის თავის ჩხირებიანად ჩაახრამუნა. ნტვ-ს ტელეოპერატორებს ვალერი გიორგევიჩის მღელვარება არ გამოჰპარვიათ.

ვერა და ვერ მოიგო „ჟემჩუჟინამ". სოჭელებს ვერც ლეონიდ პახომოვის კონსულტანტობამ უშველა. გუნდი აშკარად განწირულის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ჩემპიონატის დებიუტანტ „სატურნს" „შინიკთან" შინაური ფრე წარმატებად უნდა ჩავუთვალოთ, რადგან მასპინძლებს მე-5 წუთზე კაცი გაუძევეს და დარჩენილ დროში ჟიდკოვის გარეშე ეპაექრნენ სტუმრებს.

ამ ტურში „დინამოსა" და „ზენიტს" სასურველი შედეგის მიღწევა რომ გაუჭირდებოდათ, ძნელი მისახვედრი არ იყო. 26 მაისს გუნდებმა თასის მეტად დაძაბული ფინალი ითამაშეს და ძალების აღდგენისთვის ცოტა დრო ჰქონდათ..

დინამოელებს სამარელებთან საშინაო მატჩში ექვსი ძირითადი მოთამაშე აკლდათ. მიუხედავად ყველაფრისა, იარცევის შეგირდები მაინც ახლოს იყვნენ მიზანთან, მაგრამ მათი მეკარის, სამარუკოვის უხეშმა შეცდომამ „კრილიას" ქულა მოაპოვებინა.

რაც შეეხება „ზენიტს", სანკტპეტერბურგელებმა ბოლო წუთებში ვერ შეძლეს, უგოლოდ შეენახათ კარი.

სტუმართა გამარჯვებით ერთადერთი შეხვედრა დამთავრდა. შინ არცთუ ურიგოდ მოთამაშე „როსტსელმაშმა" მოსკოველ არმიელებს ვერაფერი მოუხერხა. ცსკა-ს ლიდერს, თავდამსხმელ სემაკს მხარი აუბა ცენტრალურმა მცველმა ვარლამოვმა, რომელმაც ბოლო სამ შეხვედრაში ოთხჯერ დალაშქრა მეტოქის კარი.

ნაკრების შესარჩევი ციკლის მატჩების გამო რუსეთის ჩემპიონატში ორკვირიანი შესვენება გამოცხადდა.

მომდევნო, მეათე ტური 13 ივნისს გაიმართება.

**ხვიჩა სანიკიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 12 | 9 | 2 | 1 | 21:7 | 29 |
| ლოკომოტივი | 9 | 6 | 2 | 1 | 21:8 | 20 |
| ცსკა | 9 | 5 | 3 | 1 | 19:8 | 18 |
| დინამო | 9 | 5 | 2 | 2 | 20:12 | 17 |
| ტორპედო | 10 | 4 | 5 | 1 | 8:5 | 17 |
| ალანია | 9 | 4 | 2 | 3 | 15:12 | 14 |
| როტორი | 9 | 4 | 2 | 3 | 15:15 | 14 |
| როსტსელმაში | 9 | 4 | 1 | 4 | 12:14 | 13 |
| ნ. ნოვგოროდი | 9 | 3 | 2 | 4 | 10:11 | 11 |
| სატურნი | 10 | 2 | 3 | 5 | 9:15 | 9 |
| ურალანი | 9 | 2 | 2 | 5 | 5:10 | 8 |
| კრილია | 10 | 2 | 2 | 6 | 11:17 | 8 |
| ჩერნომორეცი | 9 | 2 | 2 | 5 | 12:20 | 8 |
| ზენიტი | 9 | 1 | 5 | 3 | 8:9 | 8 |
| შინიკი | 9 | 1 | 4 | 4 | 2:10 | 7 |
| ჟემჩუჟინა | 9 | 0 | 3 | 6 | 4:19 | 3 |

1999 NBA PLAYOFFS

კონფერენციების ფინალი (ოთხ მოგებამდე)

# სმიტსს ცოტა რომ დასცლოდა...



ინდიანა — ნიუ იორკი. ალან ჰიუსტონი (ბურთით) ინდიანელი რიკ სმიტსის წინააღმდეგ

30 მაისი

## აღმოსავლეთი

### ინდიანა — ნიუ იორკი 0:1

**ინდიანა 90:93 ნიუ იორკი**

**ინდიანა: ჯეკსონი (6 ქულა, 11 პასი), მილერი (19), მულინი (7), დ. დევისი (10), სმიტსი (12); ა. დევისი (17), როუზი (8), პერკინსი (7), მაკკი (2), ბესტი (2)**

**ნიუ იორკი: ვორდი (3), ჰიუსტონი (19), ტომასი (8 ქულა, 8 მოხსნა), ჯონსონი (15), იუინგი (16 ქულა, 10 მოხსნა); სპრიუელი (16), ჩაილდსი (8), კემბი (7), დადლი (1), ბრანსონი**

„ნიუ იორკ ნიქსი" კვლავ აოცებს საკალათბურთო სამყაროს: ამ ბოლო, მერვე ნომრად განთესილმა გუნდმა არ დაარღვია ტრადიცია და მესამე სერიის ანგარიშიც თავისი მოგებით გახსნა. წინა ორის მსგავსად აქაც სტუმრად იმარჯვა და თან ინდიანას, ვისაც მიმდინარე პლეი ოფში ჯერ თამაში არ წაეგო, პირველი მწარე ალიყური აჭამა. „ნიქსმა" პირველი მოგებების შემდეგ ორივე სერია გაიარა და ახლა ეს გამარჯვება იქნებ იმას ნიშნავდეს, რომ ამ პლეი ოფებამდე ნაადრევად ჩამოწერილმა გუნდმა შეიძლება ფინალში გასვლაზე იფიქროს. ამ მართლაც მძიმე და დაძაბულ შეხვედრაში გამარჯვებამ ნიუ იორკი და გუნდის უამრავი თაყვანისმცემელი ძალიან გაახარა, მაგრამ ისინი კარგად ხვდებიან, რომ მთავარი ბრძოლები ჯერ კიდევ წინაა. „ინდიანა კარგი გუნდია — ამბობს გამარჯვებულთა ერთ-ერთი ლიდერი და ამ მატჩის გმირი ალან ჰიუსტონი — ეს გამარჯვება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ შეგვიძლია თავს მივცეთ ამოსუნთქვის უფლება, სულ ცოტა, კიდევ სამი თამაში უნდა მოვიგოთ". რაც შეეხება მის მეტოქეებს, ისინი დიდად დაამწუხრა შინ, სერიის პირველ მატჩში მოულოდნელმა მარცხმა, მაგრამ ამისგან ტრაგედია არ შეუქმნიათ.

პირველი მატჩის ჩავარდნამ, აქამდე ზედიზედ 12 უკანასკნელი საპლეიოფო მატჩის მომგები ინდიანა აიძულა, გეგმებში კორექტივები შეეტანა. „ჩვენ სტუმრადაც კარგად ვთამაშობთ და გამარჯვებაც შეგვიძლია, მაგრამ მანამდე შინ მეორე შეხვედრა უნდა მოვიგოთ" — ამბობს მასპინძელთა ნირწამხდარი ლიდერი რეჯი მილერი, ვისაც არაერთხელ უხსნია საკუთარი გუნდი წაგებისგან (მათ შორის ნიუ იორკთანაც ამ ოთხი წლის წინანდელ პლეი ოფის მეორე წრეში, როცა მან ერთ-ერთი მატჩის ბოლო 16 წამში ორი სამქულიანი ჩააგდო და ინდიანას 107:105 მოაგებინა), მაგრამ ამჯერად არ გაუმართლა. აი, ნიუიორკელებისთვის კი სულ ერთია, სად მოუწევს თამაში — შინ, თუ გარეთ. „ნიქსმა" აქამდე ჯერ მაიამის, მერე კი ატლანტას ორ-ორი გამარჯვება გამოჰგლიჯა ხელიდან და სწორედ ამის გამოა, რომ ამჟამად ინდიანას პირისპირ დგას და მასაც დიდი სიამოვნებით იგივე დღეს დააწევს. ამისათვის ყველა პირობა აქვს, დაწყებული საკმაოდ მძლავრი, ვარსკვლავური შემადგენლობიდან, დამთავრებული ფსიქოლოგიური უპირატესობით.

მატჩი გარდამავალი უპირატესობით დაიწყო. არც ერთი გუნდი არ თმობდა, მერე სტუმრებმა მოახერხეს დაწინაურება და მეოთხედი ოთხი ქულის სხვაობით მოიგეს, ტაიმიც ასევე დამთავრდა — 44:40. მომდევნო მეოთხედში ამას სამიც მიემატა — მესამე თორმეტწუთეული 70:63 დამთავრდა. 7-ქულიანი ჩამორჩენა ინდიანასთვის დაუძლეველი ზღვარი სულაც არაა და „მარკეტ სკვერ არენაში" თავმოყრილი თექვსმეტნახევარი ათასი, ემოციებით დამუხტული გულშემატკივარი დაძაბული და საინტერესო დაბოლოებისთვის მოემზადა. მეტოქე გუნდებმაც არ გააწბილეს ისინი, ძალიან საინტერესო ბრძოლა გააჩაღეს.

ნიუ იორკი თავდაპირველად ინარჩუნებდა დიდი ოფლისღვრის ფასად მოპოვებულ მცირე სხვაობას, მაგრამ მატჩის დამთავრებამდე ოთხიოდე წუთით ადრე აფეთქდა მასპინძელთა 223-სანტიმეტრიანი ჰოლანდიელი ცენტრი რიკ სმიტსი. სმიტსს იმ დღეს თამაში არ წაუვიდა (თუ ამ მონაკვეთს არ ჩავთვლით), მაგრამ ბოლო წუთებზე გამოცოცხლდა და „პეისერზს" ჯერ გაათანაბრებინა — 78:78, მერე თავისიანები წინაც გაიყვანა — 87:82. სმიტსს არ დასცალდა, თორემ ინდიანელები თავისუფლად შეძლებდნენ გამარჯვებას. „ნიქსმა" იგრძნო, რომ უმთავრესი საფრთხე სწორედ ჰოლანდიელის მხრიდან მოდიოდა და მთელი გუნდი მის წინააღმდეგ დაირაზმა. უკანახაზელი ალან ჰიუსტონი სირენამდე 36 წამით ადრე „თავხედურად" შეიჭრა სივრცეში, სადაც მაღალი ჰოლანდიელი ბატონობდა, სმიტსმაც ვერ მოითმინა, დაფარება დაუპირა, რითაც მეექვსე პერსონალურსა და გავარდნას გამოჰკრა ხელი. მატჩის ბედიც გადაწყდა. ბოლო წამებზე კი მასპინძელთა სნაიპერმა რეჯი მილერმა სამქულიანი ააცილა.

## დასავლეთი

### სან ანტონიო — პორტლენდი 1:0

**სან ანტონიო 80:76 პორტლენდი**

**სან ანტონიო: ჯონსონი (9 ქულა, 9 პასი), ელი (8), ელიოტი (12), დანკანი (21 ქულა, 13 მოხსნა, 5 დაფარება), რობინსონი (21 ქულა, 10 მოხსნა); ჯეკსონი (5), როუზი (4), კერსი, დანიელსი, პერდიუ**

**პორტლენდი: სტუდემაიერი (2 ქულა, 8 პასი), რაიდერი (13), ვოლესი (28 ქულა, 8 მოხსნა), გრანტი (8), საბონისი (5); ენტონი (10), ვილიამსი (8), ჯეკსონი (2), ოგმონი**

სან ანტონიოს და პორტლენდს, სანამ ერთმანეთის წინაშე წარდგებოდნენ, გრანდებთან მოუხდათ შებმა. ამ უკანასკნელმა თვით ლიგის ბოლო ორგზის ფინალისტ „იუტა ჯაზს" სძლია დაძაბულ ექვსმატჩიან სერიაში. სან ანტონიომ კი სულ ოთხ მატჩში მოინელა ლეიკერსი და დასავლეთის ფინალურ სერიას მეტოქე გუნდზე დასვენებული შეხვდა. ისე, კონფერენციის ფინალში სან ანტონიო ბოლოს 1995 წელს იყო და გამოვარდა, პორტლენდი კი უკანასკნელად 1992 წელს თამაშობდა და ფინალში გასვლა მოახერხა. ამჯერად ნაადრევია, რომელიმე ფინალში დავიგულოთ, ჯერ მხოლოდ ერთი მატჩი ჩატარდა, მაგრამ პორტლენდს დიდი ჯაფა დაადგება შვიდი წლის წინანდელის მისაღწევად. ახლა კი „ბლეიზერსმა" პირველი ტეხასური გამოცდა ხეირიანად ვერ ჩააბარა, თუმცა არცთუ შორს ყოფილა გამარჯვებასთან.

და სან ანტონიო? მას ეგონა, უფრო ადვილად მოიგებდა. თუნდაც იმიტომ, რომ ისეთი მძლავრი იარაღი გააჩნია, როგორიც ტიმ დანკანია. დანკანი დღე-დღეზე ელოდება გამოკითხვას, რომელიც სეზონის უძვირფასეს მოთამაშეს გამოავლენს და ეს უფრო დანკანი იქნება, ვიდრე სხვა. დანკანის გვერდით ფარქვეშ მოთამაშე დევიდ რობინსონიც სათვალავში ჩასაგდებია. ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი ცენტრი „ადმირალი" დევიდი კი მოხუცებულა, მაგრამ ისე რას დაეცემა, სხვის ფეხქვეშ აღმოჩნდეს. რობინსონმა თავისი საქმე მშვენივრად გააკეთა და თითქმის მთლიანად გამოთიშა თამაშიდან მისი მეურვე არვიდას საბონისი. როგორც ჩანს, „ადმირალმა" საბოლოოდ მოიშორა ის კომპლექსი ამ თერთმეტი წლის წინ სეულის ოლიმპიადაზე დღეს ლიტველი, მაშინ კი საბჭოელი ცენტრის წინააღმდეგ რომ ჩამოუყალიბდა. იმ ოლიმპიადაზე საბონისმა აშკარად დაჩაგრა მაშინ ჯერ კიდევ სტუდენტი რობინსონი — შემდგომში მათი პაექრობა კალათბურთის ეროვნულ ასოციაციაშიც გაგრძელდა და აქაც არცთუ იშვიათად უფრო მძლავრობდა ლიტველი. ახლა კი სასწორი „ადმირალის" მხარესაა გადახრილი. კარგი იყო ტიმ დანკანიც. მანაც მუხლჩაუხრელად იშრომა და თავის მხრივ იუტასთან სერის გმირი ბრაიან გრანტი გაამწარა არანაკლებ, ვიდრე რობინსონმა — საბონისი.

საერთოდ სტუმართაგან იმ დღეს მხოლოდ რაშიდ ვოლესს არ დაედება წუნი. მან თავის საპლეიოფო კარიერაში ყველაზე მეტ ქულას მოუყარა თავი. „მას აქვს სიმაღლეც, სისწრაფეც და ძალაც. იგი დიდი მოთამაშეა — ასე დაახასიათა ვოლესი სან ანტონიოს მწვრთნელმა გრეგ პოპოვიჩმა და მას მონსტრიც კი უწოდა. ვოლესი მართლაც ბრწყინვალედ ირჯებოდა და მაშინ, როცა რობინსონი და დანკანი საბონისისა და გრანტის გაუვნებლებით იყვნენ დაკავებულები, იგი „უტიფრად თარეშობდა" მათ მიერ დაპყრობილ სივრცეში და გვარიან პრობლემებსაც ქმნიდა. ვოლესი ბრწყინვალე იყო, მაგრამ საბოლოოდ მისი ერთი შეცდომა გუნდს წაგების ფასად დაუჯდა. რაშიდმა თამაშის ბოლო წამებზე ფარქვეშიდან ჩაგდება ვერ მოახერხა, როცა ანგარიში 78:76 იყო და თავისიანებს ბოლო შანსიც დაუკარგა. შეხვედრის ბოლო ქულები კი ორი საჯარიმოთი მარიო ელიმ მიითვალა, რომელიც თავის მეასე შეხვედრას ატარებდა პლეი ოფში.

**ირაკლი ფირუშვილი**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### შვეიცარიის ჩემპიონატი. XIV ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.06 | ბაზელი — ლუცერნი | 1,8 | 3,2 | 3,5 |
| | გრასჰოპერი — ქსამაქსი | 1,15 | 5,0 | 8,0 |
| | ლოზანა — სერვეტი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | სტ. გალენი — ციურიხი | 3,4 | 2,9 | 2,0 |

### კირინის თასი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.06 | იაპონია — ბელგია | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 6.06 | იაპონია — პერუ | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXXVII ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 6.06 | ტრევიზო — ატალანტა | 2,7 | 2,9 | 2,2 |
| | მონცა — კიევო | 1,9 | 2,5 | 5,6 |
| | ლუკეზე — კოზენცა | 2,2 | 2,7 | 3,4 |
| | ჩეზენა — ჯენოა | 2,2 | 2,2 | 3,8 |
| | ვერონა — ნაპოლი | 1,3 | 3,0 | 9,0 |
| | ლეჩე — პესკარა | 1,6 | 2,8 | 5,6 |
| | კრემონეზე — რავენა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | ბრეშა — რეჯანა | 1,3 | 4,2 | 5,3 |
| | რეჯინა — ტერნანა | 1,3 | 3,3 | 7,5 |
| | ფ. ანდრია — ტორინო | 2,5 | 2,7 | 2,7 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი XL ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5-6.06 | ტოლედო — ალბასეტე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | ეიბარი — ბარსელონა B | 2,0 | 3,0 | 2,6 |
| | სპორტინგი — ერკულესი | 1,4 | 4,0 | 4,0 |
| | ლას პალმასი — ოსასუნა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | მალიორკა B — ბადახოსი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | ატლეტიკო B — ლეგანესი | 1,3 | 4,0 | 6,5 |
| | რაიო ვალეკანო — მერიდა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | ლოგრონიესი — რეკრეატივო | 1,6 | 3,2 | 4,4 |
| | ლეიდა — ორენსე | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | ნუმანსია — სევილია | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| | კომპოსტელა — მალაგა | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### ამხანაგური მატჩები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5.06 | ბრაზილია — ჰოლანდია | 1,8 | 2,9 | 4,2 |

## ჰოკეი. NHL

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.06 | კოლორადო — დალასი | 1,7 | 4,4 | 2,4 |

## კალათბურთი. NBA

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.06 | ინდიანა — ნიუ იორკი | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 4.06 | პორტლენდი — სან ანტონიო | 1,3 | 12,0 | 2,8 |

## ხელბურთი

### მსოფლიო ჩემპიონატი ეგვიპტეში

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.06 | ეგვიპტე — ბრაზილია | 1,01 | 8,0 | 16,0 |
| 2.06 | ტუნისი — არგენტინა | 1,1 | 8,0 | 5,3 |
| | დანია — მაროკო | 1,1 | 8,0 | 5,3 |
| | ესპანეთი — ალჟირი | 1,05 | 8,0 | 8,0 |
| | მაკედონია — ს. არაბეთი | 1,05 | 8,0 | 8,0 |
| | გერმანია — კუბა | 1,05 | 8,0 | 8,0 |
| | ხორვატია — კუვეიტი | 1,1 | 8,0 | 5,3 |
| | უნგრეთი — ნიგერია | 1,02 | 8,0 | 10,0 |
| | რუსეთი — ნორვეგია | 1,03 | 8,0 | 12,0 |
| | შვედეთი — კორეა | 1,05 | 8,0 | 8,0 |
| | საფრანგეთი — ავსტრალია | 1,03 | 8,0 | 10,0 |

### ჩემპიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| შვედეთი | 2,5 | უნგრეთი | 10,0 |
| რუსეთი | 2,5 | ხორვატია | 10,0 |
| საფრანგეთი | 4,0 | გერმანია | 12,0 |
| ეგვიპტე | 5,0 | დანია | 25,0 |
| ესპანეთი | 5,0 | კორეა | 25,0 |
| იუგოსლავია | 8,0 | ნორვეგია | 50,0 |

დანარჩენი 100,0

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# დოლიძის რჩეულები ევროპის რჩეულებს დაუახლოვდნენ

**საქართველო 27:23 ლატვია**

**საქართველო:** ერაძე; ყიფიანი (1), ანდრიაშვილი (1), კალანდაძე (3), ბოყოჩაძე (7), ორჯონიკიძე (4), თურქია, კეკელიძე (2), მეიფარიანი (2), დათუკაშვილი (1), გელაშვილი (6); ბუთიკაშვილი

**ლატვია:** ბრაზნილოვსი; დუმარანსი (1), პეტერსონსი, ტარაკანოვსი (2), რავინსკისი (1), სმაგარსი (4), ლადინსი (4), უშკინსი (8), სერაფიმოვიჩი (1), ლაბანოვსკისი (2), მელდერისი

**ორწუთიანი გაძევებები:** კალანდაძე (2), ბოყოჩაძე, თურქია — საქართველო; დუმარანსი (3) — ლატვია

**მსაჯები:** ალექსანდრ და ანატოლი კოვალჩუკები (მოლდოვა)

**EHF-ს კომისარი:** ბორის იუმაშევი (უკრაინა)

რიგაში მეტად დაძაბული მატჩის მოგების შემდეგ თბილისში გამარჯვებით პლეი ოფში ადგილს გავინაღდებდით. თუმცა, როგორც თამაშის წინ გაირკვა, მიზნის მისაღწევად ფრეც გვაძლევდა ხელს, რადგან ოთხ საუკეთესო მეორეადგილოსნებში ამ შედეგითაც ვხვდებოდით. შეგახსენებთ, რომ ჯგუფების შვიდ გამარჯვებულს ხუთი ოთხგუნდიანის ოთხი საუკეთესო მეორე ადგილზე გასული გუნდი გაჰყვებოდა პლეი ოფში. ამის ერთ-ერთმა პრეტენდენტმა ჩეხეთმა კი საბოლოოდ მხოლოდ 6 ქულის დაგროვება შეძლო.

ახლა ჩვენი ნაკრების ბოლო თამაშზეც ვთქვათ: ქართველებს თავიდანვე ეტყობოდათ, რომ მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოლებდნენ. თუმცა ამან, ეტყობა, ფსიქოლოგიურად ცოტა დამთრგუნველად იმოქმედა, რადგან ჩვენებურები, ნერვიულობისა და აჩქარების გამო ხშირად ცდებოდნენ.

შეხვედრა ლატვიელებმა დაიწყეს და პირველი ტყორცნაც მათ განახორციელეს. მთელი მატჩის მანძილზე ჩინებულად მოთამაშე როლანდ ერაძემ ბურთი მოიგერია და ანგარიში ჩვენ გავხსენით. საპასუხო შეტევისას ლევან გელაშვილის სროლის შემდეგ უწია ბურთმა მიზანს. სტუმრებმა უმალ გაათანაბრეს ანგარიში ლადინსის დახმარებით.

ამას მეტოქეებმა თითო წარუმატებელი იერიში მიაყოლეს. მერე კვლავ გელაშვილმა იმარჯვა, ვის გოლსაც რავინსკისმა უპასუხა — 2:2. შეხვედრის დაწყებიდან 5 წუთი გავიდა. ქართველთაგან დაცვაში ყიფიანი და ორჯონიკიძე თამაშობდნენ, თავდასხმაში კი მათ ნაცვლად ადგილს კეკელიძე და გელაშვილი იკავებდნენ. სლოვაკეთთან თბილისური მატჩისგან განსხვავებით, ეს ცვლილებები დროულად ხდებოდა. ლატვიელებმა დაცვისას ტიტე კალანდაძეს პერსონალური მეურვე მიუჩინეს (ამ როლს ხან უშკინსი ასრულებდა, ხან ტარაკანოვსი), რამაც დანარჩენ ქართველებს შეტევისას გაცილებით მეტი ფართობი არგუნა. ტიტე კი „პირადმა დაცვამ“ თამაშიდან ნამდვილად ვერ გამოთიშა, რადგან მან ყველაზე საჭირო მომენტებში გამოიჩინა თავი.

მე-6 წუთზე კალანდაძის გოლს, ლატვიელთა იერიშის გაცუდება და სწრაფ კონტრშეტევაზე ომარ ყიფიანის გოლი მოჰყვა — 4:2. მალე დაწინაურება შეგვეძლო, მაგრამ მეიფარიანის ლამაზად ნატყორცნის შემდეგ ბურთი ძელმა აისხლიტა. იქვე დავისაჯეთ. ერაძის კარგი თამაშის მიუხედავად, ანგარიში კვლავ გათანაბრდა — 4:4.

ამას ისევ გელაშვილის გოლი და რამდენიმე წარუმატებელი შეტევა მოჰყვა. ლატვიელთა ხაზის მოთამაშე დუმარანსმა, რომელიც ტანადობის მიუხედავად ორჯონიკიძესთან და ყიფიანთან ვერას გახდა, ფრთაზე ანდრიაშვილისკენ გადაიწია. მართალია, თავიდან ყვითელი ბარათით „დაჯილდოვდა“ ზედმეტი „აქტიურობისთვის“, მაგრამ მერე ამან მეტნაკლებად შედეგი გამოიღო. მანამდე კი ორჯონიკიძის შვიდმეტრიანისა და ბოყოჩაძის სწრაფი გარღვევის შემდეგ ქართველები ორი ბურთით დაწინაურდნენ — 7:5.

აქ დუმარანსმა თავისი ერთადერთი გოლი გაიტანა და თან თურქიას ყვითელი ბარათი მიაღებინა. მალევე სმაგარსმა ძელს მოარტყა ბურთი, რომელსაც ერაძე დაეუფლა და... ჩვენს დინჯ მეკარესაც გადაედო თანაგუნდელთა აფორიაქება. მისი ნაჩქარევი პასი ლადინსს მიუვიდა და სტუმრების მე-13 ნომერს ბურთის ცარიელ კარში შეგორება არ გასძნელებია — 7:7.

მერე კეკელიძემ და ტარაკანოვსმა თითო გოლი შეაგდეს და დადგა მეკარეების დრო — ორივე კარის დარაჯმა რამდენიმე ძნელი ბურთი მოიგერია. მალე ჩვენები ისევ აირივნენ, წარმატებულ შეტევებს დაცვაში უხეში შეცდომები დაურთეს და კვლავ ანგარიშში თანაფარდობა — 11:11.



ზაზა დოლიძე შეგირდებს კიდევ ერთ ძნელ ბრძოლაში უნდა გაუძღვეს

საქართველოს ნაკრები ცოტათი დალაგდა. მეიფარიანის, ანდრიაშვილისა და გელაშვილის გოლებით 14:12 დავწინაურდით (ერთი უშკინსმაც შეაგდო), მაგრამ პირველი ტაიმის დამთავრებამდე 6 წამით ადრე შვიდმეტრიანი უაზროდ ვაჩუქეთ მეტოქეს და ლადინსმაც შეირგო — 14:13.

მეორე ოცდაათი წუთის დაწყებისთანავე ლატვიელებმა ის ერთი ბურთიც გაქვითეს. თურქიას ბრაზნილოვსმა აუღო, ანდრიაშვილმა სტუმრების პასი ჩაჭრა, ბოყოჩაძეს გოლს ლაბანოვსკისისა მოჰყვა, შეტევაში ბურთი დავკარგეთ, ერაძემ პირისპირ გასულ სერაფიმოვიჩს აუღო, ორჯონიკიძემ შვიდმეტრიანი ძელს მოარტყა. ორივე გუნდი ჩქარობდა და შესაბამისად შეცდომებიც ბლომად მოსდიოდათ.

სპორტის სასახლეში თავმოყრილმა 2500-მდე ქართველმა იგრძნო, რომ მათ ნაკრებს გამხნევება სჭირდებოდა და ახმაურდა. ამან ჩვენებზე სასიკეთოდ იმოქმედა. ორჯონიკიძის ორ შვიდმეტრიანიდან გატანილს, გელაშვილისა და კეკელიძის გოლებს, ლატვიელებმა სმაგარსის ეფექტური გოლით უპასუხეს და სამი ბურთით დავწინაურდით — 19:16.

მეგონა, დარჩენილ 15 წუთში ქართველები უფრო გაზრდიდნენ უპირატესობას და გამარჯვებასაც უპრობლემოდ მიაღწევდნენ, მაგრამ... დათუკაშვილმა ძელს მოარტყა ბურთი, ანდრიაშვილს ორჯერ მეკარემ აჯობა, უშკინსი კი მშვენივრად ორჯებოდა და ანგარიშიც გათანაბრდა — 20:20. მატჩის დასრულებამდე 10 წუთი და 37 წამი რჩებოდა, ჩვენები კი უმცირესობაში დარჩნენ ბოყოჩაძის ორი წუთით გაძევების შემდეგ.

აქ თამაში თავის თავზე კალანდაძემ აიღო და ხაზის გარღვევის შემდეგ მეტად მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა. ბოყოჩაძის მოედანზე დაბრუნებამდე ანგარიში აღარ შეცვლილა. მერე კი დუმარანსი მესამედ ორი წუთით და შესაბამისად მატჩის ბოლომდე შეცვლის უფლებით გააძევეს მსაჯებმა — მოლდოველმა ტყუპმა ძმებმა. ამით ქართველებმა კარგად ისარგებლეს და შეხვედრის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე სამბურთიან უპირატესობას მიაღწიეს — 24:21. მაგრამ თამაშის მშვიდად ჩათავება არ გვეწერა. თურქიას ორწუთიან გაძევებას სმაგარსის და ლადინსის გოლები მოჰყვა.

ბოლო ორი წუთში კი ბოყოჩაძემ და ერაძემ ითამაშეს ჩინებულად. პირველმა სამჯერ გაუტანა ბარზნილოვსს, მეორემ კი კარი საიმედოდ დაიცვა და ოთხი ბურთით გავიმარჯვეთ — 27:23. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები პლეი ოფში გავიდა.

ჩვენი მომავალი მეტოქის ვინაობა კი 12 ივნისს, ეგვიპტეში, მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ გამართულ წილისყრაზე გაირკვევა. საქართველოს ნაკრების გარდა პლეი ოფში *ავსტრია, ბელარუსი, ისლანდია, იტალია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვენია, თურქეთი* და *უკრაინა* გავიდნენ. პლეი ოფებში თავიდანვე იყვნენ დაშვებულნი: *გერმანია, საფრანგეთი, რუსეთი, იუგოსლავია, დანია, მაკედონია, ნორვეგია, უნგრეთი* და *ესპანეთი*. წილისყრა ისე ჩატარდება, რომ ეს უკანასკნელი ცხრა ნაკრები ერთმანეთს არ შეხვდება.

**გაიოზ თალაკვაძე**

**გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები**



ქართველმა ხელბურთელებმა თავადაც იხარეს და ქომაგებიც გაახარეს



მატჩის ბოლოს ალეკო ბოყოჩაძემ (13) ივარგა: ზედიზედ სამი ბურთი გაიტანა




ლატვიელ დუმარანსს უხეშობა ძვირად დაუჯდა: მსაჯმა მოედნის ნაცვლად ტრიბუნაზე მიუჩინა ადგილი

**ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი**

მეექვსე საკვალიფიკაციო ჯგუფი

**პორტუგალია — სლოვაკეთი**

26:23 (11:9)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 4 | 0 | 2 | 133:120 | 8 |
| საქართველო | 4 | 0 | 2 | 132:128 | 8 |
| სლოვაკეთი | 2 | 0 | 4 | 133:138 | 4 |
| ლატვია | 2 | 0 | 4 | 119:131 | 4 |

## ფარაონების სამშობლოში

დღეს ეგვიპტეში ხელბურთელვაჟთა მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყება. ტურნირი, რომლის შესარჩევ ეტაპზე საქართველოს ნაკრები ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციამ მიზეზთა გამო არ დაუშვა, 15 ივნისამდე გასტანს. პირამიდების ქვეყანაში 11 ევროპული, 5 აფრიკული, 4 აზიური, 3 ამერიკული ნაკრები და ავსტრალია შეეცილებიან ერთმანეთს მსოფლიოში უძლიერესის ტიტულს. ფავორიტებად ესპანეთი, გერმანია, შვედეთი და იუგოსლავია მიიჩნევიან, თუმცა არც სხვების ნაადრევად ჩამოწერა ეგების. მაგალითად, ჩვენი მეზობელი რუსები ნაღდად ეცდებიან ორი წლის წინ იაპონიაში მიღწეული წარმატების გამეორებას. მაშინ მათ ოქროს მედლები დაისაკუთრეს.

ევროპული გუნდებიდან ქართველთათვის ყველა საყურადღებოა. ხორვატია და შვედეთი, რომლებიც 2000 წლის ევროპის ჩემპიონატზე პირდაპირ არიან დაშვებულნი, შეიძლება ფინალურ ეტაპზე ჩვენი მოწინააღმდეგენი შეიქმნან, თუ, რა თქმა უნდა, პლეი ოფში გავიმარჯვეთ.

დანარჩენი ცხრიდან ერთ-ერთი კი იქნებ 12 ივნისს გახდეს ჩვენი მეტოქე. ისინი ხომ ევრო 2000-ის შესარჩევი ტურნირის პლეი ოფში საკვალიფიკაციო ჯგუფებში წარმატებით გამოსულ ნაკრებებს ელიან. კენჭისყრა კი სწორედ მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებამდე 3 დღით ადრე ჩატარდება.

დავუბრუნდეთ ეგვიპტურ ტურნირს. 24 გუნდი 4 ჯგუფადაა დაყოფილი, მერვედფინალში თითოეული ჯგუფის ოთხი საუკეთესო გავა და შემდეგ „წააგე-წადის“ პრინციპი ამოქმედდება.

**ნანა შატაკიშვილი**

*გაგაცნობთ ჯგუფების შემადგენლობებს:*

**A ჯგუფი** — ესპანეთი, ტუნისი, დანია, ალჟირი, არგენტინა, მაროკო;

**B ჯგუფი** — გერმანია, საუდის არაბეთი, ეგვიპტე, კუბა, მაკედონია, ბრაზილია;

**C ჯგუფი** — რუსეთი, უნგრეთი, ხორვატია, ნორვეგია, ქუვეითი, ნიგერია;

**D ჯგუფი** — შვედეთი, იუგოსლავია, საფრანგეთი, კორეა, ჩინეთი, ავსტრალია.

საქართველოს ჩემპიონატი. მეექვსე ტური

# შვიდები და მშვიდები



ქუთაისელებს ცდა არ დაუკლიათ, ბურთის ხელით გათამაშებასაც ცდილობდნენ, მაგრამ „ლოკომოტივთან" რომ ვერას გახდებოდნენ, ყველამ იცოდა



ყოჩებმა სტუდენტები ანგარიშითაც წააქციეს

თბილისი. 29 მაისი

**ლოკომოტივი 1 — აია 40:9 (19:3)**

ლოკომოტივი 1: ჭელიძე (კერესელიძე), თოფურიძე, აბრამიშვილი, კვანტალიანი, მოგელაძე, კობახიძე, უდესიანი, ჯოხია, სარიშვილი (ბერიძე), კვინიხიძე, მელაძე, ალანია (ცხადაია), მხეიძე, ბუგიანიშვილი, იოვაძე

6 ლ — მხეიძე (2), ბუგიანიშვილი (4); 5 გ — კვინიხიძე

აია: ბუხაიძე, კუხიანიძე, კებულაძე, კოსტავა, მაღლაკელიძე, ჭელიძე, კიკვიძე (ორმოცაძე), წიჭწივაშვილი, კიკაჩეიშვილი (ჩუბინიძე), ბალანჩივაძე, ცნობილაძე, ჩორგოლიანი, ჩხაბერიძე, ჭოლაძე, შვანგირაძე

2 ს და 1 ა — შვანგირაძე

მსაჯი: ლ. მგელაძე

მეთვალყურე: გ. აბაშიძე

**უნივერსიტეტი — ყოჩები 10:43 (10:10)**

უნივერსიტეტი: წიკლაური (ელოშვილი), ჯანუკაშვილი, რატიანიძე, ბიძინაშვილი, კობიაშვილი, მჭედლიშვილი, ლაბაძე (დანელია), ჩქარეული, ჭუმბურიძე, კიზირია, ბარამიძე, ქირიკაშვილი, ჯაში (მოდებაძე), ახობაძე (თავაძე), ჯავრიშვილი

1 ლ — ჭუმბურიძე; 1 გ და 1 ა — ჯავრიშვილი

ყოჩები: ახვლედიანი (ესაკია), ჭავჭავაძე, ფირიაშვილი (კიკვაშვილი), სულთანიშვილი, პაპავა, ჭელიძე (კობახიძე); სოფრომაძე (ტყეშელაშვილი), ურუშაძე, ხელაძე, ლიპარტელიანი, პეტრიაშვილი, საკანდელიძე, მხეიძე, წიკლაური (იმნაძე), ტეფნაძე

7 ლ — სოფრომაძე, ხელაძე, ჯგ. ჭავჭავაძე, ტეფნაძე (2), ლიპარტელიანი; 4 გ — კობახიძე

მსაჯი: ნ. რობიტაშვილი

მეთვალყურე: გ. აბაშიძე

თბილისი. 30 მაისი

**ზორდა — ასკ 7:7**

**ლოკომოტივი 2 — რუსთავი 22:18 (12:10)**

ლოკომოტივი 2: ჯილაური, ჯიბლაძე, ჭელიძე, მაღალთაძე, ტლენტი, აფაქიძე, უდესიანი, ხონელიძე, ბერიძე, ხუნწარია, ხვიჩია, ცხადაია, მხეიძე, გუგავა, ხინჩაგაშვილი

4 ლ — გუგავა (2), ბერიძე (2); 1 გ — ხუნწარია

რუსთავი: სამხარაძე, კვიციანაძე, ავალიშვილი, ნარსია (მელაძე), ნადირაშვილი, მღებრიშვილი, ლობჯანიძე, ქერდიკაშვილი, გელაშვილი, ლობჟანიძე, ღირსიაშვილი, მეფარიშვილი, გიგაური, ნარიაშვილი, მინდორაშვილი

2 ლ — მეფარიშვილი, ნადირაშვილი; 1 გ და 2 ა — ქერდიკაშვილი

მსაჯი: გ. აბაშიძე

მეთვალყურე: პ. ნარიმანაშვილი

ყველაფერი ისე მოხდა, როგორც მოსალოდნელი იყო. მეექვსე ტურის მატჩების შემხედვარე რაგბის გულშემატკივარი ადვილად მიხვდებოდა, უმეტესობა მატჩებისა რა შედეგით დასრულდებოდა. აბა, რა დიდი მტკიცება უნდა იმას, რომ „აია" „ლოკომოტივის" პირველი გუნდის, უნივერსიტეტი კი „ყოჩების" მომგები არ იყო.

სტუდენტებისა და ჩემპიონის მატჩის პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში გაილია, თუმცა ამის მიზეზი უნივერსიტეტელებზე მეტად თავად ჩემპიონები იყვნენ. ადვილად მოგებას თუ ელოდნენ, მობურთალნი აშკარად მოშვებულნი ჩანდნენ. ამით ისარგებლა კიდეც მეტოქემ. ეს კი, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არაპროფესიონალიზმის მაჩვენებელია, რაც გუნდს შესაძლოა ძვირად დაუჯდეს. ისე ნუ გაიგებთ, თითქოს მხოლოდ „ყოჩები" არიან არაპროფესიონალები, სხვები კი... არა, ასეა ყველა და უბედურებაც ამაშია. ამიტომაცაა (სხვას რომ თავი დავანებოთ) ჩვენი ჩემპიონატის დონე დაბალი.

სტუდენტი ჭუმბურიძის ლელოს, შემდეგ კი ჯავრიშვილის გარდასახვასა და არეკნს „ყოჩებმა" სოფრომაძის და ხელაძის ლელოთი უპასუხეს და ტაიმიც 10:10 დამთავრდა. მეორე ნახევარში თამაშის სურათი შეიცვალა, ჩემპიონი სრულ უპირატესობას დაეუფლა და შედეგმაც არ დააყოვნა. ეს უპირველესად მოთამაშეთა მონდომების შედეგია, თან „ყოჩებმა" რამდენიმე მორაგბეც შეცვალეს. შეცვლაზე შემოსულმა ესაკიამ, ტყეშელაშვილმა, კახა კობახიძემ და კიკვაშვილმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს თამაშის ხარისხი, თანაგუნდელთ არც რატი ურუშაძე ჩამორჩა, რომელმაც თითქმის ყველა აუტი მოიგო. ცხადია, ასეთ უპირატესობას ყოჩთა ხუთი ლელო რომ მოჰყვა, სტუდენტებმა კი ამას, დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ვერაფრით უპასუხეს.

იმ დღეს გამართულ მეორე მატჩში „ლოკომოტივი 1"-მა ქუთაისის „აიას" სძლია 40:9. ამ შეხვედრის შედეგი წინასწარ იყო ცნობილი. ყველასთვის ცხადია, რომ დღესდღეობით ქუთაისელებს არ შესწევთ რკინიგზელთა დამარცხების ძალა. ის კი არა, საერთოდ ეწვეოდნენ თუ არა ქუთათურები დედაქალაქს, არავინ იცოდა. ამის მიზეზი ის ფინანსური მდგომარეობაა, რომელშიც კლუბი იმყოფება.

თავად მატჩს რაც შეეხება, მთელი შეხვედრის განმავლობაში „ლოკომოტივი 1" სრულ უპირატესობას ფლობდა და ისევ და ისევ მათ მოდუნებას (არაპროფესიონალიზმს) უნდა უმადლოდნენ აიელები, უფრო დიდი სხვაობით რომ არ წააგეს.

ტურის კიდევ ორი მატჩი კვირას, 30 მაისს, გაიმართა. უმცროსმა რკინიგზელებმა დაძაბულ ბრძოლაში სძლიეს რუსთაველებს. ზორდასა და ასკ-ს დაპირისპირება კი ფრედ დასრულდა. საერთოდ კი, კვირას გამართული მატჩები გაცილებით დაძაბული და საინტერესო გამოდგა.

რუსთაველებთან გამარჯვება „ლოკომოტივი 2"-სთვის პირველი იყო წლევანდელ ჩემპიონატში. ორი აუტსაიდერის შეხვედრაში გულშემატკივრები მცირე უპირატესობას რკინიგზელებს ანიჭებდნენ. აკი გამართლდა კიდეც პროგნოზი — 22:18. მატჩის დაძაბულობაზე ანგარიშიც მეტყველებს. შეხვედრის საუკეთესო მოთამაშედ ორივე გუნდიდან თამამად შეიძლება ლექსო გუგავა მივიჩნიოთ. სწორედ მას უნდა უმადლოდნენ რკინიგზელები გამარჯვებას — ორი ლელოს გამტანი დაცვაშიც შეუდარებელი იყო. კიდევ ორი ლელო ბერიძის ანგარიშზეა. სხვაობა მეტიც შეიძლებოდა ყოფილიყო, ხუნწარიას სამი გარდასახვა რომ არ აეცილებინა.

ტურის ბოლო და ცენტრალურ მატჩში ერთმანეთის პირისპირ „ზორდა" და ასკ წარსდგნენ. ეს იყო ერთადერთი მატჩი, რომელიც, შეიძლება ითქვას, მოულოდნელი შედეგით დასრულდა. ოთხეულში მოხვედრისთვის მებრძოლ „ზორდას" აუცილებლად სჭირდებოდა არმიელების დამარცხება და მატჩის უმეტეს დროს უპირატესობასაც ფლობდა, მაგრამ ეს საბოლოო შედეგში არ აისახა — ფრე 7:7. ამან ოთხეულის მეოთხე გუნდის ვინაობის გარკვევა კიდევ უფრო გაართულა. არადა თითო-თითო ლელო კი არა, მეტოქეთ სულ მცირე, სამ-სამი ლელო უნდა გაეტანათ ერთმანეთისთვის, მაგრამ მობურთალები შეტევის გადამწყვეტ ფაზაში სცოდავდნენ. განსაკუთრებით ეს ზორდელებზე ითქმის, რომლებმაც ლელოები ხომ ვერ გაიტანეს და საჯარიმოებიც გააცუდეს.

ტური ტურად, მაგრამ რაგბის ქართველ ქომაგთვის საქართველოს შვიდკაცა ნაკრების ჰაიდელბერგს სტუმრობის ამბავი უფრო საინტერესოა. „ბორჯღალოსნებმა" შარშანდელის მსგავსად წლეულსაც ყველა მატჩში იმარჯვეს და აბა, პირველობას ვინღა წაართმევდათ. წინასწარ ეტაპზე ქართველმა მორაგბეებმა ჯერ ბელგიელებს სძლიეს 30:5, შემდეგ ბერლინის ნაკრები დაამარცხეს 42:0. მეოთხედფინალში ჩვენი მორაგბეების მეტოქე ჰოლანდიის „ბარბაროსები" იყვნენ, რომლებმაც ქართველებს ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს — 0:35. ნახევარფინალში „ბორჯღალოსნებმა" გერმანიაში დისლოცირებულ ბრიტანელ სამხედროებს სძლიეს 28:5, ფინალში კი მასპინძელთა გუნდი დაამარცხეს მშრალად 21:0. ახლა ჩვენი მორაგბეები ესპანეთში იმყოფებიან, სადაც კიდევ ერთ ტურნირში ითამაშებენ. ცხადია, ქართველები აქაც გამარჯვებისთვის იბრძოლებენ, მაგრამ ამის გაკეთება ერთიორად გაუჭირდებათ. წინასწარ ეტაპზე ქართველთა მეტოქენი უელსელი და იტალიელი მორაგბეები იქნებიან. უელსი და იტალია კი სარაგბო სამყაროში რასაც წარმოადგენენ, ყველასთვის ცნობილია.

**ბაჩო სვანიძე, პაატა თოთაძე**

**სადღეისო ვითარება**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დათვები | 5 | 5 | 0 | 0 | 229:20 | 32:2 | 5 | 15 |
| ლოკომოტივი 1 | 5 | 5 | 0 | 0 | 193:43 | 28:3 | 4 | 14 |
| ყოჩები | 4 | 3 | 0 | 1 | 216:38 | 33:4 | 3 | 9 |
| ასკ | 3 | 2 | 1 | 0 | 62:24 | 10:3 | 2 | 7 |
| ზორდა | 4 | 1 | 1 | 2 | 43:74 | 6:8 | 1 | 4 |
| უნივერსიტეტი | 5 | 1 | 0 | 4 | 61:134 | 7:21 | 1 | 3 |
| ლოკომოტივი 2 | 5 | 1 | 0 | 4 | 39:209 | 7:31 | 1 | 3 |
| რუსთავი | 5 | 1 | 0 | 4 | 45:244 | 4:36 | 0 | 2 |
| აია | 4 | 0 | 0 | 4 | 36:132 | 2:21 | 0 | 0 |

**სუპერ-12. ფინალი**

**დანიდინი — კრაისტჩერჩი 19:24**

ველორბოლა

# მიდრე პანტანი მოინდომებს



REUTERS

მიდი, მარკო, მიდი... იტალიელი ქომაგები პანტანის ლამის ყურში ჩასძახოდნენ

აქამდე წყნარად მყოფმა მარკო პანტანიმ (მერკატონე უნო) პიემონტის (ჩრდილოეთ იტალია) მთებში გამართულ „ჯიროს" მე-14 ეტაპი მეორემ დაამთავრა, თუმცა ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, ლორან ჟალაბერისთვის ლიდერის ვარდისფერი მაისური წაერთმია.

საფრანგეთის საზღვართან მდებარე ალპების ერთ-ერთი მწვერვალიდან დაშვებისას, რომლის სიმაღლეც ზღვის დონიდან 2 511 მეტრია, პანტანიმ 26 წლის თვისტომს პაოლო სავოლდელის წინ წასვლის შესაძლებლობა მისცა, სამაგიეროდ, თავის მთავარ კონკურენტებს (გოტის გარდა) მოუსპო მიახლოების საშუალება. იერიში „მეკობრემ" 1759 მეტრ სიმაღლეზე წამოიწყო. მისი გაყოლა მხოლოდ ხოსე მარია ხიმენესმა და ივან გოტიმ სცადეს. ჟალაბერი კი მთების მეფეს არც გაედევნა, მაინც არაფერი გამოუვიდოდა.

აღმართის ბოლოს, ფინიშამდე 61 კილომეტრით ადრე, პანტანი გოტის ერთ წუთს უგებდა, ჟალაბერის ჯგუფს კი 2 წუთსა და 46 წამს. ყველას ეგონა, რომ იგი ამ ეტაპზე პირველობას ალარავის დაუთმობდა...

„... მაგრამ დაღმართი საკმაოდ სახიფათო იყო. რისკზე წასვლის არანაირი სურვილი არ მქონდა" — ახსნა მან მერე. პირველად პანტანის ივან გოტი დაეწია. დაბა სტურასათან, სადაც სათხილამურო სპორტში მსოფლიოს ჩემპიონი და ცნობილი ფრანგი მსახიობის ჟან-პოლ ბელმონდოს რძალი სტეფანია ბელმონდო ცხოვრობს, მოწინავე დუეტს პაოლო სავოლდელიც შეუერთდა.

მათ დღის ბოლო აღმართზე დილიდანვე პელოტონს გაქცეული სამეულის (მისალია, პენია, კოჩიოლი) უკანასკნელ წევრ მისალიასაც გადაასწრეს და სავოლდელიც დაწინაურდა. მალე პანტანი — გოტის დუეტს ესპანელი დანიელ კლავერო მიუახლოვდა და პანტანიმაც აჩქარება სცადა. თუმცა მასთან დოპინგ-კონტროლებთან დაკავშირებით კრიჭაში ჩამდგარი გოტისაგან დახმარება ვერ მიიღო და კლავეროს შემოერთებას შეეგუა. ბორგო სან დალმაზოში პირველი „საეკოს" წევრი მივიდა და საერთო ჩათვლაში მეორე ადგილამდეც აღზევდა. ჟალაბერი კი ამ ეტაპის მერე (მან 3 წუთი და 28 წამი წააგო გამარჯვებულთან) მეხუთე იყო.

მე-15 ეტაპში, რომელიც კვირას გაიმართა, პანტანიმ განსაკუთრებული ამტანობა, სიძლიერე და გამჭრიახობა გამოავლინა. სწორედ ამის გამო შეძლო მან წლეულს „ჯიროს" ეტაპის მეორეჯერ მოგება. ერთ-ერთი აღმართის დასაწყისში მას ბედმა უმუხთლა — ველოსიპედს ჯაჭვი მოსძვრა და ამიტომ ოცდაათიოდე წამი დაკარგა. ტურნირის მთავარ ფავორიტს წინ წასულების უმალ დაწევა არც უცდია, რასაც შეიძლება მისთვის სავალალო შედეგები მოჰყოლოდა, რადგან, ალბათ, მალე გადაიღლებოდა. მან ლიდერებზე ოდნავ სწრაფ ტემპში გააგრძელა რბოლა და მწვერვალამდე სამი კილომეტრით ადრე წამოეწია კიდეც მათ. „ჟაჟა", ვისაც იმ დღეს გამარჯვება სწყუროდა, მაშინვე მიხვდა, რომ პანტანის ვერ მოუგებდა და მეორე ადგილისთვის ბრძოლა გადაწყვიტა, რაც მშვენივრად გამოუვიდა. „პანტანი ძალიან ძლიერია!" — ამის თქმაღა მოახერხა რბოლის დამთავრების შემდეგ ჟალაბერმა.

„ეტაპის მოგებაზე არც მიფიქრია. უბრალოდ, მთავარი მეტოქეებისთვის ცოტა დროის მოგება მინდოდა" — „დაიმორცხვა" პანტანიმ. რაც უნდოდა, გამოუვიდა კიდეც — ოსკარ კამენზინდს 1 წუთზე, ხოსე მარია ხიმენესს 6 წუთზე, ხოლო ალექს ცულეს 8 წუთზე მეტით აჯობა.

ისე, გამარჯვების აღსანიშნავად „ილ პირატმა" ფინიშის გადაკვეთისას ხელები ზე არ აღუმართავს, როგორც ამას ჩვეულებრივ აკეთებენ ხოლმე ველომრბოლელები. ალბათ, დარწმუნებული არც იყო, რომ პირველი თვითონ მივიდა. არ უნდოდა და ამდენი მოიგო, რომ მოინდომოს...

**გაგი გურული**

**მეთოთხმეტე ეტაპი**
ბრა — ბორგო სან დალმაზო (187 კმ)

1. პაოლო სავოლდელი (იტალია, საეკო) 5სთ, 22წთ, 13 წმ
2. მარკო პანტანი (იტალია, მერკატონე უნო)
3. დანიელ კლავერო (ესპანეთი, ვიტალიციო)
4. ივან გოტი (იტალია, პოლტი)
5. რიშარ ვირანკი (საფრანგეთი, პოლტი)

**მეთხუთმეტე ეტაპი**
რაკონიჯი — ოროპა (143 კმ)

1. მარკო პანტანი 3სთ, 47წმ, 31წმ
2. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი, ონსე)
3. ჯილბერტო სიმონი (იტალია, ბალანი)
4. ივან გოტი
5. დანიელ კლავერო

**მეთექვსმეტე ეტაპი**
ბიელა — ლუმეზანე (232)

1. ლორან ჟალაბერი 5სთ, 51წთ, 36წმ
2. მარკო პანტანი
3. ჯილბერტო სიმონი
4. რობერტო ჰერასი (ესპანეთი, კელმე)
5. მარკო ველო (იტალია, მერკატონე უნო)

**საერთო ჩათვლა**

1. მარკო პანტანი 72სთ, 52წთ, 47წმ
2. პაოლო სავოლდელი +2:05წთ
3. ლორან ჟალაბერი +2:06
4. ივან გოტი +2:33
5. დანიელ კლავერო +2:43

# ისმინე ჩემი ვედრება


ვინუს უილიამსი
REUTERS პარიზიდან

მარტინა ჰინგისს ჯანიან დებ უილიამსებთან თამაში მაინცდამაინც არ უყვარს. არადა, კენჭისყრამ ისე ინება, რომ წლევანდელ როლან გაროსზე, წესით, ორივეს უნდა დასჭირდებოდა — მეოთხედფინალში ვინუსს, ნახევარფინალში სერენას.

18 წლის შვეიცარიელსაც რაღა დარჩენოდა, დახმარებისათვის ზეციურ ძალებს მიმართა და პარიზის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ „წმინდა გულის" ბაზილიკაში ღმერთს შავკანიან-კუნთებიანი ოჯახის წარმომადგენლების გზიდან ჩამოშორება სთხოვა.

„არ ვხუმრობ, მართალს გეუბნებით. როდესაც გავიგე, რომ ორივეს ადრევე უნდა შევხვედროდი, ვიფიქრე, ამ ტურნირის მოსაგებად დიდი ოფლისღვრა დამჭირდება-მეთქი. ეკლესიაში რამდენსაც გინდა, იმდენს გადაიხდი, 50, 15, 10 ფრანკს და დიდ ან პატარა სანთელს აანთებ. მე საშუალო ზომის ავირჩიე."

თქვენც ისე აგიხდეთ სურვილები, როგორც მარტინას უსმინეს ზეცაში.

დები უილიამსებიდან პირველი სერენა დაისაჯა. ვეტერან მერი ჯო ფერნანდესთან 17 წლის ამერიკელმა იმდენი იოლი ბურთი გააფუჭა, ბევრს მთელი ტურნირისთვის რომ ეყოფოდა, მესამე სეტი კი სულაც მშრალზე წააგო 3:6, 6:1, 0:6.

როდესაც უმცროსმა უილიამსმა ჩვენებური „ბორჯომის" იქაურ ვარიანტ „პერიეს" სარეკლამო დაფაზე იყარა ჯავრი, ანუ მატჩის შემდეგ ჩოგანი მთელი ძალით მოუქნია, ფრანგებმა ეროვნული სიამაყის წაბილწვის საწინააღმდეგოდ ხმა აიმაღლეს და ჩოგბურთელი კორტიდან სტვენით გააცილეს.

„სულ არ მადარდებს, თუ უსტვინეს, მათი პრობლემა ხომ არ არის, რომ მე ამდენი შეცდომა დავუშვი. საზიზღარ ხასიათზე ვარ — აქ დიდ წარმატებას ვგეგმავდი, სულაც ტურნირის მოგებას. ყველაზე საშინელ კოშმარშიც კი არ დამესიზმრებოდა, რომ მესამე წრეში გავვარდებოდი" — შეიცხადა მოგვიანებით სერენამ.

თუ როლან გაროსის 1991 წლის ფინალისტის, მერი ჯო ფერნანდესის მიერ შედარებით გამოუცდელი უილიამსის დამარცხებაა შეიძლება უბრალო მოულოდნელობად მივიჩნიოთ, ვინუსის წაგება კლასიფიკაციით 125-ე ბარბარა შვარცთან პატარა სასწაულის ტოლფასი იყო.

მატჩამდე ერთი დღით ადრე შავმა ვენერამ სატელევიზიო ინტერვიუში გაბადრულმა განაცხადა, ჩემი პირველი დიდი სლემის ტურნირის მოგებისთვის მზად ვარ და არა მგონია, პარიზში ვინმემ ჩემი შეჩერება შეძლოსო.

სამერვედფინალო მეტოქის საქმეში სახილველად და შესაძლო სისუსტეთა დასადგენად უილიამსების ბანაკიდან ერთსაც არ შეუწუხებია თავი.

ბუნებრივია, არც იმისთვის მიუქცევიათ ყურადღება, რომ პირველივე წრეში შვარცმა მეცამეტედ განთესილი დომინიკ ვან რუსტი გაანადგურა (6:0, 6:1), თანაც ტურნირზე მოსახვედრად სამი მატჩის მოგება დასჭირდა და ამის მიუხედავად, მერვედფინალამდე ერთი სეტიც კი არ წააგო.

ერთი ხანობა ისე ჩანდა, რომ 20 წლის ავსტრიელი ვინუსს სერიოზულ წინააღმდეგობას მაინც ვერ გაუწევდა. ალბათ, ყველაზე დიდი ოპტიმისტიც ვერ წარმოიდგენდა, რომ 5:6-ზე და 0:40-ზე მეორე სეტში შვარცი სამ მატჩპოინტს გადაარჩენდა და მრისხანე მეტოქეს თავგზას აუბნევდა, მაგრამ სწორედ ასე კი მოხდა.

ყველაზე საინტერესო კი ის იყო, მაღალი, მაგრამ გარეგნულად არცთუ ღონიერი შვარცი ამერიკელის მძლავრ დარტყმებს უკან დახევის ნაცვლად თავის მხრივ კიდევ უფრო მძლავრად პასუხობდა და ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში თავად რისკავდა, რასაც უილიამსი აშკარად არ მოელოდა.

მოკლედ, შვარცმა მეორე სეტში ძალიან დაძაბულ ტაი-ბრეიკზე იმარჯვა, მერე კი 10 000 ფრანგის თავგადადებული ქომაგებაც შეიშნო და მეტოქისგან განსავავებით, 5:3-ზე სამი მატჩპოინტი ქარისთვის არ გაუტანებია 2:6, 7:6 (9:7), 6:3.

„მაშინაც კი, როდესაც დამარცხებას ერთი ბურთიღა მაკლდა, დანებებას არ ვაპირებდი. ვფიქრობდი, სანამ მატჩი არ დამთავრებულა, შანსი ყოველთვის მაქვს, მთავარია, არ გავტყდე-მეთქი, სიმართლე გითხრათ, რომ მოვიგე, თავადაც გამიკვირდა" — ავსტრიელ ჩოგბურთელს გერმანულ ხასიათს ნამდვილად ვერ დაუწუნებ.

ვინუსი პრესკონფერენციაზე გაოცებული ჩანდა: „ტაი-ბრეიკზე დარწმუნებული ვიყავი, ახლა მოვიგებ-მეთქი. უცებ, კი სანამ გონს მოვიდოდი, მესამე სეტი დაიწყო. დაჯერებაც გამიჭირდა. ჩვეულებრივ, ჩემივე „დამსახურებით" ვმარცხები ხოლმე, მაგრამ ამჯერად ეს მისი კარგი თამაშის ბრალი იყო."

უილიამსებს მალე მიჰყვა უკან ახალი თაობის კიდევ ერთი ვარსკვავი ანა კურნიკოვაც. 17 წლის რუსმა მესამე წრეში სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული პატი შნიდერი (11) გაანადგურა 6:1, 3:6, 6:0, თუმცა მერე შტეფი გრაფს (6) ველარაფერი მოუხერხა 3:6, 6:7 (4:7).

მატჩის შემდეგ ფლორიდაში მცხოვრებ რუსს ჰკითხეს, სულ ახლახან ნიკიტა ხრუშჩოვის ვაჟმა ამერიკის მოქალაქეობა ითხოვა და თქვენც იგივეს ხომ არ აპირებთო. „გმადლობთ ინფორმაციისთვის, მაგრამ მე არავის მიბაძვას არ ვაპირებ. მით უმეტეს, მოქალაქეობის შეცვლას".

**ქალები. მერვედფინალი:** მარტინა ჰინგისი (1) — რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი) 6:3, 7:6 (7:5); ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) 6:2, 6:3; მონიკა სელეში (3, აშშ) — ჟული ალარი (16, საფრანგეთი) 6:1, 7:5; სილვია პლიჩკე (ავსტრია) — იანა ნოვოტნა (4, ჩეხეთი) 6:3, 7:6 (7:5); არანჩა სანჩეს ვიკარიო (7, ესპანეთი) — მერი ჯო ფერნანდესი — ტრავმა; კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — გალა ლეონ გარსია (ესპანეთი) 6:2, 6:1.

სენსაციების თავისი წილი კაცების ბადესაც არ დაჰკლებია — პირველი კვირის შემდეგ ტურნირის კლასიფიკაციის საუკეთესო ხუთეულიდან ერთიც არ შერჩენია.

შაბათს, მესამე წრეში, მსოფლიოს პირველი ჩოგნობის ოცნება კიდევ ერთხელ დაუსამარდა ოზ პატრიკ რაფტერს (3). აშშ-ის ორგზის ჩემპიონს როლან გაროსის მეოთხედფინალისტობაც ეყოფოდა ევგენი კაფელნიკოვის გადასასწრებად, მაგრამ ბრაზილიელ ფერნანდო მელიგენის ვერაფერი მოუხერხა — 4:6, 3:6, 6:3, 3:6, რაც მეტოქის კარგ თამაშთან ერთად გადაღლილობას და გადატვირთულ კალენდარს გადააბრალა.

კვირას კი უკვე ტურნირის შარშანდელი ჩემპიონის, კარლოს მოიას (4) ჯერიც დადგა. ესპანელმა ანდრე აგასის (13) პირველი სეტი მოუგო და მეორეშიც 4:1 დაწინაურდა, თანაც ორი ბრეიკით, როდესაც თამაშის სადავეები ხელიდან გაუშვა.

„კარლოსი თითქმის ერთი საათის მანძილზე სასტიკად მჩაგრავდა, როდესაც თავს შევუძახე, ეს რა ოხრობაა, თუ აგებ, გარისკვის რაღას გეშინია, დასაკარგი აღარაფერი გაქვს-მეთქი" — აღნიშნა მოგვიანებით ხოტორა ამერიკელმა.

იმ წუთიდან მართლაც ყველაფერი შეიცვალა: მოიას ერთი შეხედვით აუღებელი მოწოდებები ელვის სისწრაფით უკან უბრუნდებოდა, აგასი დაუზარელად დარბოდა უკანა ხაზზე, ხშირად ბადესთანაც რისკავდა გასვლას და 2 საათსა და 30 წუთში გამარჯვების აღსანიშნავად სწორედ ამერიკელმა ასწია ხელები, მერე კი კინგ კონგის მსგავსად მჯიღი მკერდზეც დაიკრა სამჯერ, აქ რკინის გული დევსო — 4:6, 7:5, 7:5, 6:1.

თუმცა მთელი ეს ისტორია მოიას თვალთახედვიდან სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა: „სანამ წესიერად ვთამაშობდი, ვიგებდი კიდეც, მაგრამ ამის სიიოლემ მომატყუა. ყურადღება გამიფანტა, სულელური შეცდომები დავუშვი და როცა დამჭირდა, უკვე ველარ გავისარჯე ხეირიანად. წესით 6:4, 6:2, 6:3 უნდა მომეგო, მაგრამ ანდრე სახიფათო ჩოგბურთელია. მისთვის შანსის მიცემა რა შეიძლება, მე კი უამრავი თავად გადავულოცე".

**მესამე წრე:** ალექს კორეტხა (6, ესპანეთი) — გასტონ გაუდიო (არგენტინა) 6:4, 6:3, 6:3; გუსტავო კუერტენი (8, ბრაზილია) — სხენგ შალკენი (ჰოლანდია) 6:2, 6:4, 6:3; ფელიქს მანტია (14, ესპანეთი) — ტომ ჰაასი (გერმანია) 7:6 (7:3), 6:1, 6:4.

**მერვედფინალი:** მარსელო რიოსი (9, ჩილე) — ალბერტო ბერასატეგი (ესპანეთი) 3:6, 3:6, 6:3, 6:4, 6:3; მარსელო ფილიპინი (ურუგვაი) — გრეგ რუზეცკი (12, ინგლისი) 7:6 (10:8); 6:3, 6:4; დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) — მარატ საფინი (რუსეთი) 6:4, 3:6, 7:6 (7:3), 6:3.

**ავთანდილ სვანიძე**


ანდრე აგასი
REUTERS პარიზიდან

## ინტერვიუ მატჩის შემდეგ

# ახალი სახე

წლევანდელმა როლან გაროსმა ჩოგბურთის სამყაროს კიდევ ერთი პოტენციური ვარსკვლავი აჩუქა. ერთი კვირის წინ ბარბარა შვარცზე უბრალო ქომაგებს კი არა, ამ საქმეში ჩახედულ ხალხსაც არანაირი წარმოდგენა არ ჰქონდა (ვაღიარებ). ვინუს უილიამსის დამმარცხებელი ავსტრიელი თუნდაც დაგვიანებით, მაგრამ სავსებით იმსახურებს იმას, რომ ერთი-ორ სიტყვაზე მეტი დავუთმოთ


ბარბარა შვარცი
REUTERS პარიზიდან

**— თქვენ არაჩვეულებივად თამაშობთ ფორჰენდითაც და ბექჰენდითაც, მოწოდებაც ძლიერი გაქვთ. როგორ მოხდა ისე, რომ აქამდე დიდი წარმატებისთვის არ მიგიღწევიათ?**

— აქამდე ჩოგბურთისთვის ნაკლებად მეცალა — სკოლაში დავდიოდი, რომელიც შარშან დავამთავრე. თანაც შარშანაც და მანამდეც უამრავი ტრავმა მქონდა. წლეულს პირველად მომეცა რამდენიმე თვით ზედიზედ ვარჯიშისა და თამაშის შესაძლებლობა. აქ კი საკვალიფიკაციო ტურნირზეც რომ მოვიგე მძიმე მატჩები, დიდი თავდაჯერება ვიგრძენი. უბრალოდ, ბედნიერი ვარ, რომ აქ ვთამაშობ.

**— მატჩის წინ გჯეროდათ, რომ მოგება შეგეძლოთ?**

— რა თქმა უნდა. თუ კორტზე ისეთი განწყობით გახვალ, რომ აუცილებლად დამარცხდები, მაშინ თამაშს რა აზრი აქვს. პირველი სეტის წაგების შემდეგ გამოსავალს თითქმის ვერც ვხედავდი, მაგრამ ბოლომდე ბრძოლას ზოგჯერ კარგი შედეგიც მოაქვს.

**— რაზე ფიქრობდით, როდესაც გადამწყვეტ სეტში დაწინაურდით და გამარჯვებასთან ახლოს აღმოჩნდით?**

— მოგებაზე არც კი ვფიქრობდი. მხოლოდ იმას ვცდილობდი, ყოველი მომდევნო ქულა ხეირიანად მეთამაშა, მსოფლიოს მეხუთე ჩოგანთან ნებისმიერ მომენტში შეიძლება დამარცხდე. მაყურებლების მხარდაჭერა ძალიან დამეხმარა, იქ ყოფნა და მათი შეძახილების, ტაშის მოსმენა ერთი სიამოვნება იყო.

**— მომდევნო შეხვედრა მარტინა ჰინგისთან გაქვთ. რას ფიქრობთ ამაზე?**

— ძალიან მიხარია, რომ ერთი დღით დავისვენებ, რადგან ამ წუთში გასავათებული ვარ. ხვალ მასთან თამაშის გეგმას შევიმუშავებ და ვნახოთ, რა მოხდება მეოთხედფინალში. მე ისევ ბოლომდე დავიხარჯები და იმედია, მოგების შანსი მომეცემა.

**— ბავშვობიდან მხოლოდ ჩოგბურთზე არ ფიქრობდით, ამას სერიოზულად მხოლოდ ბოლო ხანებში მიუდექით. ამის გამო თავს სხვა მოთამაშეებისგან განსხვავებულად ხომ არ თვლით? როგორი ურთიერთობა გაქვთ კოლეგებთან?**

— სკოლის დამთავრება აუცილებლად მიმაჩნდა. ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ სპორტის გარდა სხვა რამეც მქონოდა, ახლა კი ჩოგბურთზე კონცენტრირებაც შემიძლია. ტურზე ბევრი მეგობარი მყავს, კარგი ურთიერთობა მაქვს სხვა ავსტრიელებთან. წაგების გამო სხვებთან პრობლემა სულაც არ მიჩნდება, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი მჯობდნენ. ტურნირებზე თამაშიც ძალიან მსიამოვნებს.

**— შეგიძლიათ, ცოტა რამ გვითხრათ იმ ნიშნებზე, რომლებიც მაისურაზე გიბნევიათ? ეს სპონსორების სახელებია?**

— დიახ, ისინი მეხმარებიან. სპონსორის შოვნა ძალიან ძნელია, როდესაც კლასიფიკაციით 125-ე ხარ. იმედია, ახლა ცოტა უკეთ წავა საქმეები (იცინის). ეს „ადიდასია", რომელიც, ალბათ, იცით. „ვიტაკანი" სასმელებით მამარაგებს, მესამე სეტამდე რომ მივატანო (იცინის). ეს (თან უჩვენებს) სიმებისაა, ეს — მარკეტინგული ფირმის.

**— ლურჯ-ყვითელი?**

— ეს... ისინიც ფულს მაძლევენ.

**— აბა, ძნელია სპონსორების შოვნაო?**

— ეტყობა, არც ისე (იცინის).

**— ვინ იყო თქვენი კერპი, როდესაც ჩოგბურთის თამაშს იწყებდით?**

— ჩემი კერპი მარტინა ნავრატილოვა იყო, რადგან ისიც ჩემსავით ცაციაა. მართალია, ცოტა სხვანაირი სტილი ჰქონდა, მაგრამ მაინც.

**— ჩოგბურთის გარდა რომელი სპორტი გიტაცებთ?**

— თავად დავრბივარ, ვცურავ. ოღონდ, რა თქმა უნდა, არაპროფესიონალურად.

**— თავისუფალ დროს რას აკეთებთ?**

— როცა შინ ვარ, სადაც უკვე ერთი თვეა, არ ვყოფილვარ, მიყვარს წიგნების კითხვა, რაიმე მსუბუქი მუსიკის მოსმენა, კინოში სიარული. სავსებით ნორმალური ადამიანი ვარ, მაგრამ, ალბათ, ცოტათი შერეკილიც.

**— რა წიგნს კითხულობთ ამჟამად?**

— ახლა არაფერს, შინიდან რაც წამოვიღე, ყველა დავამთავრე. არ მეგონა, თუ ტურნირს აქამდე შევრჩებოდი.

**— საკუთარ თავს შერეკილს რატომ უწოდებთ?**

— იმას ვგულისხმობ, რომ ყველა, ვინც პროფესიონალურად თამაშობს, ყოველდღე ვარჯიშობს და ამდენ ტურნირზეც დაეხეტება, ცოტა შერეკილი უნდა იყოს.

**— არ ვიცი, თავად შეამჩნიეთ თუ არა, მაგრამ თქვენი მწვრთნელი მუდმივად იღიმოდა.**

— ჰო, ის ძალიან ბედნიერი ადამიანია. ეს ჩემთვის მნიშვნელოვანია — როდესაც გავხედავ და მოღიმარს დავინახავ, ეს მეც მშველის.

**— ვინუსმა ბოლო გამარჯვების შემდეგ (ნატაშა ზვერევასთან) განაცხადა, რომ ტაი-ბრეიკებს საერთოდ არ აგებს და არც კი ახსოვს, ეს ბოლოს როდის მოხდა. რას გრძნობდით მეორე სეტის გადამწყვეტ გეიმში?**

— ამაზე წარმოდგენაც არ მქონდა. ალბათ, ჯობდა კიდეც, რომ არ ვიცოდი (იცინის).

**— არის კიდევ კითხვები?**

— მეტი აღარ გინდათ, რა!

# რწყილი ლომის ბეჭზე



REUTERS ბარსელონიდან

გამარჯვებულ ჰაკინენს მიხაელ შუმახერმა შამპანურის შხეფით მიაგო პატივი

**როცა** ყველაფერი დასრულდა, როცა ფერადმა ბოლიდებმა ერთიმეორის მიყოლებით გადაკვეთეს ფინიშის ხაზი, როცა გუნდებმაც და მრბოლებმაც დაინაწილეს თავ-თავიანთი წილი ჯილდოები და ქულები, როცა კატალონიის მხურვალე ჰაერი ფრანგული შამპანურის სურნელით გაიჟღინთა, როცა ყველაფერი ეს უკვე მოხდა, მსოფლიოს ჩემპიონატის ცხრილი თავისი შუმახერებითა და ჰაკინენებით, მაკლარენებითა და უილიამსებით, ქულებითა და ადგილებით, ზუსტად ისე გამოიყურებოდა, ზუსტად ისეთი იყო, როგორიც უნდა ყოფილიყო, როგორსაც სპეციალისტები ვარაუდობდნენ.

ეს მართლაც ასეა, და თუ ასეა, მაშინ სისხლის ასაჩქარებელი თუ არა, უბრალოდ საინტერესო მაინც ესპანეთის დიდი პრიზის გათამაშებისას არაფერი მომხდარა. მაშინ არც სათქმელია არაფერი, არც — დასაწერი.

ვატერლოოს წინ მთელმა ევროპამ იცოდა, დარწმუნებული იყო — ნაპოლეონ ბონაპარტი დამარცხდებოდა. ბონაპარტი დამარცხდა კიდეც მაგრამ... აი, ამ მაგრამს იქით არის ერთი, თითქოსდა უმნიშვნელო დეტალი — რწყილი ლომის ბეჭზე, რომელიც დროდადრო წონასწორობას აკარგვინებს ცხოველთა მეფეს — და ამ დეტალს გენერალი გრუშე ჰქვია, რომელსაც ტვინის ხვეულები ოდნავ მაინც რომ შეეწუხებინა, ისტორია აბსოლუტურად განსხვავებული გზით შეიძლებოდა წასულიყო. ცხადია, ისინი, ვისაც მიაჩნია, რომ ხალხის მასები წყვეტენ ისტორიის ბედს, არ დამეთანხმებიან, მაგრამ ამით ჩემს ვარაუდებსა თუ ეჭვებს არაფერი აკლდება, შესაძლოა პირიქითაც... თუმცა დავუბრუნდეთ ბარსელონის ავტოდრომს.

## 24 საათი დიდ პრიზამდე

შარშან აქ ჯერ კვალიფიკაციაზე, მერე კი რბოლისას მაკლარენებმა ქარბორბალასავით გადაუარეს ათივე გუნდს. მხოლოდ ერთმა ფერარიმ და ერთმა ბენეტონმა მოახერხეს, წრე არ წაეგოთ გამარჯვებულთან. კატალუნიის რკალი (ასე ჰქვია ამ ათიოდე წლის წინათ ბარსელონასთან აგებულ ყველაზე თანამედროვე, ყველაზე კეთილმოწყობილ ავტოდრომს) თითქოს საგანგებოდ არის შექმნილი ახალი თაობის მაკლარენებისთვის. ორი საკმაოდ გრძელი სწორი საშუალებას აძლევს „მაკის" ყველაზე მსუბუქ და ყველაზე მძლავრ ძრავას უპირატესობა დაუმტკიცოს ნებისმიერ მეტოქეს, სწრაფი მოსახვევების სიუხვე კი მისი მართლაცდა საჩემპიონო აეროდინამიკური თვისებების გამოვლენის ყველაზე ნაღდი გარანტიაა.

კვალიფიკაციის პირველი რაუნდის შემდეგ ჰაერში სენსაციის სუნი დატრიალდა. ავტორი — ჟან ალეზი. ფრანგი მრბოლის სახელი კარგა ხანს იწონებდა თავს პირველ სტრიქონზე. ესტაფეტა ალეზისგან ირვინმა მიიღო, მერე შუმახერმა უჩვენა საუკეთესო დრო, მაგრამ ყველაფერი მაინც პროზაულად დასრულდა — ბოლო ცდაზე თითო მაკლარენმა თითო ფერარის გადაასწრო და მეორე დღისთვის ისე გამწკრივდნენ, როგორც სქემაზეა გამოსახული. შაბათს ავტოდრომზე მნიშვნელოვანი მეტი არაფერი მომხდარა, თუ საგანგებოდ აღსანიშნავ ამბად არ ჩავთვლით იმას, რომ ესპანეთის მეფემ ხუან კარლოსმა მაკლარენის ორადგილიანი ბოლიდით პილოტ მარტინ ბრანდლთან ერთად ორი წრე გაიარა საპრიზო ტრასაზე და სრულად მიიღო სიამოვნებაც და თავისი წილი გადატვირთვებიც. ამ ბოლო სიტყვას რომ წასაკეკლუცებლად არ ხმარობენ და არც პილოტების მიერ ერთ რბოლაში 5-7 კგ წონის დაკლებაა ზღაპარი, თუნდაც ერთი ჩვეულებრივი ტექნიკური მონაცემიდანაც მშვენივრად ჩანს. სტარტ-ფინიშის სწორიდან მეორე მოსახვევის ბოლოში, უფრო სწორად იქიდან გასვლისას, ეგრეთ წოდებულ რენოს ვირაჟზე ბოლიდის სიჩქარე 230 კმ სთ-ს აღწევს. გადატვირთვა კი — 4 g-ს. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ სპორტსმენი ჩვეულებრივ პირობებში 80 კგ-ს იწონის, ამ მოსახვევში მისი წონა დაახლოებით 300 კილოგრამია. სხვაგვარად — თუ ამგვარ სიტუაციაში მოხვდით ბოლიდში, იძულებული გახდებით გაუმკლავდეთ 300 კილოგრამიან დაწოლას ვირაჟის შიდა მხრიდან. ავტომობილში საკმაოდ მჭიდროდ ჩაჭედილი ტანი ასე თუ ისე გაუძლებს ამ დატვირთვას, აი ყელისა და კისრის ძარღვების და კუნთების კი რა მოგახსენოთ...

## 14 საათი მადრიდის დროით

ბარსელონაშიც ზუსტად იმავე დროს ერთი-მეორის მიყოლებით აინთო ჯერ წითელი, მერე მწვანე შუქნიშნები... პირველი მოსახვევი საკმაოდ ახლოა სტარტთან და 90 გრადუსით უხვევს მარჯვნივ. პოულის მომგების უპირატესობა რამდენიმე მეტრთან ერთად ისიცაა, რომ მარცხენა მხარეს დგას, რათა მოსახვევში რაც შეიძლება დიდი კუთხით შევიდეს. ჰაკინენს, როგორც ჩანს, კარგად ახსოვდა მონაკოს გაკვეთილი, რადგან იმის ნაცვლად, სტარტის შემდეგ ტრასის მარცხენა მხარეს დარჩენილიყო და მოსახერხებელი ტრაექტორიით შესულიყო მოსახვევში, ბოლიდი მკვეთრად დაძრა მარჯვნივ, რითაც ორივე ფერარი შეაყოვნა. სტარტზე ფერარებისა და მაკლარენების ტაქტიკური ჯახით ისარგებლა ვილნევმა და ყველასთვის მოულოდნელად ორ მაკლარენსა და ორ ფერარს შუა გაეჩხირა.

ვილნევი რომ „მაკების" დამწევი არ იყო, თავადაც კარგად უწყოდა, მაგრამ თავისდაუნებურადვე ჰაკინენისა და კულჰარდის პარტნიორად და შემწედ იქცა. მაკლარენები თანდათან სცილდებოდნენ ვილნევს, ორი ფერარი კი, ავარიის შიშისა თუ სხვა რამ მიზეზით, ვილნევისავე ტემპს დაყაბულდნენ და ყოველი წრის შემდეგ შორდებოდნენ მიზანს.

მე-7 წრე: ჰაკინენი, კულჰარდი, ვილნევი, შუმახერი, ირვინი, ტრული... ჰაკინენსა და შუმახერს შორის უკვე 12 წამია.

მე-13 წრე: იგივე თანმიმდევრობა, ჰაკინენი — შუმახერი +17 წამი.

მე-15 წრე: ჰაკინენი — შუმახერი +24 წამი.

როგორც ჩანს, ასე გაგრძელდება საბურავების პირველ გამოცვლამდე.

23-ე: ჰაკინენი ტოვებს წრეს. ზედიზედ შედიან საბურავების გამოსაცვლელად და საწვავის დასამატებლად შუმახერი, ვილნევი, ირვინი...

24-ე წრის შემდეგ სიტუაცია მკვეთრად იცვლება.

31-ე წრე: ჰაკინენი, კულჰარდი, მიხაელ შუმახერი, ირვინი, ვილნევი, ტრული... სხვაობა ლიდერსა და შუმახერს შორის 29 წამია. სულ რაღაც ექვსი წრის შემდეგ შუმახერი ჰაკინენთან 19 წამამდე ამცირებს განსხვავებას, წინ, ტრასაზე კი უკვე გამოჩნდა კულჰარდის ავტომობილის ბოლო.

მე-40 წრე: ჰაკინენი — კულჰარდი +12 წამი, კულჰარდი. — შუმახერი +3 წამი. მაკლარენის ბანაკში დაბნეულობაა. ახლოვდება საბურავების გამოცვლის დრო, კიდევ ერთი-ორი წრეც და...

43-ე წრე: ჰაკინენმა და შუმახერმა თითქმის ერთდროულად გაუხვიეს ბოქსებისკენ. კულჰარდი ისევ ტრასაზეა. მაგრამ ერთი წრის გავლაც ვერ მოასწრო, რომ გუნდის შტაბიდან მკაცრი ბრძანება მიიღო, შეჰყოლოდა ჰაკინენს და შუმახერს. ვფიქრობ, ამან გადაარჩინა კულჰარდიცა და მთლიანად მაკლარენის გუნდიც. საბურავების მორიგი გამოცვლის შემდეგ შუმახერი ისევ კულჰარდის უშუალო სიახლოვეს, მაგრამ მაინც უკან აღმოჩნდა — ჰაკინენს საიმედო ზურგი რბოლის ბოლომდე გარანტირებული ჰქონდა.

## ეჰ, ჟაკ, ჟაკ...

შეეძლო კი შუმახერს ამ რბოლის მოგება? ყველა მონაცემით, ყველა გაანგარიშებით კვირას ბარსელონაში გამარჯვება მაკლარენს უნდა დარჩენოდა. მაგრამ. ყველა ამ ციფრისა და ფაქტის საპირისპიროდ შანსი მაინც იყო და საკმაოდ კარგიც. ეს შანსი რბოლის პირველ მესამედზე დაკარგული 29 წამია — რწყილი ლომის ბეჭზე...

ეჰ, ჟაკ, კანადელო ჟაკ ვილნევ, ნეტა ვიცოდე, რას ეროდი გენერლების ჩხუბში!

ეჰ, ჟაკ, ოცდამეხუთე წრეზე „ბენზოკალონკასთან" დარჩენილო კანადელო ფრანგო, რა პოდიუმი, რის პოდიუმი. ნეტავი ვიცოდე, ნეტავი გამაგებინა, რა გინდოდა ლომის ბეჭზე!

**ირაკლი ბერიაშვილი**

## რბოლის შედეგები

**ესპანეთის დიდი პრიზი**

30 მაისი. ბარსელონა

დისტანცია — 65 წრე — 307.196 კმ

| | | |
|---|---|---|
| 1. ჰაკინენი (მაკლარენი) | 1:34.13,665 (195,608 კმ/სთ) | 10 ქულა |
| 2. კულჰარდი (მაკლარენი) | ჩამორჩა 6,238 წმ | 6 ქულა |
| 3. მ. შუმახერი (ფერარი) | 10,845 | 4 ქულა |
| 4. ირვინი (ფერარი) | 30,182 | 3 ქულა |
| 5. რ. შუმახერი (უილიამსი) | 1.27,208 | 2 ქულა |
| 6. ტრული (პროსტი) | 1 წრით | 1 ქულა |
| 7. ჰილი (ჯორდანი) | 1 წრით | |
| 8. სალო (BAR) | 1 წრით | |
| 9. ფიზიკელა (ბენეტონი) | 1 წრით | |
| 10. ვურცი (ბენეტონი) | 1 წრით | |
| 11. დე ლა როსა (ეროუსი) | 2 წრით | |
| 12. ტაკაჯი (ეროუსი) | 3 წრით | |

**საუკეთესო წრე**

მ. შუმახერი (1.24,982)

**ლიდერები**

1-23 წრე ჰაკინენი
24-26 კულჰარდი
27-44 ჰაკინენი
45 კულჰარდი
46-65 ჰაკინენი

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| ბადოერი (მინარდი) გაიარა | 50 წრე |
| ვილნევი (BAR) | 40 |
| დინიცი (ზაუბერი) | 40 |
| ჰერბერტი (სტიუარტი) | 40 |
| ფრენცენი (ჯორდანი) | 35 |
| ალეზი (ზაუბერი) | 27 |
| ძანარდი (უილიამსი) | 24 |
| პანი (პროსტი) | 24 |
| ჟენე (მინარდი) | 0 |
| ბარიჩელო (სტიუარტი) | 0 |

## განლაგება სტარტზე




**FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP**

| | ავსტრალია 7 მარტი | ბრაზილია 11 აპრილი | სან მარინო 2 მაისი | მონაკო 16 მაისი | ესპანეთი 30 მაისი | კანადა 13 ივნისი | საფრანგეთი 27 ივნისი | დიდი ბრიტანეთი 11 ივლისი | ავსტრია 25 ივლისი | გერმანია 1 აგვისტო | უნგრეთი 15 აგვისტო | ბელგია 29 აგვისტო | იტალია 12 სექტემბერი | ევროპის დიდი პრიზი 26 სექტემბერი | მალაიზია 17 ოქტომბერი | იაპონია 31 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 **მ.შუმახერი** (გერმანია) ფერარი | | 6 | 10 | 10 | 4 | | | | | | | | | | | | 30 |
| 2 **ჰაკინენი** (ფინეთი) მაკლარენ მერსედესი | | 10 | | 4 | 10 | | | | | | | | | | | | 24 |
| 3 **ირვინი** (ბრიტანეთი) ფერარი | 10 | 2 | | 6 | 3 | | | | | | | | | | | | 21 |
| 4 **ფრენცენი** (გერმანია) ჯორდან მუგენ ჰონდა | 6 | 4 | | 3 | | | | | | | | | | | | | 13 |
| 5 **კულჰარდი** (შოტლანდია) მაკლარენ მერსედესი | | | 6 | | 6 | | | | | | | | | | | | 12 |
| 6 **რ.შუმახერი** (გერმანია) უილიამს სუპერტეკი | 4 | 3 | | | 2 | | | | | | | | | | | | 9 |
| 7 **ფიზიკელა** (იტალია) ბენეტონ სუპერტეკი | 3 | | 2 | 2 | | | | | | | | | | | | | 7 |
| 8 **ბარიჩელო** (ბრაზილია) სტიუარტ ფორდი | 2 | | 4 | | | | | | | | | | | | | | 6 |
| 9 **ჰილი** (ინგლისი) ჯორდან მუგენ ჰონდა | | | 3 | | | | | | | | | | | | | | 3 |
| 10 **ტრული** (იტალია) პროსტ პეჟო | | | | | 1 | | | | | | | | | | | | 1 |
| 1 ფერარი | 10 | 8 | 10 | 16 | 7 | | | | | | | | | | | | 51 |
| 2 მაკლარენ მერსედესი | | 10 | 6 | 4 | 16 | | | | | | | | | | | | 36 |
| 3 ჯორდან-მუგენ-ჰონდა | 6 | 4 | 3 | 3 | | | | | | | | | | | | | 16 |
| 4 უილიამს სუპერტეკი | 4 | 3 | | | 2 | | | | | | | | | | | | 9 |
| 5 ბენეტონი | 3 | | 2 | 3 | | | | | | | | | | | | | 8 |



მერიონ ჯოუნსი



მორის გრინი

# ქარის მადლი შეეწიათ

ორეგონის შტატის ქალაქ იუჯინში კვირადღეს მძაფრი ქარი ქროდა, აი, დაახლოებით ისეთი, საბურთალოზე რომ იცის ხოლმე. ჰოდა 100 მეტრზე მსოფლიოს ჩემპიონმა მორის გრინმა იქაურ სარბიელზე რომ ბრწყინვალე 9,84 წამი აჩვენა და კანადელი დონოვან ბეილის მიერ 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადაზე მომკილ 9,83 წამიან რეკორდს ლამის უყელა, სწორედ მაგ ჭაჭებში მქროლი ქარის ბრალი ყოფილა. უქარობა არცთუ დღის დანარჩენ გარბენებს დასტყობია. ამასთან, თავად გრინმა 200 მეტრზეც ირბინა და იქაც რიგიან 20,06 წამს გამორჩა. „ახლა ხომ ვიცი, ყველაფერს ქარს დააბრალებენ. არადა, ისედაც კარგ ფორმაში ვარ ამას უახლოეს მომავალშივე განახებთ“, - შეჯიბრის მერე სპრინტერი თურმე აი ეგრე მსუბუქად ლაპარაკობდა.

ქარისმადლშეწეულთაგან კი პირველ რიგში ამერიკელივე მერიონ ჯოუნსის მოხსენიება ივარგებდა. ნორჩმა მერიმ 200 მეტრი სეზონის საუკეთესო 21,81 წამში დაფარა და უახლოეს მდევარს ბარე 8 ლაჯით აჯობა, ოღონდაც ისე, რომ საკუთარ პირად რეკორდს, 21,62 წამს ამჯერად ვერაფერი მოუხერხა.

თავ-თავიანთ ბილიკებზე სეზონის საუკეთესო შედეგები გაახერხეს კენიელმა ნოა ნგენიმამ და ამერიკელმა ამომავალმა ვარსკვლავმა ლერი უეიდმა. პირველმა ერთი მილი 3 წუთსა და 52,09 წამში გადაიჯლიგინა, მეორემ კი 110 მეტრი თარჯრბენი 13,12 წამში მოათავა.

ბოლო-ბოლო ხელი გამოიღო ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მაიკლ ჯონსონმაც, რომელმაც 400 მეტრის გარბენას 44,51 წამი მოანდომა და მაგარი ბედნიერი ვარო, მერე ასე განაცხადა.

# ჰაილეს ნაცარში ჩაუვარდა



REUTERS ჰენგელოდან

ჰაილე გაბრესელასიე

კენიელმა შორმრბოლმა დანიელ კომენმა ამას წინათ ეთიოპელი კანჯრის, ჰაილე გებრესელასიესათვის 5000 მეტრზე მსოფლიოს რეკორდსმენობის ჩამორთმევა რომ დაიქადნა, ალბათ ახსოვთ. ჰაილემაც ქადილს ქადილითვე უპასუხა და ამ კვირადღეს ჰოლანდიურ ჰენგელოში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე კომენის მიერ 2 მილზე ნაჩვენები უსწრაფესი შედეგის (7 წუთისა და 58,61 წამის) იავარქმნით დაიმუქრა. როგორც საქმემ გამოაჩინა, აჯობებდა, არ დამუქრებოდა. ჰაილემ ვერც დანაქადნი აასრულა (მხოლოდ 8 წუთსა და 01,86 წამს დასჯერდა) და სახელი იმითაც გაიტეხა, რომ გასაკეთებლის გაკეთება თავად კომენის არყოფნისას სცადა. თუმცა ნარბოლევს ხუჭუჭი წარბები მაინც არ შეიხარა და, აბა როგორ გინდათ, ყოველ რბოლაზე რეკორდი თუ მოვხსენი, ხალხი რეკორდებზე ფიქრს საერთოდ მოეშვებაო, აი ეგრე „ულალად“ იბაასა.

ჰენგელოში კი, ღვთის მადლით, იმ დღეს საინტერესო სხვა რამეც მოხდა — ერთწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ ზეპურ სარბიელს დაუბრუნდა ბირთვის კვრაში მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი, მუხლმონაკეთები გერმანელი ასტრიდ კუმბერნუსი. მართალია, მან ამჯერად მხოლოდ მესამე შედეგის ჩვენება შეძლო, მაგრამ მისი 18,45 მეტრი პირველ-მეორე ადგილებზე გასული თანამემამულე ნადინე კლაინერტისა და პოლონელი კრისტინა ზაბავსკას 18,72-სა და 18,45-ს, თავადაც ხედავთ, ბევრით არ ჩამორჩება.

# სევილიური რეპეტიცია

სევილია, მოგეხსენებათ, ორიოდე თვის შემდეგ მძლეოსნობის მსოფლიოს ჭერგარე ჩემპიონატს უმასპინძლებს. გასულ შაბათს პლანეტის მეტნაკლებად მნიშვნელოვანმა მძლეოსნებმა იქაური ველ-მინდორი დაიგემოვნეს.

25 ათასი შინაური ქომაგის თვალწინ სეზონის უსწრაფესი შედეგი მოიდავლა 3 კმ-იან სტიპლჩეიზზე კენიელებს შეპაექრებულმა ესპანელმა ლუის მარტინმა. რბოლის გუთნისდედობა მან თავიდანვე იკისრა და კიპკურუი მისოისა და პოლ კოსგეის მხურვალე ქშენის არც მოგვიანებით შეშინებია — ბოლომდე კაცურად იჯომარდა და გარდა იმისა რომ 8 წუთიან-11,18 წამიანი შედეგით ახალი ეროვნული რეკორდი დაამყარა, პირველი ევროპელი შეიქნა, ამ ბოლო 6 წლის განმავლობაში ეგრე ჩქარა რომ ირბინა.

დღის მორიგი მიღწევა პორტუგალიელი ქალების მიერ ასევე 3000 მეტრიან ბილიკზე ნაჩვენები რიგიანი სირბილი იყო. მარინა ბასტუშმა გადასალახი 8 წუთსა და 38,13 წამში გადალახა და სეზონის საუკეთესო შედეგიც მიითვალა. მეორე ადგილი მის თანამემამულეს, 10 ათას მეტრზე ოლიმპიურ ჩემპიონ, ფერნანდა რიბეიროს ერგო.

# მხტუნავი ჟოაოს სიკვდილი

ბრაზილიელებს მათი ყველა დროის ერთი უდიდესი სპორტსმენი გარდაცვლიათ — თავის დროზე სამხტომში მსოფლიოს რეკორდსმენ ჟოაო კარლუშ დე ოლივეირას 45 წლის ასაკში ერთბაშად ჰეპატიტის ორი ნაირსახეობა და ფილტვების ანთება შეჰყრია და ერთ თვეში გაუთავებია...

სახელოვანი რეკორდი „მხტუნავ ჟოაოდ“ წოდებულმა მძლეოსანმა 1975 წლის მექსიკის პანამერიკულ თამაშებზე დაამყარა. მისმა ბრწყინვალე 17,89-მეტრიანმა მიღწევამ დიდების მწვერვალზე ათი წელი გაძლო, ანუ მანამ, სანამ ლეგენდარული ამერიკელი უილი ბენკსი 1985 წელს ინდიანაპოლისში 17,97 მეტრზე არ გადახტა.

დე ოლივეირას მონაგარი სხვა რამე-რუმეთა შორის მონრეალისა (1976) და მოსკოვის (1980) ოლიმპიადების ბრინჯაოს მედლებსაც მოითვლის. მისი კარიერა 1981 წელს, ერთი საშინელი ავტოკატასტროფის შემდეგ შეწყდა, როცა მუხლს ქვემოთ მარჯვენაფეხმოჭრილ ჟოაოს არენიდან ტრიბუნაზე გადანაცვლება მოუხდა.

1986 და 1994 წლებში დიადი მხტომელი ქვეყნის პარლამენტში აირჩიეს. მესამე ცდა უიღბლო გამოდგა. იღბალმა მის რიგიან ბიზნესსაც უყელა. ბოლო დროს მისი ერთადერთი შემოსავალი თვიური პენსია, 700 დოლარი ყოფილა. ამას წინათ, სიდნეის პარაოლიმპიურ თამაშებზე სიგრძეში ხტომაში გამოსვლა გადაუწყვეტია და ვარჯიშიც დაუწყია. ნათელ მომავალზე ოცნება უეცრად მოძალებულმა ავადმყოფობამ მოუკლა.

**არტემ ჩაჩანიძე**



# ბუფალომ ტორონტოს პალტო უყიდა

STANLEY CUP PLAYOFFS

აღმოსავლეთი

სერიის ანგარიში

ტორონტო — ბუფალო 1:3

29 მაისი

ბუფალო — ტორონტო 5:2

1:0 4:0 0:2

1:0 უორდი 16'15 (5); 2:0 ჰოლცინგერი 22'51 (3); 3:0 რეი 25'04 (1); 4:0 სანდერსონი 25'25 (2); 5:0 სანდერსონი 34'10 (3); 5:1 სუნდინი 46'59 (7); 5:2 სუნდინი 58'03 (8)

სპეციალისტები ამაოდ როდი შიშობდნენ, „დასავლური“ ანუ კომბინაციური და ტექნიკური, მაგრამ ნაკლებად ხისტი თამაშის მიმდევარ ტორონტოს აგრესიულ აღმოსავლელებთან ბრძოლა გაუჭირდებაო. მართალია, „ნეკერჩხლის ფოთლები“ ფილადელფიასა და პიტსბურგს გასცდნენ (ამ გუნდებს წამყვანი მოთამაშეები არ ჰყავდათ), მაგრამ როგორც კი ბუფალოს დომინიკ ჰაშეკი და მიროსლავ შატანი დაუბრუნდა, მაშინვე აშკარა გახდა, რომ ტორონტოს „ხმლების“ კლანჭებიდან თავის დახსნა გაუჭირდებოდა. სერიის მესამე მატჩშიც ბუფალო უკეთ გამოიყურებოდა, ამჯერად კი კანადური კლუბი ნამდვილად შესაბრალისი გახლდათ. ნჰლ-ში არსებობს ასეთი გამოთქმა: „პალტოს ჩაცმა“, რაც მეტოქის ხელ-ფეხის შებოჭვას, თავისუფალი სივრცის მაქსიმალურად შეზღუდვას ნიშნავს.

სტუმრები ასე თუ ისე იცნობდნენ მეტოქის ამ ძირითად იარაღს, მაგრამ თუ ორი პერიოდის განმავლობაში წამითაც ვერ ამოისუნთქებდნენ, ამას ნამდვილად არ ელოდნენ. „ხმლებმა“ ისინი პირველივე წუთიდან საკუთარ ზონაში ამოკეტეს და ტორონტოელთა დაცვა პირდაპირ გააწამეს. სტუმრებმა პირველად მხოლოდ მეექვსე წუთზე დაარტყეს (მასპინძლებმა ამ დროისთვის რვაჯერ!). მართალია, მასპინძლებმა თავიდან ვერ გაიტანეს, რაც უმთავრესად კერტის ჯოზეფის დამსახურებაა, მაგრამ საბოლოოდ მცველთა უხეში შეცდომის შემდეგ დიქსონ უორდმა ანგარიში გახსნა. მეორე მესამედში კი სტუმრები მთლად დაიბნენ. სახიფათო მომენტები გახშირდა და რობ რეის ულამაზესი შაიბის შემდეგ (კართან ზურგით მდგომმა ვეტერანმა შაიბა ჰაერში დაიმორჩილა და უმალვე კარში გაგზავნა) მატჩის ბედიც გადაწყდა. ბუფალო მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როცა ანგარიშში სხვაობა სამარცხვინო გახდა.

მატს სუნდინმა მხოლოდ მესამე პერიოდში გაიტანა გოლები (ერთი ბულიტით).

დასავლეთი

სერიის ანგარიში

დალასი — კოლორადო 2:3

28 მაისი

კოლორადო — დალასი 3:2

2:0 0:1 0:1 1:0

1:0 საკიკი 4'06 (5); 2:0 პოდეინი 4'54 (1); 2:1 ლანგებრუნერი 29'48 (6); 2:2 ჰალი 56'07 (4); 3:2 დრური 79'29 (4)

30 მაისი

დალასი — კოლორადო 5:7

2:2 1:2 2:3

0:1 კამენსკი 3'28 (3); 1:1 კინი 12'00 (3); 2:1 საიდორი 15'05 (2); 2:2 ოზოლინში 19'27 (4); 3:2 ნუინდაიკი 21'51 (9); 3:3 დრური 23'25 (5); 3:4 დედმარში 30'26 (8); 3:5 კამენსკი 47'26 (4); 4:5 ჰალი 49'32 (5); 5:5 ვერბიკი 50'57 (2); 5:6 დრური 53'16 (6); 5:7 ფორსბერგი 59'26 (8)

დალასს რომ გადამწყვეტი გოლების ოსტატი ჯო ნუინდაიკი ჰყავს, ყველამ კარგად იცის. უქმეებზე ლიგას კიდევ ერთი, ამ მხრივ აქამდე ნაკლებად ცნობილი გმირი შეემატა.

კოლორადოელმა კრის დრურიმ ზედიზედ ორ მატჩში გაიტანა გადამწყვეტი შაიბები და დაამტკიცა, რომ სეზონის საუკეთესო ახალბედას ტიტულის მაძიებელთა შორის უპირველეს კანდიდატად შემთხვევით არ დაუსახელებიათ. მის აქტივში უკვე გამარჯვების ოთხი გოლია, რაც ახალბედათა რეკორდის გამეორება გახლავთ (1986 წელს კლოდ ლემიემ დაამყარა).

მესამე მატჩში პირწმინდა მარცხმა კოლორადო უფსკრულის პირას დააყენა და შინ კიდევ ერთი წაგება (მანამდე 7 საშინაო შეხვედრიდან 5 წაგებული ჰქონდა) გუნდს კატასტროფულ მდგომარეობაში ჩააგდებდა. თუმცა ალექსეი გუსაროვისა და სტეფან იელის გამოჯანმრთელებამ „ეველანშის“ ქომაგებს იმედი ჩაუსახა.

კოლორადოელებმა ჩინებულად დაიწყეს თამაში და მე-6 წუთისთვის უკვე 2:0 იგებდნენ, რაშიც საკიკმაც შეიტანა წვლილი (იგი აქამდე სერიაში უქულოდ იყო). დალასი ასეთ დებიუტს არ შეუშინდა, კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უდიდესი ნებისყოფის გუნდია და თანდათან ხელთ იგდო ინიციატივა. საბოლოოდ ბრეტ ჰალმა თამაში ოვერტაიმში გადაიყვანა და კოლორადოელები აიძულა, მატჩის გადარჩენაზე ეზრუნათ. შესანიშნავი მომენტები ჰქონდათ „ეველანშის“ ლიდერებს — პეტერ ფორსბერგს და ჯო საკიკს, მაგრამ ამ ორი კაცის საქმე დრურიმ გააკეთა — მის ჩინებულ დატყმას ედ ბელფორმა ვერაფერი მოუხერხა.

თუმცა ეს ყველაფერი არ იყო. დრური კვირის მატჩის გმირიც გახდა. მატჩისა, რომელიც არაჩვეულებრივი შედეგიანობით და დაძაბულობით გამოირჩა. იღბალი ხან ერთ, ხანაც მეორე მხარეს ულიმოდა. ახალბედას პირველმა გოლმა კოლორადოს დაწინაურებას ჩაუყარა საფუძველი და ვალერი კამენსკისა (1+2) და პეტერ ფორსბერგის (1+2) მიერ წამოწყებულმა ორმა საგოლე კომბინაციამ სტუმრებს თითქოსდა გამარჯვება გაუნაღდა. დალასი კვლავ არ გატყდა, იბრძოლა, ანგარიში გაათანაბრა და ვინ იცის, რა მოხდებოდა, რომ არა დრური. ქებათა ქება კოლორადოს — წინა სერიაშიც, დეტროიტთან, მშრალი ანგარიშით წაგებამ მოიყვანა გონს და ბრძოლისუნარიანობა არც ახლა ღალატობს, მაგრამ დალასი რომ იოლად არაფერს დათმობს, ამ ორ მატჩში მომხდარი ამბებიდანაც ჩანს.

**სამველ ლარიბიანი**



REUTERS ბუფალოდან

ბუფალოელი სტიუ ბარნსი ლამის მეკარეზე გულმოდგინედ იცავდა კარს და აკი შაიბის ნაცვლად თავად გაეხვა ბადეში

## იტალია

კლუბ ოფი

საპასუხო მატჩი

**იუვენტუსი 1:1 უდინეზე**

1:0 ფ. ინძაგი (22პ), 1:1 პოჯი (69)

## ინგლისი

კლუბ ოფი

ფინალი

**ბოლტონი 0:2 უოტფორდი**

0:1 რაიტი (37), 0:2 სმარტი (89)

## გერმანია

II ბუნდესლიგა

XXXII ტური

**უნტერჰახინგი 4:1 ფიურტი**

1:0 ლუსტი (9); 2:0 რაკლი (29), 3:0 ზაიტცი (58), 4:0 მ. ციმერმანი (65), 4:1 ფელგენჰაუერი (78)

# წასვლაც ასეთი უნდა

ჰოლანდიელმა ავტომრბოლმა არი ლიენდიკმა ჯერ კიდევ ინდიანაპოლისის გუშინწინდელ რბოლამდე თქვა, მორჩა, ამის მერე მივდივარო... არ ვიცით, ემაგ „ჩემოდანური განწყობილების“ბრალი იყო თუ სხვა რამ გოთვერნობისა, მაგრამ არიმ ტრასის ერთ მოსახვევში საჭე ველარ დაიმორჩილა და საქმე ისე გაიხადა, აწი წასვლა ძალიანაც რომ აღარ უნდოდეს, მაინც უნდა წავიდეს...

REUTERS ინდიანაპოლისიდან




# კრიკეტისთვისაც მოიცალეს

*„მანჩესტერ იუნაიტედის“ ტრინიდადელმა შემტევმა დუაიტ იორკმა და „ასტონ ვილას“ ავსტრალიელმა მეკარემ მარკ ბოზნიჩმა კვირას ინგლისში მიმდინარე კრიკეტის მსოფლიოს თასისთვისაც მოიცალეს, ვესტ ინდოეთისა და ოზეთის ნაკრებთა პაექრობას დაესწრნენ და თავთავიანთ ჯილებს კაცურად უქომაგეს... ფოტოზე იორკი ერთი თავის კარიბელი ძმაკაცის კვართს გვანახებს.*

REUTERS მანჩესტერიდან




# აი, ემი, ჩემი...

მერილენდურ პოტომაკში ოთხდიანი საგოლფო ტურნირი რომ მოთავდა, აგერ ფოტოზე აღბეჭდილმა ელპასოელმა ახალბედამ, რიჩ ბიმმა მოიგო... რიჩის საამტურნირო ნადავლი კაი 450 ათასდოლარიანი ჩეკი ყოფილა. ჰოდა, სწორედ ეგ ჩეკია, რიჩი თავის მომხიბლავ საცოლეს ემი ონიკს ცხვირის წინ რომ უფრიალებს და, ახლა კიდევ მეტყვი, ბიჭო, შეეშვი მაგ ყვანჯსო.

REUTERS პოტომაკიდან




# მუდამ კოკა-კოლა

*კოკა-კოლის საზეიმო გაფრქვევით ნასკარელი მრბოლი ჯეფ ბარტონი ჩრდილო კაროლინურ შარლოტში გამართულ რბოლაზე გამარჯვებას აღნიშნავს... თქვენ ის გიკვირდეთ, სიხარულით ყურებზე რომ არ დადის. იქ მის მიერ მოგებული თანხით ხომ (თუკი ქართული ლიტრანახევრიანი „კოკა-კოლის“ ფასით დავთვლით) მას ბარე მილიონი ბოთლის ყიდვა შეეძლება...*

REUTERS შარლოტიდან




# ნაკლებზე არ თანხმდებიან

ბუდაპეშტმა ევროპის მხატვრულად ტანმოვარჯიშეთა მე-15 ჩემპიონატს უმასპინძლა... თუკი სპორტის ამ სახეობის ქომაგი ბრძანდებით, შეგიძლიათ აქედან მაინც დატკბეთ. რუსები ალინა კაბაევა (მარცხენა ფოტოზე) და იულია ბარსუკოვა თავიანთ საქმეს მხოლოდ ათიანებზე აკეთებენ... ნაკლებზე თურმე არც უნგრეთში დათანხმებულან...

REUTERS ბუდაპეშტიდან






# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29